

ისტორია

ქრესტომათია

იმსა 2025

ქრესტომათია

ტესტები და წყაროები ისტორიაში

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის სამეცნიერო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კრებული
სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი-ირმა გიკაშვილი;
ტექნიკური უზრუნველყოფა, არქეოლოგიის დოქტორი-ლელა კაკაშვილი
გამოყენებულია ისტორიკოსების: მარეხ ჩიკვაიძის, ნანა ციხისთავის, ირმა გიკაშვილის, გიორგი ახალკაციშვილის, დავით ჩივაძის მიერ მოძიებული მასალები, მეთოდური აპარატი და შექმნილი ტესტები.
კრებულის რედაქტირება გააკეთა -დავით ჩივაძემ

იმსა/GAHE 2025, https://gahe.today/

სადღეისოდ გამოდის კრებულის კომპიუტერული ვერსია.

შესავალი

მოგესალმებით პატივცემულო კოლეგებო, ისტორიის მასწავლებლებო!

იმსა-ს სამეცნიერო ჯგუფმა იტვირთა ძალიან საპასუხისმგებლო საქმე- შეექმნა ისტორიის ქრესტომათია, რომელიც შეიცავს დამატებით ისტორიულ წყაროებს, ისტორიკოსების მიერ მოძიებულ დამატებით მასალებს და ამასთან მეთოდურ აპარატს , ჩვენი პედაგოგებისა და ჯგუფის წევრების მიერ შექმნილ ტესტურ დავალებებს. ყოველივე ეს გამიზნულია ისტორიის სახელმძღვანელოებში არსებული ვაკუუმის შესავსებად და სიახლეების გასაცნობად. მასალა ატვირთულია ჩვენი პედაგოგების პრაქტიკული გამოცდილების დადებითი შედეგების მაჩვენებლების მიხედვით და წარმოადგენს თემების კუთხით მასალის დალაგების ხედვას. აღნიშნულ კრებულში მოცემულია პრეისტორიული პერიოდის წყაროები ტესტებით და კითხვებით, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური პერიოდის ცივილიზაციების შესახებ ისტორიული წყაროები და კითხვები.

ვფიქრობთ, აღნიშნული კრებული, რომელიც თემების მიხედვით გამოიცემა, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ჩვენს ისტორიის მასწავლებლებს და ისტორიით დაინტერესებულ მოსწავლეებსაც.

პატივისცემით, პროფ. ნანა ციხისთავი

პრეისტორიული პერიოდის წყაროები

ავტორი: მარეხ ჩიკვაიძე

არქეოლოგიური მტკიცებულებები

1.ქვის იარაღები



წყარო: ქვის ცულები, სათლელები, წვეტანები

კითხვები:

- რა მასალისგან იყო ეს იარაღი დამზადებული?
- რა ტიპის საქმიანობისთვის გამოიყენებოდა ეს იარაღები?
- როგორ იცვლებოდა იარაღების დამზადების ტექნოლოგიები დროთა განმავლობაში?
- ადამიანის რა თვისებაზე მეტყველებს ის, რომ მან შეძლო ბუნებრივი მასალისგან შეექმნა სხვადასხვა დანიშნულების იარაღი, შემდგომში კი ქვის დამუშავების ხერხების გაუმჯობესებაც?
- როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა ჰქონდა ქვის იარაღს ხისა და ძვლის იარაღთან შედარებით?

2. გამოქვაბულის მხატვრობა





წყარო: კედლის მხატვრობა, ქვის გამოსახულებები

კითხვები:

ა) აღწერეთ ნახატები, რა არის მათზე გამოსახული?რა იყო ამ გამოსახულებების სიმბოლიური მნიშვნელობა?

ბ)როგორ ასახავდა ისინი ადრეული ადამიანების ცხოვრებას? რა არის ამ მღვიმეში მცხოვრები ხალხის ძრითადი საქმიანობა? რა ინფორმაციას გადასცემდნენ ადამიანები ერთმანეთს?

გ) რა მასალას იყენებდნენ კედელზე მხატვრობისთვის?

დ) შეიძლება თუ არა ეს ნახატები დაკავშირებული ყოფილიყო რწმენა-წარმოდგენებთან?

3. ნამოსახლარები





წყარო: ძველი დასახლებების ნაშთები

კითხვები:

- რა იყო ამ ნამოსახლარების სოციალური სტრუქტურა?
- როგორ ცხოვრობდნენ და რით იკვებებოდნენ ისინი?

4. ძვლოვანი ნაშთები

წყარო: ადრეული ჰომინიდების ჩონჩხები

კითხვები:

- არქეოლოგები ამბობენ, რომ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი ადამიანების ჩონჩხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ქვედა ყბის აღმოჩენაა და მისი გამოკვლევა.
  როგორ ფიქრობთ, რა ინფორმაციის ამოღება შეუძლიათ მეცნიერებს აღმოჩენილი ქვედა ყბებიდან?
- რა გავლენა იქონია გარემო პირობებმა მათ ევოლუციაზე?

ავტორი: ნანა ციხისთავი

შემოხაზეთ სწორი პასუხი:

1. პირველი დმანისელი ადამიანი ცხოვრობდა:
ა) 700-800 ათასი წლის წინათ;
ბ) მილიონ 700-800 წლის წინათ;
გ) მილიონი წლის წინათ.
2. დმანისელი ადამიანი ცხოვრობდა:
ა) ქვედა პალეოლითის ყველაზე ადრეულ საფეხურზე*;
ბ) ზედა პალეოლითში;
გ) შუა ქვის ხანაში.
3. ხელოვნების სხვადასხვა დარგი ჩაისახა:
ა) ზედა პალეოლითში;
ბ) ახალი ქვის ხანაში;
გ) ბრინჯაოს ხანაში.
4. საქართველოში ზედა პალეოლითის ხანის მხატვრობის რამდენიმე ნიმუში აღმოჩენილია:
ა) დმანისის მიდამოებში;
ბ) გარდაბნის მიდამოებში;
გ) წალკის მიდამოებში.
5. კაცობრიობის ისტორიაში ძირეული გარდატეხის ეპოქაა:
ა) ნეოლითი;
ბ) ენელითი;
გ) ბრინჯაოს ხანა.
6. უძველესი ადამიანის ისტორიაში მეზოლითი უპირველეს ყოვლისა ცნობილია:
ა) ხელცულებისა და წვეტანების გამოგონებით;
ბ) მშვილდ-ისრის გამოგონებით;
გ) ანკესის გამოგონებით.
7. საქართველოს ტერიტორიაზე მატრიარქატი პატრიარქატით შეიცვალა:
ა) ნეოლითის ხანაში;
ბ) ენეოლითის ხანაში;
გ) ბრინჯაოს ხანაში.
8. ბერძნები რკინის გამომგონებლებს უწოდებდნენ:
ა) ხალიბებს;
ბ) კოლხებს;
გ) ტაოხებს.

? უპასუხეთ შეკითხვებს:

9.რატომ ითვლება ნეოლითი გარდატეხის ეპოქად კაცობრიობის ისტორიაში?
10. როგორ ცხოვრებას მისდევდა "დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" მატარებელი საზოგადოება?
11. რამ განაპირობა მატრიარქატის შეცვლა პატრიარქატით?
12. რომელ ეპოქაში გარდაიქმნა ადამიანი შემგროვებელი და მიმთვისებელი არსებიდან მწარმოებელ არსებად?
13.რომელ ეპქაში ჩაეყარა საფუძველი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას?
14.რა ეწოდება ადრებრინჯაოს ხანაში განვითარებულ კულტურას და რა იყო მისთვის დამახასიათებელი?
15.როგორ ცხოვრებას ეწეოდა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი საზოგადოება?
16. რომელ ეპოქაში განვითარდა საქართველოში "დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა"?
17. როგორ ცხოვრებას მისდევდა "დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" მატარებელი საზოგადოება?
18. რომელ ეპოქაში დაიწყო გვაროვნული თემის დაშლა?

განმარტეთ ტერმინები:

1)თრიალეთის კულტურა

2)მტკვარ-არაქსის კულტურა

3) ნეოლითური რევოლუცია

4) ენეოლითი

ტესტიN1

1. კრეაციული თეორია დამახასიათებელია:
ა) ბუდიზმის, ვიშნუიზმისა და ლამაიზმისათვის;
ბ) ჯაიანიზმის, კონფუციონიზმისა და სიქხისმისათვის;
გ) იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამისათვის.
2. ვინ არის ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი?
ა) ჯორჯ ვაშინგტონი;
ბ) ჩარლზ დარვინი;
გ) ალბერტ აინშტაინი.
3. რას წარმოადგენს ,,ჰომოსაპიენსი“?
ა) განვითარებულ ადამიანს;
ბ) გაადამიანების პროცესში მყოფ ადამიანისმაგვარ არსებას;
გ) გონიერ ადამიანს.
4. რას ნიშნავს ,,ჰომოერექტუსი“?
ა) დმანისელ ადამიანს;
ბ) გამართულ ადამიანს;
გ) პალეოლითის ადამიანს.
5. რასთან იყო დაკავშირებული აფრიკიდან უძველესი ადამიანის მიგრაცია?
ა) კლიმატის , ბუნებრივი გარემოს ცვლილება;
ბ) ტომთა შორის საომარი შეტაკებების გახშირება;
გ) საკვების არასაკმარისი ოდენობა.
6. რა არის პალეოლითი?
ა) ახალი ქვის ხანა;
ბ) ძველი ქვის ხანა;
გ) შუა ქვის ხანა.
7.რომელ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მწარმოებლურ მეურნეობას?
ა) ზედა პალეოლითში;
ბ) მეზოლითში;
გ) ნეოლითში.

? ღია კითხვები:

1.რა პერიოდებს მოიცავდა ბრინჯაოს ხანა საქართველოს ტერიტორიაზე და როგორ ხასიათდებოდა თითოეული მათგანი?

2. რა სახის იარაღები და ყოფითი საგნები მზადდებოდა ბრინჯაოს ხანის სამივე პერიოდში?

3. განვითარებული ანუ გვიანი ბრინჯაოს პერიოდში ბრინჯაოს გარდა კიდევ რომელ ლითონს იყენებენ?

ტესტიN2

1. რა უწოდა ეგვიპტეს ჰეროდოტემ?
ა) პირამიდების ქვეყანა;
ბ) ნილოსის ნობათი;
გ) ფარაონების იმპერია.
2. რომელი ცივილიზაციის დამწერლობას ეწოდება იეროგლიფური?
ა) შუმერულს;
ბ)ეგვიპტურს;
გ) აქადურს.
3.ჩამოთვლილთაგან რომელი იყო ეგვიპტის ფარაონი?
ა) რამზეს მეორე;
ბ) ხამურაბი;
გ) ნაბუქოდონოსორი.
4. რომელი უძველესი სახელმწიფოები წარმოიშვა მესოპოტამიაში?
ა) ბაბილონი, შუმერი, ასურეთი;
ბ) შუმერი, ხეთები, ფინიკია;
გ) სპარსეთი, ეგვიპტე, მიდია.
5. რა დამსახურება აქვთ შუმერებს ცივილიზაციის ისტორიაში?
ა) ააშენეს უძველესი პირამიდები;
ბ) გამოიგეონეს დამწერლობა;
გ) შექმნეს პირველი საბრძოლო იარაღი.
6. რით არის ცნობილი ბაბილონის მეფე ხამურაბი?
ა) ქალაქ ბაბილონის აშენებით;
ბ) პირველი შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების დაარსებით;
გ) უძველესი კანონმდებლობის შექმნით.
7. ვისთან უწევდა ასურელებს ბრძოლა ძვ.წ. მეთერთმეტე საუკუნეში?
ა) ეგვიპტელებთან;
ბ) არამეელებთან;
გ) ფინიკიელებთან.
8. რა იყო ასურეთის იმპერიის შემოსავლის მთავარი წყარო?
ა) მეცხოველეობა და მევენახეობა;
ბ) რკინის წარმოება და ვაჭრობა;
გ)ნადავლი და ხარკი.
9. რომელმა ხალხმა შექმნა გილგამეშის ეპოსი?
ა) ხეთებმა;
ბ) შუმერებმა;
გ)ბაბილონელებმა.
10. რომელმა მეფემ გადაასახლა ებრაელები ბაბილონში?
ა) ნაბუქოდონოსორმა;
ბ)ხამურაბიმ;
გ) ასურბანიფალმა.
11.რომელი ქვეყნის მეფე იყო სიენი?
ა) დიაოხის;
ბ)ურარტუს;
გ) კოლხას.

? ღია კითხვები:

1.რა ტიპის გაერთიანება იყო ,,ნაირის ქვეყნები“?

2 რომელ ღვთაებებს სცემდნენ პატივს ასურელები?

3 რა ერქვა ასურეთის მთავარ ქალაქს?

4 ურარტუს რომელმა მეფეებმა ილასქრეს დიაოხში?

5. ვინ ილაშქრა კოლხაში ძვ.წ. მერვე საუკუნის შუა ხანებში?

6. რა სახელითაა ცნობილი კოლხეთში მოჭრილი უძველესი მონეტა?

7 რომელი ქვეყნები დაიპყრო კიროს მეორემ?

8 რომელი ქალაქი იყო აქემენიდური სპარსეთის დედაქალაქი?

9 ვისი გამარჯვებით დასრულდა მარათონის ბრძოლა?

10. ვინ ხელმძღვანელობდა ბერძენთა ფლოტს სალამინის ბრძოლაში?

მოსწავლის სახელი გვარი:

წყარო1. პლუტარქე ,,ლიკურგე''
(პლუტარქე იყო ბერძერნი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. იგი ცხოვრობდა ქრ.შ-დან I-II საუკუნეებში)

წაიკითხეთ ნაწყვეტი მისი ნაშრომიდან და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ლიკურგემ სპარტაში სულ რვა თვე იმეფა. შემდეგ გადაწყვიტა სამშობლოს გასცლოდა. როცა იგი სპარტაში დაბრუნდა, ხელი მიჰყო არსებული წესების დანგრევასა და სახელმწიფო წყობის შეცვლას.
2. იმ სიახლეთაგან, რომლებიც ლიკურგემ შემოიღო, უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო უხუცესთა საბჭოს დაწესება... უხუცესთა საბჭო ლიკურგემ ოცდარვა კაცისაგან შეადგინა, ორი მეფის დამატებით.
3. უხუცესთა საბჭოს წევრთა და მეფეთა გარდა , სახალხო ყრილობაზე არავის შეეძლო წინადადების წამოყენება.
4. მან აკრძალა ოქროს და ვერცხლის ფული და ხმარებაში შემოიღო რკინის ფული. ამის შემდეგ ლიკურგემ სპარტიდან გააძევა ყოველგვარი, უსარგებლო და უქმი ხელოვნება. სპარტელებს უცხოური ფუფუნების საგნების ყიდვა აღარ შეეძლოთ. ხელოსნები იძულებული გახდნენ თავიანთი დიდოსტატობა აუცილებელი საგნების დამზადებაში გამოეჩინათ.
5. ლიკურგემ შემოიღო -საჯარო სადილობის წესი. სადილობის ჟამს მოქალაქეებს თავი უნდა მოეყარათ და ეჭამათ კანონით დადგენილი საერთო საჭმელი. მათ აკრძალული ჰქონდა სახლში სადილობა.
6. ლიკურგემ ააგო ღმერთქალ ათენას ტაძარი.
7. ბავშვების აღზრდა ლიკურგეს კანონმდებლის უდიდეს და უკეთილშობილეს საქმედ მიაჩნდა. ლიკურგემ სპარტელი ქალების გაჯანსაღების საქმეს საკმაო ყურადღება დაუთმო. ქალიშვილების გასაკაჟებად მან სირბილი, ჭიდაობა, შუბისა და დისკოს ტყორცნა დააწესა. ლიკურგემ ქალიშვილებს აუკრძალა ნებივრობა, სახლში ჩაკეტვა და ფუფუნებით ცხოვრება.
8. ლიკურგე ამტკიცებდა , რომ ბავშვები სახელმწიფო კუთვნილებაა და არა მამებისო.
9. ბავშვის აღზრდის უფლება მშობელს არ ჰქონდა. დაიბადებოდა თუ არა ყმაწვილი,მამა მას მიიყვანდა იმ ადგილას, რომელსაც ,,ლესქეს'' ეძახდნენ. აქ ისხდნენ უხუცესი წევრები. ისინი ახალშობილს გასინჯავდნენ , თუ ღონიერი და საღი აღმოჩნდებოდა , უხუცესები ბრძანებას გასცემდნენ ბავშვი გამოეზარდათ, თუ ყმაწვილი სუსტი და უსახური გამოდგებოდა ...უფსკრულში ისროდნენ.

ბავშვებს აჩვევდნენ ზომიერად ეჭამათ და სასმელ -საჭმელში გულაზიზები არ ყოფილიყვნენ. სიბნელისა და მარტოობის არ შიშინებოდათ, სიმხდალე და ტირილი არ სცოდნოდათ.

მამას უფლება არ ეძლეოდათ ვაჟიშვილი საკუთარი სურვილისამებრ აღეზარდა. ვაჟებს, როგორც კი შვიდი წელი შეუსრულდებოდათ, მათ თავს ერთად უყრიდნენ, რათა ერთად ყოფნას მიჩვეოდნენ, ერთად გაზრდილიყვნენ, ერთად ეთამაშათ და ერთდ ესწავლათ... ბავშვები ბრძანებას უსიტყვოდ ასრულეებდნენ და სასჯელს მოთმინებით იტანდნენ. ასე რომ , აღზრდის მიზანი სპარტაში მორჩილების გამომუშავება იყო. მოხუცები თვალს ადევნებდნენ ბავშვების თამაშს, ხშირად განზრახ ჩააგდებდნენ ხოლმე მათ შორის შფოთს და ერთმანეთს წააჩხუბებდნენ.

10. წერა- კითხვას ისე ასწავლიდნენ, რამდენადაც ეს აუცილებელი შემთხვევის დროს დასჭირდებოდათ... მთელი აღზრდის მიზანი იყო უსიტყვო მორჩილება, შრომაში გამძლეობა და ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება.

? **კითხვები:**

1. ვინ არის სპარტის კანონებისა და სახელმწიფო წყობილების ავტორი?
2. რამდენი კაცისგან შედგებოდა უხუცესთა საბჭო?
3. რამდენი მეფე იყო სპარტაში?
4. ვის შეეძლო სახალხო ყრილობაზე წინადადებების წამოყენება?
5. რა საგნებს ამზადებდნენ სპარტელთა ხელოსნები?
6. როგორ ზრდიდნენ გოგოებს?
7. როგორი დამოკიდებულება იყო სპარტაში განათლებისა და ხელოვნებისადმი?
8. რა იყო ბავშვების აღრდის მიზანი?
9. შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს ამ წყაროს ისტორიკოსებისთვის?
10. შენ მოისურვებდი თუ არა ასეთ სახელმწიფოში ცხოვრებას და რატომ?

წყაროები კოლხეთის შესახებ:

ყურადღებით წაიკითხეთ წყარო N1, N 2, N3

წყარო N1. სტრაბონი , ბერძენი გეოგრაფი ძვ.წ. I- ძვ.წ. II ს.ს. ,,გეოგრაფია''
"ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა და მოიპოვება გემთსაშენი ყოველი მასალა, რადგან აქ მრავალი ტყეა და მდინარეებითაც ჩამოაქვთ, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვლისა და ფისს, ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც არის და ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ"

წყარო N2. ანონიმი ავტორი ,ძვ.წ. III ს. , ,,პერიპლუსი''
"მდინარეში რომ შედიხართ, ფასისის მარცხნივ მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფაზისი ეწოდება და რომელშიაც, ამბობენ, ჩამოდის სამოცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე. მათ შორის, ამბობენ, ზოგნი არიან ბაბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიიდანო"

წყარო N3. პომპონიუს მელა, ძვ.წ. I ს. "დედამიწის აღწერილობა
"აქ არიან კოლხები, აქ ჩამოდის ფასისი, აქვეა ამავე მდინარის სახელის მქონე, თემისტიგორა მილეტელის მიერ დაარსებული ქალაქი, აქაა ფრიქსოს ტაძარი (ლეგენდის მიხედვით, კოლხეთში შემოვიდა ბერძენი ფრიქსოსი, სანამ იაზონი მოვიდოდა. აიეტს მოეწონა ფრიქსოსი და მიათხოვა მას თავისი ასული ქალკიოპე)და კორომი, სახელგანთქმული ოქროს საწმისის შესახებ ძველი თქმულებით."

? უპასუხეთ კითხვებს:

წყარო 1 , წყარო 2 და წყარო 3-ის მიხედვით:

1. რა მოიპოვებოდა კოლხეთში:
2. გარდა ბერძნებისა , კიდევ ვინ სტუმრობდა კოლხეთს?
3. როგორ მოიხსენიებენ ბერძნები უცხოელებს?
4. ვის მიერ არის დაარსებული ფასისი?
5. რა ჰქვია ფასისის მახლობლად არსებულ მდინარეს ?
6. დაახასიათეთ კოლხეთის სამეფო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

ყურადღებით წაიკითხეთ წყარო N4

წყარო N4. სტრაბონი, ბერძენი ძვ.წ. I-ახ.წ. IIსს. "გეოგრაფია"

3)"...ფაზისზე 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო. წყალდიდობების დროს ეს ნაპირები დახრულია მრავალი ნაკადულით. ფაზისი წარმოიქმნება ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში სხვა მდინარეებს იერთებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი; გავსებული და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში"

? წყარო 4-ის მიხედვით:

1. რომელი მდინარით შეიძლებოდა ქალაქ ფასისში მოხვედრა?
2. რატომ გახდა საჭირო მდინარეზე მრავალი ხიდის აგება?
3. რა უწყობს ხელს მდინარე ფაზისს, რომ ის გახდეს სანაოსნოდ გამოსადეგი?

ყურადღებით წაიკითხეთ წყარო N5

წყარო N5. არიანე, I-II სს, "მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო"

...შევედით მდინარე ფაზისში... ფაზისში რომ შედიხარ მარცხნივ აღმართულია ფაზისელი ქალღმერთის ქანდაკება. გარეგნობის მიხედვით ის რეას (ზევსის დედა) ჰგავს, რადგან ხელში წინწილა (მუსიკალური საკრავი) უჭირავს, მისი სავარძლის წინ ლომები წვანან და თვით ის ისევე ზის, ფიდიასის (ძველი ბერძენი მოქანდაკე და არქიტექტორი) ქანდაკება ათენის მეტრიონში.

? კითხვა:

1. ვის მიერ შექმნილ ქანდაკებას ჰგავს ფასისის შესასვლელში აღმართული ფაზისელი ქალღმერთის ქანდაკება? და რითი ჰგავს?
2. რაზე მიუთითებს, ფაზისში აღმართული რეას ქანდაკება?

შენიშვნა: წინწილა (უძველესი ქართული საკრავი)



ყურადღებით წაიკითხე წყარო N1 და უპასუხე კითხვებს:

წყარო 1. თუკიდიდე, ისტორია

(თუკიდიდე იყო ბერძენი ისტორიკოსი. იგი ცხოვრობდა ქრ.შ-მდე VI საუკუნეში.)
ამ ნაწყვეტში გადმოცემულია პერიკლეს სიტყვა

,, ჩვენს წყობილებას იმიტომ ეწოდება დემოკრატია, რომ იგი შეესაბამება არა უმცირესობის, არამედ უმრავლესობის ინტერესებს. კანონით კერძო საქმეებში ჩვენ ყველას თანასწორი უფლებები გვაქვს. თუკი ვინმე სარგებლობს სხვაზე მეტი პატივით, ეს ხდება არა იმიტომ, რომ რომელიმე წრეს მიეკუთვნება , არამედ თავისი ღირსების გამო. ღატაკსაც კი შეუძლია სახელმწიფოს სამსახური გაუწიოს, თუკი მას საამისო ნიჭი აქვს. მე ვამტკიცებ, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო ელადის(საბერძნეთის) განათლების ცენტრია. ყველა ადამიანს შეუძლია მოღვაწეობა მრავალ დარგში და მიაღწიოს კარგ მდგომარეობას, თუ საქმეს კარგად შეასრულებს.''

კითხვები:

1. (1) ვინ არის ამ ტექსტის(სიტყვის) ავტორი?

2. (1) ვისი ინტერესია დაცული ათენში?

3. (1) ყველა მოქალაქეს თუ აქვს თანასწორი უფლებები?

4. (1) რის მიხედვით აფასებენ მოქალაქეს?

5. (2) ღარიბ მოქალაქეს თუ შეუძლია სახელმწიფო თანამდებობის დაკავება? რატომ?

6. (1) როგორ აფასებს პერიკლე ათენის დემოკრატიას?

7. (2) მოისურვებდი თუ არა ათენში ცხოვრებას ? რატომ?

კლასი VII. გაკვეთილი N10.

ნაწყვეტებში ბერძენი სტორიკოსი ჰეროდოტე მოგვითხრობს ნილოსისა და ეგვიპტის შესახებ. ჰეროდოტე ცხოვრობდა ქრ.შ-მდე V ს-ში. მან იმოგზაურა ეგვიპტეში.

წაიკითხეთ ნაწყვეტები და უპასუხეთ კითხვებს:

ა) ,,მემფისის (ეგვიპტის ქალაქი) ქვემოთ მცხოვრები ეგვიპტელები არ მუშაობენ იმისათვის, რომ გუთნით კვლები გაიყვანონ. ისინი არც ბარავენ, არც არაფერს აკეთებენ ყანის დასამუშავებლად. მდინარე თვითონ გადმოდის კალაპოტიდან და რწყავს ყანებს. ხოლო როცა მორწყავს, ისევე უკან ბრუნდება. ამის შემდეგ ეგვიპტელი თესავს თავის ყანას და შეუშვებს შიგ ღორებს, რომ ღორებმა თესლები ჩატკეპნონ. ამის შემდეგ უცდის მკას. შემდეგ გალეწავს პურს ისევ ღორების მეშვეობით.''

ბ) ,, ნილოსი როდესაც ივსება, წალეკავს ხოლმე არა მხოლოდ დელტას, არამედ ფართობს ორი დღის სავალზე, მდინარის ორივე მხარეს, ხან ამაზე მეტს და ხანაც ამაზე ნაკლებს''.
კითხვები:

? კითხვები

1. რომელ ნაწყვეტშია ნილოსი ეგვიპტელის დამხმარე? რომელში - ზიანის მომტანი?

2. რაში გამოიხატება ნილოსის დახმარება?

3. ეგვიპტელი მიწათმოქმედი რა სამუშაოებს ასრულებს? ჩამოწერე თანმიმდევრობით.

4. რამხელა ფართობს ფარავს ნილოსი ადიდებისას?

5. თქვენი აზრით , რა არის ,,ნილოსის ნობათი''?

6. ვინა არის ნაწყვეტის ავტორი?

7. რა ტიპის ისტორიული წყაროა ნაწყვეტი?

8. ავტორი თვითონ არის ნამყოფი ეგვიპტეში თუ სხვის მონათხრობს გადმოგვცემს?

ავტორი: დავით ჩივაძე

„მიცვალებულთა წიგნი"

„მიცვალებულთა წიგნი" საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVIII დინასტიის ეპოქაში, მის შინაარსს ცოდვების უარყოფის ტექსტი შეადგენს. „მიცვალებულია წიგნის“ მრავალი ვარიანტი არსებობს.

”სალამი შენ, დიადო ღმერთო, ორი სიმართლის მეუფევ, მე მოვედი, რათა შენი მშვენება ვიხილო, ჩემთვის ცნობილია შენი სახელი, ჩემთვის ცნობილია ორმოცდაორი ღმერთის სახელი", რომლებიც იმყოფებიან აქ; ორი სიმართლის მხარეში — ისინი ელიან მათ, ვისაც ბოროტება აქვს ჩადენილი და სვამენ მათ სისხლს მათი უნნეფერის წინაშე წარსდგომის დღეს — თქვენ ცნობილი ხართ ჩემთვის, სამართლის მეუფეებო, თქვენთან მოვედი სამართლით, თქვენი გულისათვის უარვყავ უსამართლობა.

მე არ ჩამიდენია ბოროტება.

მე არ ჩამიდენია ცოდვა წმინდა ადგილას.

მე არ მიყვარდა მკრეხელობა.

მე არ დამიჩაგრავს სუსტი.

მე არ გამაჩნია ცოდვა ღმერთების წინაშე.

მე არ დამიჩაგრავს მონა ბატონის თანდასწრებით.

მე არ ვყოფილვარ არავის ავადმყოფობის მიზეზი.

მე არ ვყოფილვარ არავის ცრემლის მიზეზი.

მე არ მომიკლავს.

მე არ მიბრძანებია არავის მოკვლა,

მე არავისთვის მიმიყენებია ტანჯვა.

მე არ ვაზიანებდი სატაძრო ბეღლებს.

მე არ ვაზიანებდი ღმერთების სამსხვერპლო პურს.

მე არ მიმითვისებია მიცვალებულთა ქონება.

მე არ ჩამიდენია მრუშობა.

მე არ მქონდა ბილწი ენა.

მე არასოდეს მომიტყუილებია წონაში.

მე არასოდეს ჩამიქრია სამსხვერპლო ცეცხლი.

მე არასოდეს გამომიტოვებია მსხვერპლის შეწირვა.

მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ...

მე არაფერი შემემთხვევა ამ ქვეყანაში, ორი სიმართლის მხარეში, რადგან ჩემთვის ცნობილია დიდი ღმერთის ორმოცდაორი თანამდგომის სახელები...“

„ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“, 1990. მ. ხვედელიძის თარგმანი.

? კითხვები:

- რას გვეუბნება „ორი სიმართლის მეუფის“ და 42 ღვთაებრივი მსაჯულის არსებობა ძველი ეგვიპტელების სამართლიანობის აღქმაზე?
- რამდენად ასახავს „ცოდვების უარყოფის“ ჩამონათვალი იმ პერიოდის ეგვიპტური საზოგადოების ძირითად მორალურ ღირებულებებს და სოციალურ ნორმებს?
- რა ფსიქოლოგიური დატვირთვა შეიძლება ჰქონოდა მიცვალებულისთვის ამ ტექსტის წარმოთქმას? იყო ეს უბრალოდ რიტუალი, თუ რეალური მორალური თვითშეფასების აქტი?
- ტექსტში ხაზგასმულია ღმერთების სახელების ცოდნის მნიშვნელობა. როგორ ფიქრობთ, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო საიქიო ცხოვრების მოსაპოვებლად – რიტუალური ცოდნა თუ რეალურად უცოდველი ცხოვრება?
- როგორ შეიძლება შევადაროთ „მიცვალებულთა წიგნის“ ეს „აღსარება“ სხვა კულტურებსა და რელიგიებში არსებულ ცოდვების აღიარების ან განკითხვის დღის კონცეფციებს (მაგალითად, ქრისტიანულ ათ მცნებას ან ისლამურ წარმოდგენებს)?
- დღევანდელი გადმოსახედიდან, რომელი „ცოდვები“ დაემატებოდა ან რომელს მიენიჭებოდა ნაკლები მნიშვნელობა ამ სიაში, თუკი ის თანამედროვე საზოგადოებისთვის იქმნებოდა?
- რა იყო „მიცვალებულთა წიგნის“ მთავარი ფუნქცია: მიცვალებულის სულის დაცვა, ღმერთების დამშვიდება, ცოცხლებისთვის მორალური სახელმძღვანელოს მიცემა, თუ სხვა რამ?
- რას ნიშნავს ფრაზა „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ...“ ამ კონტექსტში? მხოლოდ ცოდვების არარსებობას, თუ უფრო ღრმა, რიტუალურ ან სულიერ სიწმინდეს?
- როგორ ფიქრობთ, რა ემოციებს აღძრავდა ეს ტექსტი ძველ ეგვიპტელებში – შიშს განკითხვის წინაშე, იმედს მარადიული ცხოვრებისა, თუ ორივეს ერთად?
- ტექსტში ნათქვამია, რომ „მრავალი ვარიანტი არსებობს“ და წიგნი საბოლოოდ XVIII დინასტიის ეპოქაში ჩამოყალიბდა. რაზე შეიძლება მიუთითებდეს ეს ცვალებადობა და ხანგრძლივი ფორმირების პროცესი რელიგიური წარმოდგენების განვითარების თვალსაზრისით?

შემოქმედებითი დავალება:

- დაწერეთ თანამედროვე (ძველი ეგვიპტურის მსგავსი) „ცოდვების უარყოფის“ სია. გაითვალისწინეთ, რომელი „ცოდვები“ იქნებოდა აქტუალური დღევანდელ მსოფლიოში და რომელი შეიძლება დაკარგავდა მნიშვნელობას. დაამატეთ 3-5 ახალი „ცოდვა“, რომელიც ასახავს თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს (მაგალითად, ეკოლოგიური ცოდვები, ეთიკის დარღვევები, უსამართლობა გლობალურ კონტექსტში).
- ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული ამ ცოდვის უარყოფა არა მხოლოდ საიქიო ცხოვრებისთვის, არამედ ამქვეყნიური ჰარმონიისთვის.

„პტახოტეპის დარიგებები“

„პტახოტეპის დარიგებები“ უძველესია ამ ტიპის ტექსტებს შორის და დაახლოებით თარიღდება. ძველი სამეფოს ეპოქით. იგი წარმოადგენს ბრძენის 37 დარიგების კრებულს. საუკეთესო თვისებებად. აღიარებულია აუჩქარებლობა, სიკეთე, სამართლიანობა, თვითკონტროლის უნარი, სიმართლის სიყვარული, გულუხვობა.

1. ნუ იამაყებ შენი ცოდნით, გიყვარდეს დაუსვა კითხვა, როგორც ბრძენს, ისე მას, ვინც არ მიგაჩნია ბრძენად.

2. დახელოვნებას არა აქვს საზღვარი, არავის მიუღწევია სრულყოფილებისათვის. დახვეწილი მეტყველების საიდუმლო გამოუცნობია, ხანდახან იგი მსახურ გოგოში შეიძლება დაინახო.

3. თუ შენ გეკამათება, ვინც შენი თანასწორია, შესძელი, რომ შენი თავმოყვარეობა გააჩუმო...

4. თუ შენ გეკამათება საბრალო, რომელსაც შენზე ნაკლები. ცოდნა აქვს, ნუ იქნები მის მიმართ აგრესიული. დაისჯება, ვინც სჯის თავისზე უმცროსს.

8. თუ თქვენ ერთ-ერთი სტუმარი ხართ სუფრაზე, სადაც თქვენზე უფრო პატივსაცემი ადამიანია, არასოდეს დაელაპარაკოთ მას პირველი...

წყენის მიზეზი ხშირად გამოუცნობელია, გაეცი პასუხი, როცა ის მოგმართავს. მაშინ შენი სიტყვები სასიამოვნო იქნება მისთვის.

9. ... დიდ პატივს იმსახურებს ის, ვინც სიტყვაძუნწია, ასეთი ადამიანი სიმდიდრის მფლობელია.

10. რა არის ნებისყოფის მქონე ადამიანი?

მისი სახელი კეთილია, მას ვერავინ დასწამებს ცილს, მისი სხეუ-ლი თხელია, მისი სახე — კეთილი, იგი ყველას პატივისცემას იმსახურებს. იგი, ვინც მუცელს უგდებს ყურს, სიყვარულის ნაცვლად იმსახურებს ზიზღს. მისი გული ცარიელია. მისი სხეული — მოუვლელი, იგი მტრის ხელშია.

17. თუ შენ ხარ ადამიანი, რომელსაც მაღალი თანამდებობა აქვს, წყნარად, მოთმინებით მოუსმინე მთხოვნელს, არასოდეს აგრძნობინო მოუთმენლობა, არ შეაწყვეტინო, ბოლომდე ათქმევინე სათქმელი. ადამიანს, გასაჭირში მყოფს, უფრო სჭირდება გულის დაცლა, ვიდრე მას, ვინც მოგებულია.

23. არასოდეს გაიმეორო სხვისი ცილისწამება. სჯობია, არც კი მოისმინო იგი. ამბავი წყნარად, დაფიქრებულად მოყევი. თუ უმნიშვნელოს ეხება, სჯობს გაჩუმდე.

33. თუ დაეჭვდი მეგობარში, ნუ დაიწყებ გამოძიებას, მიდი მასთან. მოწმის გარეშე დაელაპარაკე.

35. გახსოვდეს, ვინც დაგეხმარა, თუ გსურს კეთილდღეობა. არასოდეს ჩაიდინო უსამართლობა მეგობრების მიმართ, მეგობარი იგივეა, რაც მორწყული ყანები და მეტია, ვიდრე სიმდიდრე. რაც ერთს ეკუთვნის, ის სხვასაც ეკუთვნის.

„ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“, 1990. მ. ხვედელიძის თარგმანი.

? კითხვები:

- პტახოტეპის რჩევის თანახმად, სადაც ის ცოდნით სიამაყისგან თავშეკავებასა და ყველასგან სწავლისკენ მოგვიწოდებს, რა კავშირია სიბრძნეს, ცოდნის საზღვრებსა და სრულყოფილების მიუღწევლობას შორის პიროვნული განვითარებისთვის?
- როგორ გესმით პტახოტეპის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „დახვეწილი მეტყველების საიდუმლო... ხანდახან იგი მსახურ გოგოში შეიძლება დაინახო“? რას გვეუბნება ეს ძველი ეგვიპტელების სოციალურ ფენებსა და სიბრძნის აღქმაზე?
- პტახოტეპი გვთავაზობს კამათის განსხვავებულ სტრატეგიებს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მოკამათე – თანასწორი თუ „საბრალო, რომელსაც ნაკლები ცოდნა აქვს“. რა ეთიკურ პრინციპებს ან სოციალურ მოსაზრებებს ეფუძნება ეს დიფერენცირებული მიდგომა?
- რატომ მიიჩნევს პტახოტეპი, რომ მაღალი თანამდებობის პირისთვის გასაჭირში მყოფი მთხოვნელის გულისყურით მოსმენა და „გულის დაცლის“ საშუალების მიცემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მოთხოვნის უპირობო დაკმაყოფილება ან საქმის ფორმალური მოგვარება?
- როგორ უკავშირებს პტახოტეპი იმ ადამიანის შინაგან თვისებებს, რომელსაც ის „ნებისყოფის მქონედ“ მოიხსენიებს (მაგალითად, კეთილ გულსა და თავშეკავებას), მის გარეგნულ გამოვლინებებს (როგორიცაა თხელი სხეული, კეთილი სახე) და საზოგადოებაში დამკვიდრებულ რეპუტაციას?
- პტახოტეპის თანახმად, სიტყვაძუნწი ადამიანი „სიმდიდრის მფლობელია“. რა ტიპის „სიმდიდრეზეა“ აქ საუბარი და რატომ ფასობდა ასე დუმილისა და ლაკონური მეტყველების უნარი ძველ ეგვიპტეში?
- პტახოტეპი მეგობრობას ადარებს „მორწყულ ყანებს“ და მიიჩნევს მას „სიმდიდრეზე მეტად“. გაშიფრეთ ეს მეტაფორები და იმსჯელეთ, რა ფასეულობებს ანიჭებდა ის მეგობრულ ურთიერთობებს.
- რა პრაქტიკული სირთულეები შეიძლება ახლდეს პტახოტეპის რჩევის – „არასოდეს გაიმეორო სხვისი ცილისწამება. სჯობია, არც კი მოისმინო იგი“ – შესრულებას და რა უფრო ღრმა სიბრძნეს შეიძლება შეიცავდეს ეს რჩევა სიმართლისა და საზოგადოებრივი ჰარმონიის კუთხით?
- რამდენად ინარჩუნებს აქტუალობას თანამედროვე საზოგადოებასა და ადამიანურ ურთიერთობებში პტახოტეპის მიერ დასახელებული საუკეთესო თვისებები, როგორიცაა აუჩქარებლობა, სიკეთე, სამართლიანობა, თვითკონტროლი, სიმართლის სიყვარული და გულუხვობა, ასევე მის მიერ მოცემული კონკრეტული რჩევები?
- რა არის, თქვენი აზრით, პტახოტეპის დარიგებების კრებულის მთავარი ფილოსოფიური გზავნილი? ის უპირატესად მიზნად ისახავს ინდივიდის პირად წარმატებას, სოციალური წესრიგის შენარჩუნებას, თუ ჰარმონიული შინაგანი სამყაროს მიღწევას?

შემოქმედებითი დავალება:

- აირჩიეთ „პტახოტეპის დარიგებებიდან“ რჩევა, რომელიც თქვენი აზრით ყველაზე აქტუალურია თანამედროვე ადამიანისთვის.
- აღნიშნული რჩევისთვის დაწერეთ ესე (დაახლ 150 სიტყვა), სადაც განმარტავთ:
    - რას ნიშნავს ეს რჩევა თანამედროვე კონტექსტში?
    - როგორ შეიძლება მისი პრაქტიკაში გამოყენება?
    - რა სარგებელი მოაქვს ამ რჩევის დაცვას ინდივიდუალური და სოციალური კეთილდღეობისთვის?

დარიოს I -ის წარწერა სუზის სასახლის აგების გამო

„დიდ არს უფალი აჰურამაზდა, ზეცა მაღალი რომელმან შექმნა, რომელმან შექმნა მიწაცა ესე, რომელმაც შექმნა კაცი მოკედავი, რომელმან კაცსა მიაგო. ლხენა, ვინც მეფედ დასვა დარაიავაჰუ ერთი მეუფედ მრავალთა ზედა ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად. მე გარ მეუფე დარაიავაჰუ მეფე დიადი, მეფე მეფეთა, მაქვს მეუფება მე ამა მიწის ვიშტასპას ძესა აქამანიანს, იტყვის მეუფე დარაიავაჰუ აჰურამაზდამ ღმერთმა მთავარმა შემქმნა და დამსვა ხელმწიფედ მანვე. მიბოძა მანვე სამეფო ესე. მისავე ნებით მე დავეუფლე მხარეს ცხენკეთილს და ერკეთილს»ა. მამა ვიშტასპა და პაპა ჩემი არშამაც,ორივ ცოცხლები იყვნენ როს ამ მიწაზე აჰურამაზდამ ხელმწიფედ ჩემი დასმა ინება.

აჰურამაზდამ მიბოძა ყველა, ცხენი და კაცი ამ ვრცელ მიწაზე, მან დამსვა მეფედ ქვეყნისა ამის. მე შემეწია აჰურაზამდა და რაც მიბრძანა ის აღვასრულე, მოვიმოქმედე მარχვენით ჩემით. თუ რამ ვისაქმე მე სასიკეთო, აურამაზდას ნებით ყოველი.

„სრა სახლ“ ესე ავაგე სუზას, შორით მოვიღე სამკაულები. ღრმად გაითხარა ამისთვის მიწა, სანამ ქვის ფენას არ მივაღწიეთ. თხრილში ჩავყარე ქვიშა სიმაღლით –- ოგან.ოცი წყრთა, ზოგან ორმოცი, და ამ ქვიშაზე სრა აღვაშენე.

საქმე თხრილსა და ქვიშის ჩაყრის და გამოყვანის ალიზის ამის, მოიმოქმედეს ბაბილონელთა, ხე იგი ნაძვის, ლებანს, რომ მთაა იქიდან იქმნა ჩამოტანილი. ბაბილონამდე მოზიდეს ასურთ, ბაბილონიდან, ვიდრე სუზამდე ხალხმა კარკამ და იონიელთა, იაკა (ხის სახელი-შენიშ.) განდარით მოტანილ იქმნა ამასთანავე, ქერმანის ქვეყნით, ქვა კაპუეტი (ლურχი ქვა- შენიშ.), სიკაბარუდა (ლურχი ქვა- შენიშ.), რომელიც აქ არს მოხმარებული მოტანილია სოღდისა ქვეყნით, ოქროს მოქმედნი –-– ოქრომჭედელნი –-– მიდელნი იყვნენ და ეგვიპტელნი და იშმალუზე (მოზაიკა) მომუშავენი, ლიდიით იყვნენ და ეგვიპტითა. აგურს იქმოდნენ ბაბილონელნი, -მიდიელებმა მოხატეს ციხე და კაცი ეგვიპტით გამოყვანილთა. იტყვის მეუფე დარაიავაჰუ მრავალი საქმე შესანიშნავი სუზას სრულყოფად ნაბრძანებ იყო, აღსრულდა კიდეც შესანიშნავად, მე დამიფაროს აჰურამზადამ და მამა იგი ჩემი ვიშტასპა, და ეს ქვეყანა საუფლო ჩემი...“

წარწერა აღმოაჩინა 1930 წ. ფრანგულმა ექსპედიციამ შეილის მეთაურობით,
თარგმნა მ. ანდრონიკაშვილმა.
წყარო აღებულია: „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“, თბ. 1990 წ.

? კითხვები, დავალებები:

1. რატომ იწყებს დარიოსი წარწერას აჰურამაზდას ქებით და არა პირდაპირ სასახლის მშენებლობის აღწერით? რას გვეუბნება ეს მისი მმართველობის სტილზე?
2. თავად ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ახსენით, რაში მდგომარეობს ისტორიული წყაროს, მთავარი ღირებულება? რა ინფორმაციას გვაწვდის ის, რასაც სხვა ტიპის წყაროები (მაგ. ბრძოლის აღწერა) ვერ მოგვცემდა?
3. შეიძლება თუ არა ეს წარწერა მივიჩნიოთ მხოლოდ სამშენებლო ანგარიშად? თუ ეს უფრო მეტია, რა არის მისი ფარული, პოლიტიკური მიზანი, რომელსაც დარიოსი ამ ტექსტით ისახავდა?
4. რა სახის ადმინისტრაციული სისტემა და ინფრასტრუქტურა (გზები, ფლოტი, მმართველები) უნდა ჰქონოდა დარიოსის იმპერიას აღნიშნული მშენებლობის განსახორციელებლად?
5. დარიოსი ამაყად ჩამოთვლის მშენებლობაში მონაწილე სხვადასხვა ხალხს (ბაბილონელები, იონიელები, მიდიელები და სხვ.). თქვენი აზრით, რ ამიზანი აქვს დარიოსს?

6. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ბაბილონელი ალიზის მწარმოებელი ან იონიელი მეზღვაური. როგორი გრძნობა დაგეუფლებოდათ ამ წარწერის წაკითხვისას (ან მისი შინაარსის მოსმენისას)?
7. როგორ ფიქრობთ, რით განსხვავდება დარიოსის მიდგომა (სადაც ის დეტალურად აღწერს მასალებს და ხალხებს) ეგვიპტის ფარაონების მიდგომისგან, რომლებიც პირამიდებს იშენებდნენ? რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია მათი მმართველობის სტილთა შორის განსხვავებაზე?
8. რის შესახებ სდუმს დარიოსი? რა მნიშვნელოვანი დეტალებია (მაგალითად, მშენებლობის ღირებულება, მუშების პირობები, ვადები) წარწერაში გამოტოვებული და რატომ, თქვენი აზრით?
9. რას ვსწავლობთ აქემენიდური კულტურისა და მათი სამყაროს შესახებ მრავალფეროვანი ტერმინოლოგიის (მაგ „სრა-სახლი“ ან კონკრეტული „კაპუეტი ქვა“) გამოყენების საფუძველზე?
10. შეიძლება თუ არა დარიოსის სასახლის მშენებლობის პროექტი შევადაროთ თანამედროვე პროექტებს? რა მსგავსებებსა და განსხვავებებს ხედავთ მიზნებში, და გზავნილებში?

„ერთი დღე დარიოსის სასახლის მშენებლობაზე“ - დღიური

მიზანი: მოსწავლეებმა ისტორია გაიაზრონ პროცესი სხვადასხვა სოციალური ფენის პერსპექტივიდან;

ინსტრუქცია:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, აირჩიონ ერთ-ერთი როლი ტექსტში ნახსენები პერსონაჟებიდან:

    - ლიდიელი ოქრომჭედელი
    - ბაბილონელი აგურის მწარმოებელი
    - იონიელი მეზღვაური, რომელსაც ლიბანური კედარი გადააქვს.
    - ეგვიპტელი ოსტატი, რომელიც ციხის კედლებს აპირკეთებს.

2. დაავალეთ, დაწერონ დღიური, მოკლე ჩანახატის სახით, პირველ პირში, სადაც აღწერენ:

    - როგორია მათი ერთი სამუშაო დღე სუზას მშენებლობაზე.
    - როგორ პირობებში მუშაობენ და ცხოვრობენ.
    - რას ფიქრობენ ამ პროექტზე და მეფე დარიოსზე.
    - როგორ გრძნობენ თავს სახლიდან შორს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებთან ერთად მუშაობისას.

ავტორი: ირმა გიკაშვილი

დიაგნოსტიკური წერა , 30 ქ.

ვარიანტი N1
კლასი -VII
სახელი, გვარი ----------

დავალება N1.შემოხაზე სწორი პასუხები: (5ქ)

1.ისტორიკოსი ეწოდება მეცნიერს რომელიც შეისწავლის:
ა. კულტურის ძეგლებს,
ბ. წარსულის ამსახველ ნივთებს,
გ .შეისწავლის წარსულს.
2.ადამიანის ხელით დამზადებულ უძველეს ნივთს, რომელსაც არქეოლოგი მოიპოვებს ეწოდება:
ა. ისტორია,
ბ. პრეისტორი,
გ. არტეფაქტი.
3.ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობას დროის მიხედვით ეწოდება:
ა. დროის ხაზი,
ბ. ქრონოლოგია,
გ. ისტორიული დრო.
4. ჩამოთვლილთაგან, ქვის ხანის პერიოდებია:
ა. მეზოლითური პერიოდი,
ბ.ყორღანული კულტურის პეროდი,
გ. კოლხური კულტურის პერიოდი
5.ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეს ეწოდება:
ა. აბორიგენი,
ბ. ტოტემი,
გ. მაგია.

დავალება N2. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს (7ქ)

„ცხოვრება ძველად არც თუ ისე ადვილი იყო, ადამიანს არ შეეძლო ლამაზი და მყუდრო სახლის აგება, არც ამდენი საოჯახო ნივთი და სამუშაო იარაღი არ იყო, მაშ როგორ ცხოვრობდა იგი? ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ ადამიანი უფრო მეტად ნადირობით ირჩენდა თავს. სანადიროდ მამაკაცი დადიოდა, ქალი კი ტყეში მცენარეს აგროვებდა. ნადირობისთვის მთავარი იარაღი იყო ცული და დანა. მათ მონადირე კაჟისგან ამზადებდა, შემდეგ კი ადამიანმა სანადირო და საბრძოლო იარაღის დამზადება ცხოველის ძვლისაგან დაისწავლა,ამისთვის ის ძვალს ჯერ ცხელ წყალში ალბობდა და არბილებდა, შემდეგ ასწორებდა და შუბად აქცევდა. მონადირე ყველაზე ხშირად მამონტს ერჩოდა, ეს იმიტომ რომ, მისი ბეწვიც, ხორციც და ძვლებიც გამოსადეგი იყო. მამონტზე რამდენიმე ათეული ადამიანი ერთად ნადირობდა, ზოგჯერ უკან მისდევდნენ და შუბებს ესროდნენ, ზოგჯერ ორმოს თხრიდნენ და წვეტიან სარებს ასობდნენ და ტოტებით ფარავდნენ, ორმოში ჩავარდნილი მამონტის მორევა უფრო ადვილი იყო. ძველად ადამიანი ბინად ბუნენრივ გამოქვაბულს იყენებდა, მას ცეცხლის შუქით ანათებდა, სამოსს ცხოველის ტყავისაგან კერავდა ძვლის ნემსით. სამოსს რთავდა ჭრელად შეღებილი უამრავი ნიჟარითა და კენჭით, იმავე მასალით აკეთებდა ბევრნაირ სამკაულს: სამაჯურს, საყურეს... სადგომის კედლებზე კი ნადირობის სცენებს ხატავდა, ამისთვის ბუნებრივ საღებავს თვითონ ამზადებდა მცენარეებისა და ფერადი ქვებისაგან. ზოგან უძველესი ადამიანი კარვებში ცხოვრობდა. კარავს ცხოველის ტყავისაგან კერავდა, კარვის სარებად ცხოველთა დიდ ძვლებს იყენებდა,

ძვლებზე ტყავს ამაგრებდა , თუ კარავი დიდი იყი, შიგ ორი ან სამი ოჯახი ცხოვრობდა, თუმცა ყველა ოჯახს თავისი კერა ჰქონდა, კერიასთან თბებოდნენ, იქვე საჭმელს ამზადებდნენ. ასეთი იყო ადამიანის ცხოვრება მანამ, სანამ იგი ცოტა მეტ ცოდნას შეიძენდა. უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნასი კი მას გამოცდილება დაეხმარა.

მოცემული ტექსტიდან გამომდინარე შეკითხვებს , რომელსაც ახლავს სავარაუდო პასუხები, შეურჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე:

1.ტექსტის პირველ აბზაცში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას რომ:
ა.ძველად ადამიანი საცხოვრებლად მყუდრო სახლს აგებდა.
ბ.ძველად ადამიანს უამრავი სამუშაო იარაღი ჰქონდა.
გ.ძველ ადამიანს ცხოვრების რთული პირობები ჰქონდა.
2 ტექსტის მიხედვით, .უძველესი ადამიანის ძირითადი საქმიანობა იყო:
ა.გამოქვაბულის კედლების მოხატვა.
ბ.დიდ ცხოველებზე ნადირობა.
გ.კენჭერბისაგან სამკაულების კეთება.
3. ტექსტის მიხედვით, პირველი სანადირო იარაღი ადამინმა დაამზადა:
ა.კაჟისაგან.
ბ.ძვლისაგან.
გ.ხისაგან.
4. ტექსტის მიხედვით, ძველად მონადირეები უფრო ხშირად მამონტს ერჩოდნენ, რადგან:
ა.ადვილი იყო მასზე ძვლის შუბებით ნადირობა.
ბ.გამოსადეგი იყო მისი ხორცი, ბეწვი და ძვლები.
გ.ეს ცხოველები საფრთხეს უქმნიდნენ მათ ოჯახებს.
5. ტექსტის მიხედვით, უძველესი ადამიანი ნადირობის სცენებს ხატავდა:
ა.გამოქვაბულის კედლებზე. ბ.კაჟის იარაღებზე. გ.ცხოველის ტყავზე.
6.ტექსტის მიხედვით, პირველყოფილი ადამიანი კარავს:
ა.ნადირობის ამსახველი ნახატებით ალამაზებდა ხოლმე.
ბ.საკუთარი ხელით კერავდა ცხოველის ტყავისაგან.
გ.შეღებილი ნიჟარებითა და კენჭებით რთავდა.
7.ტექსტის ძირითადი მიზანია, გაგვაცნოს:
ა.რატომ ნადირობდა უძველესი ადამიანი კაჟისაგან დამზადებული იარაღით.
ბ.რით ათბობდა და ანათებდა უძველესი ადამიანი თავის საცხოვრებელს.
გ.როგორ აგროვებდა უძველესი ადამიანი ცოდნას უკეთესი გარემოს შესაქმნელად.

⇄ დავალება N3. ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები: (4ქ)

1.სადგომი	ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე
2.კერა	ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე გადასატანი სადგომი
3.კარავი	ბოლოწათლილი წვრილი ხე მიწაში ჩასარჭობად
4.სარი	საცხოვრებელი ადგილი

დავალება N4. დაფიქრდი და უპასუხე : მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დამწერლობის შემოღება სახელმწიფოს შექმნის შემდეგ გახდა აუცილებელი. შეეცადე, ახსნა რატომ იყო ასე საჭირო სახელმწიფოს არსებობისათვის დამწერლობა? დაასახელე დამწერლობის უძველესი ნიმუშები? **(5ქ)**

პასუხები:_____
_____
_____
_____

დავალება N5. აღწერე სურათის მიხედვით უძველესი ადამიანების ბანაკი და მათი საქმიანობა: (2 ქ.)



პასუხი:_____
_____
_____
_____
_____

დავალებაN6. რუკის ანალიზი (7ქ)

ყურადღებით დააკვირდი რუკას და უპასუხე კითხვებს:



? კითხვები:

1. რუკის მიხედვით, რომელ კონტინენტზე ჩამოყალიბდა ეგვიპტური ცივილიზაცია?(1ქ)

2.რუკის მიხედვით, დაასახელე აზიაში , ორ მდინარეს შორის არსებული ცივილიზაცია?(1ქ)

3.რა საერთო და განსხვავებული მახასიათებლები ჰქონდათ ამ ცივილიზაციებს? (3ქ)

4. შენი აზრით, რა გარემო ფაქტორებმა შეუწყო ხელი მითითებულ ადგილებში მაღალკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას? (2ქ)

პასუხები:

1.

2.

3.

4

დიაგნოსტიკური წერა (30 ქ)

ვარიანტი N2

კლასი -VII
სახელი, გვარი----------

დავალება N1.შემოხაზე სწორი პასუხები: (5ქ)

1.უძველეს ადამიანთა ჯგუფს ამა თუ იმ ცხოველის სახით საერთო წინაპარი ჰყავდა,ასეთ შორეულ წინაპარს მეცნიერებმა უწოდეს.
ა. მაგია.
ბ. ანიმა
გ. ტოტემი
2.ადამიანი ქვასთან ერთად იწყებს თვითნაბადი სპილენძის გამოყენებას,მეცნიერები ამ პერიოდს უწოდებენ.
ა. პალეოლითს.
ბ. მეზოლითს.
გ. ენეოლითს
3.ადამიანებს,რომლებსაც ერთმანეთთან ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ არის.
ა. გვარი.
ბ. ჯგუფური ჯოგი.
გ. თემი
4 რომელ პერიოდში შეიქმნა პირველი ბინადარი დასახლებები?
ა. მეზოლითში **.**
ბ. პალეოლითში.
გ. ნეოლითში
5. შომუფეთეს გორასამარხები არქეოლოგებმა აღმოაჩინეს.
ა. დასავლეთ აზერბაიჯანში.
ბ. სამხრეთ აზერბაიჯანში.
გ. აღმოსავლეთ აზერბაიჯანში

დავალებაN2. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითსვებს) (7ქ)

დმანისში არაერთი ადამიანის ნაშთებია აღმოჩენილი.ორი ყველაზე კარგად შენახული თავის ქალის პატრონებს სახელად მზია და ზეზვა დაარქვეს. ამ აღმოჩენამ დიდად გაზარდა

საქართველოს მნიშვნელობა კაცობრიობის საერთო წარსულის შესწავლის საქმეში და ქართველი მეცნიერებიც ჩაერთვნენ ამ საკითხების შემსწავლელ საერთაშორისო ქსელში.
განვითარების ამ ეტაპზე ადამიანმა შედარებით დახვეწა ქვის იარაღი,შექმნა კომბინირებული იარაღი ქვის,ხის, ძვლის კომპონენტების გამოყენებით.ჰომო ერექტუსმა პირველმა ,,მოათვინიერა'' და საკუთარ სამსახურში ჩააყენა ცეცხლი.
მოგვიანებით,კვლავ აფრიკიდან გავრცელდნენ ადამიანის სხვა უფრო მაღალგანვითარებული სახეობები-,,ჰაიდელბერგელი ადამიანი",ნეანდარტელელი და თანამედროვე ადამიანი-ჰომო საპიენსი.,,გონიერი ან მოაზროვნე ადამიანი"

მოცემული ტექსტიდან გამომდინარე შეკითხვებს , რომელსაც ახლავს სავარაუდო პასუხები, შეურჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე:

1.ტექსტის მიხედვით რა არის აღმოჩენილი დმანისის ტერტორიაზე ?
ა.ადამიანის თავის ქალა
ბ. ადამიანის ჩონჩხი
გ. არცერთი პასუხი არ არის სწორი
2.ტექსტის მიხედვით აღმოჩენილი ორი თავის ქალა იყო.
ა. მამაკაცების .
ბ ქალების.
გ .ქალისა და მამაკაცის
3.რაში გამოიხატა უძველესი ადამიანის მიერ იარაღის დახვეწა.
ა. ქვის,ძვლის, ხის კომბინირებული იარაღის შექმნაში.
ბ. სპილენძის იარაღის შექმნაში
გ. ბრინჯაოს იარაღის შექმნაში
4.ტექსტის მიხედვით, პირველად ცეცხლი თავის სამსახურში ჩააყენა და გამოიყენა.
ა. ჰომო საპიენსმა.
ბ. ჰომო ერექტუსმა.
გ. ნეანდარტელმა
5. რომელ კონტინენტიდან დაიწყო ადამიანის სხვა სახეობებმა გავრცელება და გადასახლება.
ა.ამერიკიდან.
ბ. აფრიკიდან.
გ.ავსტრალიიდან
6. რას ნიშნავს ჰომო საპიენსი
ა. გონიერ ადამიანს ბ. მარჯვე ადამიანს. გ. გამართულად მოსიარულე ადამიანს
7. რა სახელით მოიხსენიებენ დმანისელ ადამიანებს
ა.ჰომო გეორგიკუსად.
ბ. ავსტრალოპითეკად.
გ.ნეანდარტელად

დავალებაN3. დაფიქრდი და უპასუხე : მეცნიერები მიიჩნევენ, პოლიტიკურ გაერთიანებას სახელმწიფო რომ ეწოდოს, მას გარკვეული დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უნდა ჰქონდეს.თქვენი აზრით, რა პირობებია აუცილებელი სახელმწიფოს არსებობისათვის? დაასახელე ერთი უძველესი სახელმწიფო? (5ქ)

_____
_____
_____
_____

⇄ დავალებაN4.ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები: (4ქ)

ნეოლითი	გორასამარხი დასავლეთ აზერბაიჯანში
სამეთუნეო ჩარხი	სპილენძ -ქვის ხანა
ენოლითი	რევოლუცია
შომუთეფე	თიხის ჭურჭლის დასამზადებელი ხელსაწყო

დავალება N5.აღწერე სურათის მიხედვით უძველესი ადამიანები და მათი საქმიანობა: 2ქ

პასუხი:_____
_____
_____
_____
_____

დავალება N6. რუკის ანალიზი (7ქ)
ყურადღებით დააკვირდი რუკას და უპასუხე კითხვებს:



? კითხვები:

1. რუკის მიხედვით, რომელ კონტინენტზე ჩამოყალიბდა ეგვიპტური ცივილიზაცია?(1ქ)

2. რუკის მიხედვით, დაასახელე აზიაში , ორ მდინარეს შორის არსებული ცივილიზაცია?(1ქ)

3.რა საერთო და განსხვავებული მახასიათებლები ჰქონდათ ამ ცივილიზაციებს? (3ქ)

4. შენი აზრით, რა გარემო ფაქტორებმა შეუწყო ხელი მითითებულ ადგილებში მაღალკულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას? (2ქ)

პასუხები:

1.

2.

3.

4.

ავტორი: ლელა კაკაშვილი

დიაგნოსტიკური წერა

საგანი ----------

კლასი ----------

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

მასწავლებლის სახელი, გვარი ----------

თემა - ქვის ხანა
საკითხი - ნეოლითური დასახლებები

<u>დავალების პირობა</u>: გაეცანით წარმოდგენილ მასალებს (ასევე სახელმძღვანელოში მოცემულ მასალებს) და აღნიშული კითხვების გამოყენებით დაწერეთ თემა: **„ცხოვრება და საქმიანობა ნეოლითურ დასახლებაში“**

საკვანძო კითხვა: როგორ შეიცვალა ნეოლითურ სოფელში ადამიანების ცხოვრება და საქმიანობა?

ნაშრომში: „ცხოვრება და საქმიანობა ნეოლითურ დასახლებაში“- იმსჯელე:
ა) რას ნიშნავს ტერმინი „რევოლუცია“ და რატომ უწოდებენ ნეოლითური პერიოდის მოვლენებს რევოლუციას?
ბ)რა ეპოქას მოიცავს ნეოლითური ხანა და რა მნიშვნელოვანი მახასიათებლებით ხასიათდება, კაცობრიობის განვითარების ეს პერიოდი?
გ) როგორი გეოგრაფიული გარემო იყო საჭირო ნეოლითური დასახლებისთვის?
დ) რა ტიპის წყაროებიდან ვიღებთ ინფორმციას ნეოლითური ხანის დასახლებებისა და საზოგადოების შესახებ?
ე) როგორ შეიცვალა ნეოლითის ხანაში ადამიანთა საზოგადოება?
ვ)ძალაუფლების რა ტიპებია დამახასიათებელი ნეოლითის ეპოქისათვის?

ნაშრომში გამოიყენე შემდეგი საკვანძო სიტყვები:

- ახლო აღმოსავლეთი, ძველი მსოფლიო;

- „ნოყიერი ნახევარმთვარე“,შუამდინარეთი; ანატოლია; სამხრეთ კავკასია; იერიქონი; შულავერი; ჩათალ ჰუიუქი;
- არქეოლოგიური ძეგლები, არქეოლოგიური არტეფაქტები; არქეოლოგიური კულტურა;
- თემი, გვაროვნული საზოგადოება, ტომი; კოლექტიური თანამშრომლობა;
- მწარმოებელი, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, მეთუნეობა; მმევენახეობა;
- ქვა, ძვალი, ალიზი, თიხა, ობსიდიანი;

შენიშვნა: <u>გაითვალისწინეთ, ცალკეულ კითხვებს ცალკეული პასუხები არ გასცეთ, არამედ გაამთლიანეთ ესეს სახით, შესაბამისად დავალების თანმიმდევრულად გაშლა ესეში სავალდებულო არ არის.</u>

თემის სტრუქტურა

შესავალი	შესავალში წარმოადგინე საკითხის „ნეოლითური დასახლებები“ - აქტუალურობა და მნიშვნელობა.
ძირითადი ნაწილი	დავალებებში მოცემული რესურსებისა და დამხმარე კითხვების საშუალებით აღწერე ნეოლითური დასახლება: „სოფელი“, „ქალაქი“ და ის ცვლილებები, რაც განხორციელდა ასეთ დასახლებებში ადამიანების ცხოვრებასა და საქმიანობაში; საკუთარი მოსაზრებების ასახსნელად ან დასამტკიცებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები;
დასკვნა	შეაჯამე საკუთარი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით, გამოკვეთე შენი დამოკიდებულება და პოზიცია. იმსჯელე იმ ცვლილებებზე, რომელიც განხორციელდა ნეოლითურ დასახლებაში ადამიანთა ცხოვრებასა და საქმიანობაში;

რესურსები დავალების შესასრულებლად:

სახელმძღვანელო :

1.ისტორია, VII კლასი, გამომცემლობა ,,დიოგენე“ §7, 8;

2.ისტორია, VIII კლასი, გამომცემლობა ,,ლოგოს პრესი“ §5, 6, 7;

3.დამატებითი რესურსი: (ტელესკოლის გაკვეთილი)- <u>ნეოლითური რევოლუცია;</u> <u>https://youtu.be/5t2xa792Xr4</u>

დავალება 1 (სამიზნე ცნება: **წყარო; ისტორიული მოვლენა/პროცესი**)

რესურსი 1. სამეურნეო იარაღები, საყოფაცხოვრებო ნივთები

თიხის ჭურჭელი. წეოლითი

არქეოლოგიური გათხრები იერიქონში

კითხვები:

- რა ტიპის წყაროებია წარმოდგენილი ფოტოებზე ? (რესურსი N1)
- როგორ გვეხმარება სხვადასხვა არქეოლოგიური არტეფაქტი ისტორიული რეალობის აღდგენაში?
- რამდენად სანდოდ შეიძლება ჩაითვალოს მოცემული წყაროები?
- დაუკვირდი ფოტოებს (რესურსი N1). შენი აზრით რა ფაქტორებმა განაპირობა ფოტოებზე ასახული სამეურნეო იარაღებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შექმნა?
- ფოტოებზე წარმოდგენილ სამეურნეო იარაღებზე და საყოფაცხოვრებო ნივთებზე დაყრდნობით (რესურსი 1) იმსჯელე, ძველი ქვის ხანის დასასრულს მეურნეობის რომელი დარგები ყალიბდება? როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი და რამდენად უწყობს ხელს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას? მსჯელობა გაამყარე არგუმენტებით;
- რა ცვლილება განიცადა სამუშაო იარაღმა და რამდენად უწყობდა იგი ხელს ერთ ადგილზე ადამიანთა დასახლებას?

- შენი აზრით, რა ნიშნით არჩევდა ადამიანი მოსაშინაურებლად ცხოველებს? დაასახელე რამდენიმე ნიშანი და იმსჯელე რამდენად შეუწყობდა იგი ხელს ერთ ადგილზე ადამიანთა დასახლებას?
- რატომ იხსენიებენ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას კაცობრიობის ისტორიაში „ნეოლითური რევოლუციის“ სახელით?

დავალება 2 (სამიზნე ცნება: **დრო, სივრცე)**

რესურსი 2. რუკა 1. ველური მცენარეების მოშინაურების უადრესი კერები



რესურსი N3. რუკა N2-სამიწათმოქმედო კულტურების განვითარება ევროპაში



სამიწათმოქმედო კულტურის გავრცელება ევროპაში

- რომელ ხანას მოიცავს ნეოლითური ეპოქა?
- შენი აზრით, რამდენად მართებულია ნეოლითის ხანაში ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ვუწოდოთ „რევოლუცია“? პასუხი დაასაბუთეთ;
- რუკა N1-ის გამოყენებით - ველური მცენარეების მოშინაურების უადრესი კერების შესაბამისად განსაზღვრე დედამიწის რომელ ნაწილში გაჩნდებოდა პირველად ნეოლითური დასახლება?პასუხი დაასაბუთე;
- შენი აზრით, რა გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორები განაპირობებდა პირველი ნეოლითური დასახლებების, სოფლების შექმნას? პასუხი დაასაბუთე;
- რუკა N2-ის მიხდვით - სამიწათმოქმედო კულტურების გავრცელება ევროპაში - შეავსე პირველი ნეოლითური დასახლებების წარმოქმნის შესაბამისი ცხრილი სამიწათმოქმედო კულტურების გავრცელების მიხედვით ევროპაში:

გეოგრაფიული არეალი სამიწმათმოქმედო კულტურების გავრცელების მიხედვით	ქრონოლოგიური ჩარჩო

- რომელი თანამედროვე სახელმწიფოები მდებარეობენ „ნოყიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორიაზე?

დავალება 3 (სამიზნე ცნება: **საზოგადოება; ძალაუფლება)**

რესურსი N4.თანამედროვე მხატვრის თვალით დანახული ნეოლითური სოფელი

რესურსი N5.იერიქონი, ჩათალ ჰუიუქი, შულავერი

ნეოლითური დასახლებები	*სამოსახლო*	*სამეურნეო საქმიანობა*
იერიქონი	*მდებარეობს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. დასახლება შემორტყმული იყო უზარმაზარი ქვის კედლით. მოსახლეობა აგებდა მრგვალ სახლებს, რომლებსაც გამოუწვავი აგურისაგან აგებდნენ*	*მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას - მოჰყავდა ქერი, ხორბალი, ოსპი, ხურმა. მათ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნადირობასაც. მოშინაურებული ჰყავდათ ძაღლი, თხა, კატა. იარაღს ქვისა და ძვლისაგან ამზადებდნენ, თიხისაგან ძერწავდნენ ადამიანებისა და ჰატარა ცხოველების ფიგურებს. ამზადებდნენ სამკაულებსაც.*
ჩათალ ჰუიუქი	*მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.ცხოვრობდნენ მიჯრით ნაგებ ბრტყელსახურავიან ოთხკუთხა სახლებში, სადაც კიბით ჩადიოდნენ ჭერში დატანებული ხვრელიდან, კიბეს იყენებდნენ მეზობელი სახლის ბანზე ასასვლელადაც. სახლებს აგებდნენ ძზეზე გამშრალი ტალახის აგურებისაგან.*	*მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მოჰყავდათ ქერი, ხორბალი, ოსპი და სხვა. მოშინაურებული ჰყავდათ ცხოველები. განვითარებული ყოფილა ხელოსნობაც. ზოგიერთ სახლში აღმოცენილია კედელზე მიმაგრებული ხარის თავის გამოსახულებები და მრავალრიცხოვანი რელიეფები. მრავლადაა ნაპოვნი ნაყოფიერების ქალღმერთის გამოსახულებები.*
შულავერის გორა	*ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში. ცხოვრობდნენ წრიულ სახლებში, რომლებიც ალიზის აგურით იყო ნაშენები და თიხით შელესილი. მათ წრიული ან ელიფსის ფორმა ჰქონდათ. ჰქონდათ ასევე გუმბათოვანი გადახურვა. კედლებთან გამართული იყო წრიული კერა. ნაგებობას ერთი ვიწრო შესასვლელი ჰქონდა.*	*მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ერთერთ ჭურჭელში არქეოლოგებმა ცაზის წიპწები აღმოაჩინეს, რომელიც ვაზის კულტურულ სახეობას ეკუთვნოდა. თიხითაა დამზადებული ქალის მინიატურული ქანდაკებები. თვითნაბადი სპილენძისაგან ჭედავდნენ ნივთებს.*

რესურსი N6. სამოსახლო - რეკონსტრუცია. იერიქონი, ჩათალ ჰუიუქი, შულავერის გორა

	იერიქონი
	**ჩათალ ჰუიუქი**

	შულავერის გორა

კითხვები

- რა ტიპის დასახლებებს შექმნიდა ნეოლითელი ადამიანი? რატომ ფიქროთ ასე?
- რა ტიპის დასახლებაა მოცემული ილუსტრაციაზე? (რესურსი N4)
- როგორ არის შრომა დანაწილებული ნეოლითური სოფლის მოსახლეობას შორის? (რესურსი N4)
- რიგორი ტიპის საზოგადოება ჩამოყალიბდა ნეოლითურ დასახლებებში?
- რა საერთო საზრუნავი და გამაერთიანებელი ფაქტორები ჰქონდა ნეოლითურ დასახლებას? (რესურსი N4)
- როგორ იმართებოდა ნეოლითური დასახლება?
- შენი აზრით რა ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა მიწათმოქმედ და მესაქონლე თემებს შორის?
- რა ფაქტორი განაპირობებდა მოსახლეობის ზრდას ნეოლითურ დასახლებებში?
- იმსჯელე, რა სავარაუდო საფრთხეები შეამცირებდა მოსახლეობას ნეოლითურ დასახლებებში?
- რესრსების N5 და N6 -ის მიხედვით ერთმანეთს შეადარეიერიქონის, ჩათალ ჰუიუქისა და შულავერის გორის დასახლებები და შეავსე შესაბამისი ცხრილი.

ნეოლითური დასახლებები	**საერთო მახასიათებელი**	**განმასხვავებელი მახასიათებელი**
იერიქონი		
ჩათალ ჰუიუქი		
შუალვერის გორა		

მოსწავლისგან მოსალოდნელი პასუხები. დამატებითი ინფორმაცია საკითხის შესახებ:

ქვემოთ მწვანე ფერით თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით აღწერილია, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს კარგ პასუხად. ყვითელი ფერით კი მოცემულია დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისთვის.

სამიზნე ცნება - **ისტორიული მოვლენა / პროცესი**	**კარგ პასუხად შესაძლოა ჩაითვლება პასუხი, სადაც ასახული იქნება:** • ***დაუკვირდი ფოტოებს (რესურსი N1). შენი აზრით რა ფაქტორებმა განაპირობა ფოტოებზე ასახული სამეურნეო იარაღებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შექმნა?*** *შესაძლოა მოსწავლემ დაასახელოს შემდეგი ფაქტორები:* *1.კლიმატური ფაქტორები - გამყინვარების შემდეგ დედამიწაზე დათბა. მონადირე-შემგროვებლებმა დაიწყეს მარცვლეულის დათესვა და მოვლა-მოყვანა, რისთვისაც მათ სჭირდებოდათ სამეურნეო იარაღი და საყოფაცხოვრებო ნივთები, კერძოდ: ცული ხის ტარით, თოხი ხის ტარით, ხის ნამგალი, ხოლო ხორბლის დასაფქვავად კი ხელსაფქვავი, ასევე სხვადასხვა ზომის ჭურჭელი;* *2.გეოგრაფიული გარემო - ადამიანმა მდინარის სიახლოვეს, ტენიან გარემოში დაიწყეს დასახლება, ვინაიდან ამ გარემოში მოსავალი უხვად მოდიოდა და ხანგრძლივადაც ინახებოდა. მათ დაიწყეს სახლების მშენებლობა, რისთვისაც სჭირდებოდათ შესაბამისი სამშენებლო იარაღები.* *3.ბუნებაზე დაკვირვებით მიღებული ცოდნა - სწორედ ბუნებაზე დაკვირვებით მიღებულმა გამოცდილებამ ადამიანს მისცა საშუალება, არა მარტო საკვებად ვარგისი მცენარეები შეერჩია დასათესად, არამედ ცხოველების მოშინაურებაც დაეწყო. ისინი ცხოველის ხორცის გარდა, საკვებად რძეს იყენებდნენ, რომლის გასაფილტრადაც ძაბრი სჭირდებოდათ, ასევე სხვადასხვა ზომის ჭურჭელი რძისა და ხორცის შესანახად, ჭურჭელს კი თიხისაგან ამზადებდნენ. ადამიანმა თიხისაგან აგურის დამზადებაც დაიწყო, რითაც სახლებს აშენებდნენ. სამოსისათვის ქსოვილის მოქსოვად მასალად იყენებდნენ როგორც სელს, ასევე ცხვრის მატყლს. ქსოვილს კი საქსოვ დაზგაზე ქსოვდნენ;* • ***ილუსტრაციებზე წარმოდგენილ სამეურნეო იარაღებზე და საყოფაცხოვრებო ნივთებზე დაყრდნობით (რესურსი 1) იმსჯელე, ძველი ქვის ხანის დასასრულს მეურნეობის რომელი დარგები ყალიბდება? როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი და რამდენად უწყობს ხელს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას? მსჯელობა გაამყარე არგუმენტებით;*** *მოსწავლე ასახელებს მეურნეობის შემდეგ დარგებს და მათზე მსჯელობას უკავშირებს ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას:* *1.მიწათმოქმედება - ადამიანმა თავდაპირველად ყურადღება მიაქცია იმას, რომ მდიანრის სიახლოვეს, ტენიან გარემოში იზრდებოდა მარცვლოვანი მცენარეები, რომელთა ნაყოფიც მათ კარგად ანაყრებდა, ასევე ადვილი მოსაკრეფი იყო და ხანგრძლივადაც ინხებოდა. ადამიანებმა დაიწყეს საუკეთესო მარცვლეულის გადარჩევა დასათესად. თანდათანობთ ისინი მიხვდნენ, რომ თუ ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდოდნენ მაშინ შეძლებდნენ საკუთარი თავის გამოკვებას. მართალია ადამიანს მოსავალს კვლავ ბუნება აძლევდა, მაგრამ მან მოსავლის მოვლა და დაცვაც დაიწყო. ისინი გვალვისას ნათესებს რწყავდნენ, მოსავალს იცავდნენ ფრინველებისა და ცხოველებისაგან. ადამიანი ცდილობდა საცხოვრებლად შემაღლებული ადგილი აერჩია, რადგან ბორცვიდან არემარე საუკეთესოდ მოჩანდა და დასახლების დაცვაც ადვილდებოდა;* *2.მესაქონდლეობა - ერთ ადგილზე დასახლება ხელს არ უწყობდა ნადირობას, კერძოდ გარეული ცხოველები თავს არიდებდნენ ადამიანებით დასახლებულ მიწებს, ადამიანებს კი, რომელთაც უკვე უუდმივი სამოსახლო ადგილი გააჩნდათ აღარ შეეძლოთ ცხოველთა გადაადგილების მიხედვით შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილები. სწორედ ასე იწყება ცხოველთა მოშინაურების პროცესი, რომელიც ათასობით წელი გაგრძელდა და რომელიც ნეოლითელი ადამიანისათვის საკვებით ხორცით შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა.* *3.ხელოსნობა - დროთა განმავლობაში ბინადარ ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება, სულ უფრო და უკეთესი მრავალფეროვანი იარაღი და სხვა ნივთები დაეშზადეინა. მაგრამ ნეოლითურ სოფელში ბევრი საქმე იყო გასაკეთებელი, ამიტომ ყველას აღარ ეცალა ამა თუ იმ ნივტის დასამზადებლად. მაგალითად ჭურჭლის დასამზადებლად, თიხის ქვევრის გასაკეთებლად ძაფის დასართავად, ქსოვილის მოსაქსოვად და სხვა. ასე გაჩნდნენ სოფელში ხელოსნები, ანუ ის ადამიანები, რომლებმაც ესა თუ ის საქმე კარგად იცოდნენ და მხოლოდ ამ საქმით იყვნენ დაკავებულები. ასე შეუწყო ერთ ადგილზე ადამიანთა დასახლებამ ხელი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას გამოყოფოდა ხელოსნობა.* • ***რა ცვლილება განიცადა სამუშაო იარაღმა და რამდენად უწყობდა იგი ხელს ერთ ადგილზე ადამიანთა დასახლებას?*** *მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ და გამოკვეთონ ის ცვლილებები, რაც განიცადა სამუშაო იარაღმა პალეოლითის ხანიდან ნეოლითის ხანამდე და დაუკავშირონ ბინადარ ცხოვრებას. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ გაიხსენონ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი იარაღები, კერძოდ: ქვის ძვლისა და ობსიდიანის იარაღები - ნამგლის პირები, ცულები, თოხისებური და სახნავი იარაღები, ქვასანაყები, საქსოვი დაზგა და სხვა. თუ პალეოლითელი ადამიანი ბუნებრივად წაწვეტებულ და წამახულ ქვას იარაღად იყენებდა, კერძოდ შეეძლო ხის ტოტის მოჭრა, პატარა ცხოველის მოკვლა და გატყავება, ახლა, ნეოლითელმა ადამიანმა შეძლო სხვადასხვა იარაღების დამზადება, რომელიც განსხვავებული სამუშაოსათვის იყო განკუთვნილი. ქვის იარაღის დამზადებაში ადამიანის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალს ქვის გახვრეტა, გაპრიალება, გათლა და ძვლისა და რქის ტარის უფრო მჭიდროს დამაგრება. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა, მისი იარაღები უფრო მრავალფეროვანი გახდა. მიწათმოქმედების განვითარებამ მოითხოვა სახნისი, სახნავი და სამკალი იარაღის დამზადება, ქსოვილზე მოთხოვნილების გაზრდის შედეგად ადამიანმა დაამზადა საქსოვი დაზგა, ხოლო თიხის ჭურჭლის დასამზადებლად - სამეთუნეო ჩარხი.* • ***შენი აზრით, რა ნიშნით არჩევდა ადამიანი მოსაშინაურებლად ცხოველებს? დაასახელე რამდენიმე ნიშანი და იმსჯელე რამდენად შეუწყობდა იგი ხელს ერთ ადგილზე ადამიანთა დასახლებას?*** *მოსწავლე ასახელებს იმ ნიშნებს, რომელსაც მისი აზრით გაითვალისწინებდა ნეოლითელი ადამიანი ცხოველების მოშინაურების დროს და უკავშირებს სოფლის ტიპის დასახლებას.* *ნეოლითელ ადამიანს შესაძლებელია ცხოველი მოეშინაურებინა საკვები რაციონის მიხედვით - ისეთ ცხოველებს მოიშინაურებდა, რომელთა ხორცს და რძეს გამოიყენებდა სადილის მოსამზადებლად; ასევე ნეოლითურ სოფელში საკვებთან ერთად ჭარბად დასჭირდებოდათ ტყავიც და ქსოვილიც, რომელთა საშუალებითაც ტანს შეიმოსავდნენ;* • ***რატომ იხსენიებენ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას კაცობრიობის ისტორიაში „ნეოლითური რევოლუციის“ სახელით?*** *მოსწავლე მსჯელობს „ნეოლითური რევოლუციის“ განმარტების შესახებ - იგი ახალი ქვის ხანაში მომხდარ ცვლილებებს - მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას - აფასებს, როგორც კაცობრიობის ისტორიაში მიმთვისებელი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლას, რაც ნეოლითელი ადამიანის ბინადარ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და რომელსაც ცნობილმა მეცნიერმა გორდონ ჩაილდმა „ნეოლითური*

	რევოლუცია“ უწოდა, ვინაიდან შრომის პირველი დანაწილების შედეგად მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ერთმანეთისგან განსხვავებულ დარგებად ჩამოყალიბდა, ყოველივემ კი ცხოვრების სტილის შეცვლა გამოიწვია.
სამიზნე ცნება - **დრო**	**კარგ პასუხად შესაძლოა ჩაითვლება პასუხი, სადაც ასახული იქნება:** • ***რომელ ხანას მოიცავს ნეოლითური ეპოქა?*** *მოსწავლემ შესაძლებელია დაასახელოს „პრეისტორიული ხანა“, „ქვის ხანა“, უფრო კონკრეტულად კი „ახალი ქვის ხანა“, ან „ნეოლითური ხანა“; მოსწავლემ შესაძლოა ასევე აღნიშნოს, რომ მნიშვნელოვანი გარდაქმნები ადამიანთა ცხოვრებაში ძვ.წ. X-VIII ათასწლეულებში, ახალი ქვის ხანაში დაიწყო.* • ***შენი აზრით, რამდენად მართებულია ნეოლითის ხანაში ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ვუწოდოთ „რევოლუცია“? პასუხი დაასაბუთეთ;*** *მოსწავლემ შესაძლებელია მსჯელობისას ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები შეადაროს მისთვის ნაცნობ, შესწავლილ ხანას - პალეოლითს: კერძოდ - თუ პალეოლითისა და მეზოლითის ადამიანი, რომელიც მიმთვისებელ-მონადირე იყო და თავს ნადირობით და შემგროვებლობით ირჩენდა, ნეოლითში, ანუ ახალი ქვის ხანაში იწყებს მიწათმოქმედებას და აღარ იცვლის საცხოვრებელ ადგილს. ეს ცვლილება კაცობრიობის ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა, რომელსაც გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის განვითარებაში. ნეოლითში ადამიანი გახდა მწარმოებელი, მან შეცვალა ცხოვრების სტილი, დაიწყო ცხოველთა მოშინაურება, ცალკე დარგად ჩამოყალიბდა ხელოსნობაც. ვინაიდან ტერმინი „რევოლუცია“ ნიშნავს ძირფესვიან ცვლილებას, გადატრიალებას ბუნებაში, საზოგადოებასა ან ადამიანის აზროვნებაში, ამიტომ მართებულია ნეოლითის ხანაში მომხდარ ცვლილებებს „რევოლუცია“ ვუწოდოთ;* • ***რუკა N2-ის მიხდვით - სამიწათმოქმედო კულტურების გავრცელება ევროპაში - შეავსე პირველი ნეოლითური დასახლებების წარმოქმნის შესაბამისი ცხრილი სამიწათმოქმედო კულტურების გავრცელების მიხედვით ევროპაში:*** | ***გეოგრაფიული არეალი სამიწმათმოქმედო კულტურების გავრცელების მიხედვით***	***ქრონოლოგიური ჩარჩო***
---	---
„ნოყიერი ნახევარმთვარე“, შუამდინარეთი, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო	***ძვ.წ. X-VIII ათასი წელი***
ამიერკავკასია, ანატოლია, ბალკანეთის ნახევარკუნძული	***ძვ.წ. VIII-VI ათასი წელი***
აპენინის ნახევარკუნძული, პირინეის ნახევარკუნძული, სიცილია, კორსიკა, სარდინია	***ძვ.წ. VI-IV ათასი წელი*** | |

	მოსწავლე ასახელებს არქეოლოგიურ ძეგლებს - იერიქონი, ჩათალ ჰუიუქი, შულავერის გორა; არქეოლოგიურ არტეფაქტებს - ცული ხის ტარით, თოხი ხის ტარით, ხის ნამგალი, ხელსაფქვავი, სასოვი დაზგა, თიხის ქვევრი და სხვადასხვა ზომის ჭურჭელი, არქეოლოგიურ კულტურა - შულავერ-შომუთეფეს არქეოლოგიური კულტურა; • ***როგორ გვეხმარება სხვადასხვა არქეოლოგიური არტეფაქტი ისტორიული რეალობის აღდგენაში?*** *მოსწავლე მსჯელობისას ამახვილებს ყურადღებას არქეოლოგიურ გათხრებზე: მიტოვებული ადგილები, სადაც ადამიანები ოდესღაც ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ხშირად მიწითაა დაფარული, ვინაიდან ადამიანები შესაძლებელია სხვაგან გადასახლდნენ ან ომის დროს განადგურდა იქაურობა და ცხოვრება აღარ გაგრძელებულა, დროთა განმავლობაში კი ნელ-ნელა მტვერმა და მიწამ ყველაფერი დაფარა. ასეთი დასახლებების არქეოლოგების მიერ ხელახლა აღმოჩენის შემდეგ ისტორიკოსები შენობების ნანგრევებისა და ყოველი ნივთის შესწავლას იწყებენ. შესწავლის შედეგად ისინი ადგენენ, რა მასალით და როგორ აგებდნენ ადამიანები იმ დროს სახლებს, როგორი ჭურჭელი ან სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღი ჰქონდათ მათ.* • ***რამდენად სანდოდ შეიძლება ჩაითვალოს მოცემული წყაროები?*** *მოსწავლის პასუხი ორიენტირებული უნდა იყოს რესურსი N1-ზე, ვინაიდან ფოტოებზე წარმოდგენილია არქეოლოგიური ძეგლები და არქეოლოგიური არტეფაქტები. მათზე დაყრდნობით მოსწავლე მსჯელობს არქეოლოგიური არქეფაქტების სანდოობის შესახებ და მაგალითისათვის განიხილავს თიხის ჭურჭელს ქვევრს, (აღოჩენილია სოფელ შულავერთან, „ხრამის დიდ გორაზე“) კერძოდ:თიხის ქვევრზე გამოსახულია ყურძნის მტევნებიანი ორნამენტი. ეს არქეოლოგიური არტეფაქტი სანდოა, ვინაიდან იგი გვაწვდის შემდეგ სანდო ინფორმაციას - ნეოლითელი ადამიანები ჭურჭელს თიხისაგან აშზადებდნენ და ორნამენტებით რთავდნენ, მისდევდნენ მევენახეობას, რადგან ჭურჭელზე გამოსახული ორნამენტი ყურძნის მტევნების მსგავსია. ამ ჭურჭელში ღვინოსაც აყენებდნენ, რადგან ლაბორატორიული ანალიზის შედეგად ჭურჭელში ღვინის კვალი აღმოჩნდა.*
სამიზნე ცნება - **საზოგადოება**	**კარგ პასუხად შესაძლოა ჩაითვლება პასუხი, სადაც ასახული იქნება:** • ***რა ტიპის დასახლებებს შექმნიდა ნეოლითელი ადამიანი? რატომ ფიქროთ ასე?*** *მოსწავლე ასახელებს ნეოლითური დასახლების ტიპებს:* *1.ნეოლითური სოფელი - რომელიც წარმოადგენს მდინარესთან ახლოს ნეოლითელი ადამიანების უსაფრთხო დასახლებას, რომლის გარშემოც პირველად დაამუშავა მიწა. მოსახლეობა სოფელში მცირერიცხოვანი იყო; ადამიანი აღარ ტოვებდა სოფელს, იქ ელოდა მოსავლის აღებას და იქვე ჰყავდა მოშინაურებული ცხოველები;* *2. ნეოლითური ქალაქი - მოსახლეობის ზრდა იწვევდა სოფლის ნეოლითურ ქალაქად გადაქცევას.ნეოლითური ქალაქის მთავარი მახასიათებელი ნიშანი არის გალავანი. ტერმინი „ქალაქი“-ის ფესვები სირიულ და არაბულ ენებში უნდა მოვძებნოთ, სირიულად - „ქარქა“, ხოლო არაბულად - კალა/ყალა - შემორტყმას, ზღუდეს ნიშნავს;* • ***რა ტიპის დასახლებაა მოცემული ილუსტრაციაზე? (რესურსი N4)*** *ნეოლითური სოფელი* • ***როგორ არის შრომა დანაწილებული ნეოლითური სოფლის მოსახლეობას შორის? (რესურსი N4)*** *შრომა დანაწილებულია პროფესიების მიხედვით: მამაკაცები დასახლების უსაფრთხოებას იცავენ,ისინი მეომრები არიან, ასევე დაკავებულნი არიან მშენებლობით და ხელოსნობით, მოშინაურებულ საქონელს უვლიან და მოსავლს თემის სხვა წევრებთან ერთად იღებენ და აბინავებენ. ქალები - სადილს აშზადებენ, წყალს ეზიდებიან, ბავშვები ეხმარებიან ქალებს და თხებს მწყემსავენ. ნეოლითურ სოფელში კოლექტიური თანამშრომლობაც არსებობდა, მაგალითად ნადირობისა და საკვების განაწილების დროს.* • ***რიგორი ტიპის საზოგადოება ჩამოყალიბდა ნეოლითურ დასახლებებში?*** *ნეოლითურ დასახლებების ფარგლებში ჩამოყალიბდა პირველი ორგანიზებული საზოგადოება, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ ტერმინით - „გვაროვნული თემი“, რადგან პირველი ნეოლითური დასახლებები გვაროვნული და ნათესაობით პრინციპით შეიქმნა.* • ***რა საერთო საზრუნავი და გამაერთიანებელი ფაქტორები ჰქონდა ნეოლითურ დასახლებას? (რესურსი N4)*** *ნეოლითურ სოფლებში დაახლოვებით რამდენიმე ათეული ადამიანი ცხოვრობდა. მათ საერთო საზრუნავი - მარცვლეულის მოყვანა და შემდეგ მისი შენახვა-დაბინავება აერთიანებდათ. მიწა ერთი პირის საკუთრება არ იყო და ის საერთო საკუთრებად ითვლებოდა, რომელსაც თემის წევრები ერთად აშუშავებდნენ.* • ***შენი აზრით რა ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა მიწათმოქმედ და მესაქონლე თემებს შორის?*** *მიწათოქმედ და მესაქონლე თემებს შორის ორგვარი ურთიერთობა შეიძლება არსებულიყო:* *1.მშვიდობიანი ურთიერთობა (ვაჭრობა) - რომლის დროსაც მიწათმოქმედი და მესაქონლე მეთემეები ერთმანეთს უცვლიდნენ მოწეულ მოსავალსა და მესაქონლეობის პროდუქტებს მარტივი გაცვლა-გამოცვლის ფორმით;* *2.საომარი მოქმედებები - ომი და რესურსებისათვის (პროდუქტისათვის) ბრძოლა ნეოლითის „გამოგონებაა“.* • ***რა ფაქტორი განაპირობებდა მოსახლეობის ზრდას ნეოლითურ დასახლებებში?*** *ნეოლითურ დასახლებებში გაჩნდა ოჯახები, რომელთაც უკვე სტაბიკური სამოსახლო ჰქონდათ. ამის გამო იმატა შობადობამ, შედეგად გაიზარდა ადამიანების რაოდენობა დასახლებაში. პალეოლითისაგან განსხვავებით, როცა მუდმივად მომთაბარეობის პირობებში ბავშვის აღზრდა რთული ამოცანა იყო, ნეოლითური ოჯახი ბავშვის აღზრდისათვის სტაბილურ პირობებს ქმნიდა. ოჯახები უკვე ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ და სახლებსაც ახლ-ახლო იშენებდნენ.* • ***იმსჯელე, რა სავარაუდო საფრთხეები შეამცირებდა მოსახლეობას ნეოლითურ დასახლებებში?*** *საომარი მოქმედებების გარდა ნეოლითურ დასახლებებში მოსახლეობას ამცირებდა სხვადასხვა დაავადებებისა და ეპიდემიების გაჩენა, რომელიც ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული:1.გარეული ცხოველების მოშინაურებამ და მათ სიახლოვეს ცხოვრებამ ადამიანებს ახალი დაავადებები მოუტანა. თანამედროვე*

<table>
<tr>
<td></td>
<td>
ბაქტერიული და ვირუსული გადამდები დაავადებების დიდი ნაწილი ნეოლითიდან მოდის. ამ ეპოქაში გაჩნდა გრიპი, წითელა და ყვავილი. 2. ნეოლითელ ადამიანს ნაკლები მოძრაობა უწევდა პალეოლითელ ადამიანთან შედარებით და უფრო მეტ დამუშავებულ საკვებსაც იღებდა. ყოველივეს შედეგად ნეოლითში გაჩნდა ჭარბი წონა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ყოველივე კი მოსახლეობას ნეოლითურ დასახლებებში ამცირებდა.

რესრსების N5 და N6 -ის მიხედვით ერთმანეთს შეადარეთ იერიქონის, ჩათალ ჰუიუქისა და შულავერის გორის დასახლებები და შეავსე შესაბამისი ცხრილი.

<table>
<tr><th>ნეოლითური დასახლებები</th><th>საერთო მახასიათებელი</th><th>განმასხვავებელი მახასიათებელ</th></tr>
<tr><td>იერიქონი</td><td>მრგვალი სამოსახლო, სამშენებლო მასალა, რელიგიური წარმოდგენები, მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ხელოსნო</td><td></td></tr>
<tr><td>ჩათალ ჰუიუქი</td><td>რელიგიური წარმოდგენები, სამშენებლო მასალა,მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ხელოსნობას</td><td>დასახლების განსხვავებული ფორმა</td></tr>
<tr><td>შუალვერის გორა</td><td>მრგვალი სამოსახლო, სამშენებლო მასალა, რელიგიური წარმოდგენები,მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ხელოსნო</td><td>სახლებს აქვთ გუმბათოვანი გადახურვ</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>სამიზნე ცნება - ძალაუფლება</td>
<td>
კარგ პასუხად შესაძლოა ჩაითვლება პასუხი, სადაც ასახული იქნება:

როგორ იმართებოდა ნეოლითური დასახლება?
ნეოლითურ დასახლებებში ყალიბდება პირველი სამართლისა და ძალაუფლების ჩანასახები. თუნდაც მცირე დასახლების ან გვაროვნული თემის ორგანიზებისათვის აუცილებელი იყო ქცევათა გარკვეული ნორმებისა თუ წესების დადგენა, რაც სამართლის შექმნის წინაპირობაა. სტაბილურად ხანგრძლივ თანაცხოვრებას აუცილებლად თან მოჰყვებოდა მისი ცალკეული წევრების ძალაუფლების ზრდა, რაც ქონებრივი ან ფიზიკური ან სხვა რაიმე უპირატესობით იყო განპირობებული. ამ შემთხვევაში ლიდერი საკუთარი თემის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, სადავო საკითხების განხილვისას გადაწყვეტილებას იღებდა, სამიწათმოქმედო სამუშაოებს გეგმავდა, საკუთარი სახელისა და ავტორიტეტისათვის ზრუნავდა. თუმცა სახელმწიფოსა და სისტემური მართვის ორგანოების შექმნა ნეოლითურ დასახლებებში არ შექმნილა.

</td>
</tr>
</table>

დამატებითი ინფორმაცია პედაგოგისთვის.

ავტორი: ლევან ახვლედიანი - ნეოლითი - ცვლილებები ნეოლითში, სოციალური ორგანიზაციის ფორმები ნეოლითში

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ისტორია ძირითადად სახელმწიფოსა და დამწერლობის წარმოშობიდან იწყება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ მსოფლიო ისტორიის ეს კურსი ნეოლითიდან დავიწყოთ. ასეთ მიდგომას თავისი ახსნა მოეძებნება: ახალი ქვის ხანა, ეს ის ეპოქაა, როდესაც საფუძველი ეყრება თანამდროვე ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ უამრავ მოვლენასა თუ ინსტიტუტს, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, ტექნოლოგიებისა და მშენებლობის განვითარება, რელიგიური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, წინარე სახელმწიფოს სტრუქტურების ფორმირება და სხვა. ჩვენი აზრით, ნეოლითის ხანაში მომხდარი ცვლილებების ანალიზის გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის განვითარების სრულყოფილი სურათის შექმნა.

მიწათმოქმედების და მესაქონლეობის წარმოშობა. ნეოლითი (ძვ.წ. X – IV ს.ს.) წარმოადგენს ქვის ხანის დამასრულებელ ეტაპს. ამ ეპოქაში მოხდა გრანდიოზული გადატრიალება, რომელსაც ინგლისელმა მეცნიერმა გორდონ ჩაილდმა „ნეოლითური რევოლუცია" უწოდა. ნეოლითური რევოლუცია არის კაცობრიობის ისტორიის ის ეტაპი, როდესაც მიმთვისებლური მეურნეობიდან (ნადირობა, შემგროვებლობა, მეთევზეობა) საზოგადოება გადავიდა მწარმოებლურ მეურნეობაზე (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა). კაცობრიობა დღემდე აგრძელებს არსებობას იმ პროგრესის საფუძველზე, რომლებსაც ამ ეპოქის საზოგადოებამ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში მიაღწია. უკვე 7 –10 ათასი წლის წინათ ადამიანმა მარცვლეულის, ხილისა და ბოსტნეულის იმ ძირითადი ჯიშების გამოყვანა დაიწყო, რომლებითაც დღემდე ვსარგებლობთ. მოგვიანებით ამ კულტურების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ

გაზრდილა, გაიზარდა მხოლოდ მათი გავრცელების არეალი. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლითში სამიწათმოქმედო სამუშაოები ძალიან დიდ ფიზიკურ დანახარჯებს მოითხოვდა, ეს შრომა მაინც გამართლებული იყო, რადგანაც შემგროვებლობასთან შედარებით მიწის დამუშავება საკვებით მომარაგების უფრო მდგრად პირობებს ქმნიდა.

იგივე შეიძლება ითქვას მესაქონლეობაზეც. ახალი ქვის ხანაში დაიწყო იმ ცხოველების მოშინაურება – ძროხა, ხარი, ცხვარი, თხა, ღორი, ფრინველი, რომლებიც დღესაც წარმოადგენენ ჩვენი კვების რაციონის ძირითად შემადგენელ ნაწილს. საწყისს ეტაპზე ადამიანი ამ ცხოველების მხოლოდ ხორცს, ტყავსა და ბეწვს იყენებდა. მხოლოდ, მოგვიანებით საზოგადოებამ ჯეროვნად დააფასა რძის და მისგან მიღებული პროდუქტების სარგებელი. ჩამოთვლილი პროდუქტების გარდა, საზოგადოებამ ამ ცხოველების ენერგიის გამოყენებაც დაიწყო, განსაკუთრებით ეს ითქმის მსხვილფეხა საქონელზე. მოგვიანებით, როდესაც მოიშინაურეს ცხენი და აქლემი, ადამიანს დიდი სივრცეების სწრაფად გადალახვის საშუალება მიეცა. ამ ცხოველების გარეშე წარმოუდგენელია ცივილიზაციის განვითარების პროცესი.

ამრიგად, ნეოლითის ეპოქაში პირველად მოხდა შრომის დანაწილება – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ერთმანეთისგან განსხვავებულ დარგებად ჩამოყალიბდნენ. ამან გამოიწვია ცხოვრების სტილის შეცვლა, წარმოიშვნენ მიწათმოქმედი – ბინადარი და მესაქონლე – მომთაბარე საზოგადოებები. ასეთმა დიფერენციაცია არათანაბარი განვითარების მიზეზი გახდა და ცალკეულმა საზოგადოებებმა წინსვლა განსხვავებული გზებითა და განსხვავებული ტემპებით განაგრძეს.

ნეოლითის დროს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლის პროცესი ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე, მაგალითად, პალეოლითიდან – მეზოლითზე. მიუხედავად იმისა, რომ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ცალკეულ დარგებად ყალიბდებოდნენ, ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ადამიანის საქმიანობის წამყვან სფეროებს და მხოლოდ დამატებითი ფუნქციის მატარებლები იყვნენ. იქ, სადაც ბუნებრივი პირობები არ იყო ხელსაყრელი, ნეოლითის ხანაში ადამიანი ისევ ნადირობასა და მეთევზეობას მისდევდა. თუ ნეოლითის ხანის ბოლოს ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ჩინეთსა და ინდოეთში მიწათმოქმედება პრევალირებდა, ევროპაში ის ნაკლებად იყო განვითარებული, ხოლო დედამიწის სხვა რაიონებში სულაც ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წამყვან პოზიციებს იკავებდა

ქვის დამუშავების ახალი ტექნოლოგიების განვითარება. ნეოლითი ახალი ტექნოლოგიების ეპოქადაც შეიძლება ჩაითვალოს. ქვის დამუშავების ინდუსტრიამ სრულყოფილებას მიაღწია, რაზეც სამუშაო იარაღის დამზადების მაღალი ხარისხი მიუთითებს. პალეოლითისგან განსხვავებით, ახალ ქვის ხანაში ადამიანებმა პირველად მოახერხეს ქვის გაჭრა, გახვრეტა და გაპრიალება. ამგვარად დამზადებული იარაღი აღარ იყო ისეთი უხეში, როგორც მანამდე. ასევე შეიცვალა ქვის სახეობებიც (მაგ., დიორიტი, ნეფრიტი, იასპი და სხვა), რომლებსაც იარაღის დასამზადებლად იყენებდნენ. ამგვარი ხარისხის ქვის სახეობების მოსაპოვებლად ადამიანმა დაიწყო მათი მიწისქვეშა მოპოვება, რაზეც იმ დროში მაღაროების არსებობა მიუთითებს. ქვის მაღალტექნოლოგიურმა დამუშავებამ საგრძნობლად გაზარდა იარაღის ასორტიმენტი. მიწათმოქმედების განვითარების რაიონებში არქეოლოგები ხშირად მოიპოვებენ სანაყებს, მარცვლეულის საფქვავს, მარტივ თოხს მიწის დამუშავებისთვის, კაჟის ნამგლებს და სხვა იარაღებს. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ახალი ტიპის ნაჯახი, რომელიც ბრტყელი და ტრაპეციის ფორმისა იყო. ამგვარი იარაღით შედარებით ადვილი იყო ხის მოჭრა და მისი დამუშავება, რაზეც მიუთითებს ამ დროს დამზადებული ხის თხილამურები, ციგები, ნავები და სხვა.

მეთუნეობის წარმოშობა. ნეოლითის ეპოქას ზოგიერთი სწავლული „კერამიკის საუკუნესაც" უწოდებს. სწორედ ამ დროს იწყება თიხის გამოყენება სხვადასხვა სახის სამეურნეო და საოჯახო ინვენტარის დასამზადებლად. სამეთუნეო მორგვის გამოგონებამდე თიხას, რომელშიც დაფხვნილ ნიჟარებს, ბალახს ან ქვიშას ურევდნენ (ამით ნაკეთობა უფრო მყარი ხდებოდა), ხელით ზელდნენ და სათანადო ფორმას აძლევდნენ. ამგვარად დამზადებულ კერამიკულ ნაწარმს წყლის, მარცვლეულის და სხვადასხვა პროდუქტების შესანახად და ტრანსპორტირებისთვის იყენებდნენ. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ კერამიკის დამუშავებას ძირითადად ქალები მისდევდნენ.

საფეიქრო წარმოების განვითარება. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი იყო საფეიქრო წარმოების ჩასახვა. ადამიანმა შეძლო სამოსის დამზადების ახალი მეთოდების შემოღება. თუ მანამდე ტანსაცმლის შესაქმნელად ძირითადად ტყავს იყენებდნენ, ახალი ქვის ხანაში სამოსის დასამზადებლად ტყავის

გარდა დაიწყეს კანაფის, ჭინჭრის, თმებისა და მატყლისგან დამზადებული ძაფის გამოყენება. ამგვარად მიღებული ტანსაცმელი სხვადასხვა საღებავით იღებებოდა, რაც მას სილამაზესა და სინატიფეს სძენდა. ამ ეპოქის განათხარებში არქეოლოგებმა ძაფის სართავი და საქსოვი პრიმიტიული მოწყობილობები აღმოაჩინეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნეოლითში შრომის დანაწილების კიდევ ერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად ცალკე დარგად ჩამოყალიბება დაიწყო ხელოსნობამ.

მშენებლობისა და არქიტექტურის განვითარება. წინა ეპოქებისგან განსხვავებით, ნეოლითის ადამიანი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა, რაც სამიწათმოქმედო ცხოვრების წესზე გადასვლამ გამოწვია. მიწურების, ქოხებისა და ხიმიჯებიანი ნაგებობების გარდა, ადამიანმა დაიწყო თიხის, ხისა და ქვის სახლების მშენებლობა. ხელოსნობის განვითარებამ ცხოვრების უკეთესი პირობები შექმნა, რის შედეგადაც გაჩნდა მეტ–ნაკლებად სტაციონარული დასახლებები. მოგვიანებით ეს დასახლებები ქალაქური ტიპის სამოსახლოებად ჩამოყალიბდა. ნეოლითური არქიტექტურის დიდ ნამოსახლარებში სივრცის ორგანიზების ორი განსხვავებული ტიპია ასახული: პირველ შემთხვევაში, ესაა მრგვალი ფორმის დასახლება ცენტრალური მოედნით, რომლისგანაც მზის სხივების მსგავსად „გამოდიან" ქუჩები, ხოლო მეორე შემთხვევაში გვხდება დაგეგმარება, რომელიც გულისხმობს სწორი კუთხით გადამკვეთი „ქუჩების" სისტემას.

ახალი ქვის ხანაში ადამიანები საკუთარ საცხოვრებლებს სხვადასხვა მასალით აგებდნენ. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ ბუნებრივ გარემოში მდებარეობდა კონკრეტული დასახლება. ტყიან ზოლში სახლებს ძირითადად ხისგან აგებდნენ, ხოლო კლდოვან ადგილებში – ქვისგან. მესოპოტამიაში არც ქვა იყო და არც ხე, ამიტომ საშენ მასალად თიხას იყენებდნენ. მესაქონლე საზოგადოებებში, სადაც მოსახლეობა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, საცხოვრებელი, ხშირ შემთხვევაში, კარავს წარმოადგენდა, რომელსაც ტყავის, თივის ან თოვლისგან (ჩრდილოეთში) აგებდნენ. ნეოლითურ სამოსახლოებში უკვე გვხვდება დახურული კერია და მარტივი ავეჯი, ასევე, სახლის ირგვლივ განლაგებული სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობები: ბეღელი, საკუჭნაო, თივის ფარდული და სხვა. ამ ეპოქაში მცირე აზიაში, სირიასა და პალესტინაში დიდი და მდიდარი დასახლებები წარმოიქმნა, რომელთაც კედელი ჰქონდათ შემოვლებული. სწორედ, ამან ათქმევინა გორდონ ჩაილდს, რომ ნეოლითური რევოლუცია, ამავე დროს, „ურბანული (ქალაქური) რევოლუციაც" არის. თუმცა დღეს მრავალი მკვლევარი ამ აზრს არ იზიარებს. მშენებლობის სფეროში ახალი ქვის ხანაში წარმოიშვა ისეთი უცნაური და, ხშირ შემთხვევაში, საიდუმლოებით მოცული ნაგებობები, როგორიცაა მეგალითები. ეს ორიგინალური შენობები ქვის უზარმაზარი ლოდებისგან იყო აგებული და უმეტეს შემთხვევაში საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

მხატვრობის განვითარება. ნეოლითის მხატვრობაში ნიშანდობლივია ფიგურათა გამოსახვის არარეალისტური მიდგომა, განსაკუთრებით ეს ეხება ევროპას. ამ ეპოქის საფრანგეთისა და ესპანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კედლის მხატვრობის ნიმუშების დათვალიერებისას ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს კაცობრიობა დაუბრუნდა ადრეული პალეოლითის პრიმიტიულ ფერწერას. ახალი ქვის ხანაში კედლის მხატვრობაში ვხვდებით ხაზების უწესრიგო ხლართებს, წერტილთა რიგებს, გაურკვეველ სქემატურ ნიშნებს და სხვა მინიშნებებს. ადამიანის ფიგურა წარმოდგენილია ერთგვაროვანი თხელი ხაზების მეშვეობით, თუმცა ეს ნაკლებად ეხებათ ცხოველთა გამოსახულებებს. გამქრალია ფერწერის ისეთი გამომსახველობითი ხერხების გამოყენება, რომლითაც აგრერიგად მდიდარი იყო პალეოლითის ეპოქის ალტამირასა და ლასკოს გამოქვაბულების მხატვრობა. დაისმის შეკითხვა – რა გახდა ამგვარი დეგრადაციის მიზეზი?

დღეს მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ ამგვარი ცვლილება სულაც არ იყო გამოწვეული ნეოლითელთა ოსტატობის ხარისხის დაცემით ან პროპორციის გრძნობის დაკარგვით. ამ შემთხვევაში ადამიანთა ფიგურების სტილიზაცია პასუხობს ახალი ეპოქის ძირითად მიზანს – მოქმედების, მოძრაობისა და მასობრივი სცენების გამოსახვას. ხელოვნების ესთეტიკური და შემეცნებითი დანიშნულება უკანა პლანზე გადადის. ძირითადი ადგილი ეთმობა მის კომუნიკაციურ, რელიგიურ და მემორიალურ ფუნქციას. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამგვარი გამომსახველობითი ფორმების არსებობა ნიშანია არა პრიმიტიულობისკენ დაბრუნებისა, არამედ ადამიანის იმ საფეხურზე ასვლისა,

როდესაც კონკრეტულ აზროვნებასთან ერთად ნელ-ნელა ფეხს იკიდებს მოვლენათა განზოგადების უნარი.

ნეოლითური კულტურები. როგორც ზემოთ ვთქვით, ნეოლითური კულტურის გავრცელება დედამიწის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულ დროს მიმდინარეობდა.

ნეოლითური რევოლუციის ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში წარმოიქმნა რამდენიმე ადრე სამიწათმოქმედო კულტურა, რომლებიც პირველი ცივილიზაციების საწყისს პლასტად შეიძლება ჩაითვალოს.

იორდანულ – პალესტინური კულტურა. განსაკუთრებულ კულტურულ ზონას წარმოადგენს იორდანულ-პალესტინური კომპლექსი, რომელიც მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით, მდინარე იორდანის ხეობაში მდებარეობს, ბიბლიური ქალაქის – იერიქონის ტერიტორიაზე. ეს ნასახლარი 4 ჰექტარზე იყო გაშენებული და 4 მეტრი სიმაღლის ქვის სქელი კედლებით იყო გარშემორტყმული. კედელში ჩაშენებული იყო 7 მეტრი სიმაღლის საყარაულო კოშკი.

როგორც ჩანს, კედლის ძირითად დანიშნულებას დასახლების მტრისგან დაცვა წარმოადგენდა. ეს კი გახშირებულ თავდასხმებსა და შეტაკებებზე მიუთითებს. არქეოლოგიური განათხარიდან ჩანს, რომ ნასახლარის მოსახლეობა შენობა-ნაგებობების მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, რაც ცხოვრების საკმაოდ მაღალ დონესა და არქიტექტურის განვითარებაზე მიუთითებს. სახლების კედლებს სქელი ალიზისგან აშენებდნენ, ხოლო იატაკი წითლად ან კრემისფრად შეღებილი კირქვით იყო გალესილი, ღებავდნენ კედლებსაც: დაახლოებით მეტრამდე სიმაღლეზე ის წითელი იყო, ხოლო ზემოთ, ჭერამდე -კრემისფერი. კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ყველა ნაგებობა ბანიანი გადახურვით ხასიათდებოდა და იატაკი მიწის ზედაპირზე ან მის ქვევით იყო. ამგვარი არქიტექტურა განპირობებული იყო ცხელი და მშრალი ჰავით. სახლებს შორის პატარა ეზოები იყო, სადაც საჭმელს ამზადებდნენ. იერიქონელები იმ დროისთვის არცთუ ისე ცუდად იკვებებოდნენ. მათ რაციონში ძირითადად ხორცი (როგორც წესი, ნანადირევი) და ხორბალი შედიოდა. ცხოველთაგან მოშინაურებული ჰყავდათ ძაღლი, კატა და თხა.

ნეოლითური იერიქონი გორდონ ჩაილდმა გათხარა. სწორედ ამ დასახლებაზე დაყრდნობით, მეცნიერმა შემოიტანა ისეთი ცნებები, როგორებიცაა „ურბანული (ქალაქური) და აგრარული (სამიწათმოქმედო) რევოლუცია”.

2. ჩათალ ჰუიუქის კულტურა. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა მცირე აზია (დღევანდელი თურქეთი). არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს დასახლება, რომელსაც ჩათალ ჰუიუქი (დღევანდელი ადგილის სახელის მიხედვით) ჰქვია. ნეოლითში ამ რეგიონში 20-მდე დასახლება მდებარეობდა, რომელთაგანაც ჩათალ ჰუიუქი ერთგვარ „დედაქალაქს” წარმოადგენდა. ის მეტად მდიდარი „ქალაქი” იყო და 2-ათასიდან 6-ათასამდე მოსახლეს იტევდა. აქ ადამიანები ალიზის შენობებში ცხოვრობდნენ. ჩათალ ჰუიუქის მოსახლეობა მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით იყო დაკავებული. აქაური ნეოლითელები 14-მდე სახეობის მცენარეს და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს აშენებდნენ. მათ რაციონში შედიოდა რამდენიმე ჯიშის ხორბალი, ქერი, მუხუდო, ფსტა, ნუშის ზეთი და სხვა. ცხოვრების მაღალ დონეზე მიუთითებს გათხრების შედეგად აღმოჩენილი სხვადასხვა სახის სამკაულები – საყურეები, სამაჯურები, მძივები და ყელსაბამები, ასევე კოსმეტიკის მრავალფეროვანი საშუალებებიც. ჩათალ ჰუიუქის მდიდარ სამყაროზე მიუთითებს აქ აგებული სალოცავები, რომლებიც კედლის მხატვრობითა და თიხის ბარელიეფებით ხასიათდება.

3. ჩრდილო მესოპოტამიის და დასავლეთ ირანის კულტურები. ნეოლითის მესამე, მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ჩრდილო მესოპოტამიის და დასავლეთ ირანის კულტურები. ამ რაიონების მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებას ეწეოდა, რაზეც ქვის ფუნდამენტზე აგებული ალიზის სქელკედლიანი სახლები მიუთითებს. ცალკეულ დასახლებებს უკვე ჰქონდათ სქელი, გარს შემოვლებული კედლები და დიდი კარები. აქაურ ბინადრებს მოჰყავდათ სხვადასხვა სახის მცენარეული კულტურები და აშენებდნენ ცხვარს, თხასა და ღორს. გარდა თიხის ჭურჭლისა, ადგილობრივები ქვის ჭურჭელსაც ამზადებდნენ. არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს ნახევარმთვარის ფორმის პირველი ნამგალი. ასეთი რამ სხვაგან არ გვხდება. როგორც ჩანს, ამ დასახლებების მოსახლეობა საკმაოდ კომფორტულად ცხოვრობდა, რაზეც მიუთითებენ თიხის სათამაშო ქვები.

გარდა ამ სამი ზონისა ოდნავ გვიანდელი ნეოლითური კულტურები აღმოჩენილია შუა აზიის, ინდოეთის, ჩინეთის, ბალკანეთის და კავკასიის (მათ შორის საქართველოს) ტერიტორიაზეც. ევროპის ცენტრალურ და ჩრდილო ნაწილებში ნეოლითური საზოგადოება ჩამოყალიბებას გაცილებით გვიან იწყებს „დემოგრაფიული რევოლუცია". მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლამ „დემოგრაფიული რევოლუცია" გამოიწვია. მეცნიერთა აზრით, ამ ეპოქაში მსოფლიოს მოსახლეობა 15-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის რაოდენობის ამგვარი ცვლილება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ განაპირობა.

ოლითური ოჯახი. პალეოლითისა და მეზოლითისგან განსხვავებით, ნეოლითში უფრო მყარი ერთობები ყალიბდებიან. იცვლება ადამიანთა შორის ურთიერთობებიც. ამგვარი ცვლილება, პირველ რიგში, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლით იყო განპირობებული. ახალ ქვის ხანაში უმცირეს უჯრედს ოჯახურ-კლანური სამიწათმოქმედო (მოგვიანებით მესაქონლე) ერთობები წარმოადგენდნენ. ეს ტენდენცია კარგად აქვთ აღწერილი აფრიკაში მომუშავე ანთროპოლოგებს. მათი დაკვირვებით, „ჯგუფის ლიდერს ჩვეულებრივ წარმოადგენდა მამა-პატრიარქი, რომელსაც ერთი ან რამდენიმე ცოლი ჰყავდა და საკუთარ შვილებთან (ხშირად ამ შვილებს თვითონ ჰყავდათ ოჯახები), ძმებთან (საკუთარი ოჯახებით) და სხვა უახლოეს ნათესავებთან ერთად ცხოვრობდა. ეს ოჯახურ-კლანური ერთობა ერთიან სამეურნეო სისტემას წარმოადგენდა და ე. წ. ჩაკეტილ კომპაუნდს (compound - შედგენილი, რთული. ამ შემთხვევაში ტერმინი ადამიანთა რთული ერთობის აღსანიშნავად გამოიყენება) ქმნიდა. ამ კომპაუნდის ტერიტორიაზე თითოეულ ქალს საკუთარ შვილებთან ერთად, როგორც წესი, თავისი ქოხი და სამზარეულო გააჩნდა. მამაკაცებს კი საერთო საცხოვრებელი ჰქონდათ. მხოლოდ ოჯახის ლიდერი ცხოვრობდა ცალკე საცხოვრისში. ამავე ტერიტორიაზე აგებული იყო სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის ნაგებობა - ბეღელი, ბოსელი და სხვა. კომპაუნდში საშუალოდ 15 – 20 ადამიანი ცხოვრობდა".

ოჯახი ძალიან მკაცრ იერარქიულ ურთიერთობებზე იყო დაფუძნებული. ის აღარ წარმოადგენდა თანასწორთა ერთობას, რომელიც მხოლოდ სქესობრივ და ასაკობრივ განსხვავებას ითვალისწინებდა. სქესი, ასაკი, გარკვეულ თაობასთან და საქორწინო კლასთან მიკუთვნებულობა, დაბოლოს, ადგილი ოჯახში განსაზღვრავდა თითოეული ადამიანის სტატუსს. შედეგად მივიღეთ უთანასწორობა, რომელიც სოციალურ და ასაკობრივ სისტემებში გამოიხატებოდა. ამ პრინციპზე აგებულ საზოგადოებას რანგული საზოგადოება შეიძლება ვუწოდოთ. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ ოჯახში მაღალი სტატუსის მქონე პირების რაოდენობა შეზღუდული იყო. აქედან გამომდინარე საშუალო და დაბალი პოზიციების რაოდენობა გაცილებით მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო. დაბალ რანგს განეკუთვნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ქორწინებაში იყვნენ, მაგრამ არ ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, ან მოზარდები, რომელთაც ახალგავლილი ჰქონდათ ინიციაციის (ლათ. Initiatio - კურთხევა - რიტუალი, რომელიც სოციალურ ჯგუფში ან მისტიკურ საზოგადოებაში სრულდება და ინდივიდის განვითარების ერთი საფეხურიდან ახალ საფეხურზე გადასვლას გულისხმობს. ამგვარ რელიგიურ რიტუალებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია კოლექტიური წეს-ჩვეულება, რომელიც ბავშვობიდან - მოზარდობის (ზრდასრული) ასაკში გადასვლას გულისხმობს) რიტუალი. ამავე რანგს განეკუთვნებიან ბავშვებიც ან ოჯახს შემოკედლებული სხვა კლანის წარმომადგენლები ე. წ. უცხოები.

ამ ფონზე ლიდერის რანგი ყველაზე მაღალია. მისი სტატუსი არა იმდენად საკუთარ დამსახურებებს და არჩევითობას ეყრდნობა (როგორც ეს პალეოლითის და მეზოლითის მონადირე საზოგადოებებში იყო), არამედ მემკვიდრეობით მიღებულ ძალაუფლებას. შესაბამისად, ეს სტატუსი ურყევია და ჯგუფის წევრების ნებაზე არაა დამოკიდებული. უთანასწორობა ლიდერსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის ადვილად შესამჩნევია. რაც შეეხება მის ფუნქციებს, ისინი განსხვავდებიან პალეოლითისა და მეზოლითის ლიდერის ფუნქციებისგან. ნეოლითში პატრიარქი უკვე აღარ არის მარჯვე მონადირე და მომპოვებელი, ის, პირველ რიგში, ორგანიზატორია, რაც გულისხმობს კომპაუნდის კეთილდღეობაზე ზრუნვას, სადავო საკითხების განხილვისას გადაწყვეტილების მიღებას, სამიწათმოქმედო სამუშაოების დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას და ა. შ. ასევე სხვა ხასიათს იღებს საკუთარი პრესტიჟისთვის ბრძოლა და მისი შენარჩუნება, რაც სამიწათმოქმედო საზოგადოებებში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

თუ პალეოლითსა და მეზოლითში ლიდერი ვალდებული იყო პირადი მაგალითით ჯგუფის წევრებისთვის საკუთარი ავტორიტეტის ურყეობა თითქმის ყოველდღიურად ემტკიცებინა (მაგ., მოეპოვებინა ყველაზე მეტი ნანადირევი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სხვა, მასზე უფრო მოხერხებული შეცვლიდა), ახალ ქვის ხანაში ამის კეთება აღარ არის საჭირო (ძალაუფლება ხომ მემკვიდრეობით გადადის). სამაგიეროდ,

აქტუალური ხდება ავტორიტეტის მოპოვება ოჯახურ - კლანური ჯგუფის გარეთ, კერძოდ, სასოფლო თემში. აქ კი, უკვე აშკარად ჩანს ქონებრივი უთანასწორობის ნიშნები.
სასოფლო თემი. პატრიარქი ჯერ კიდევ არ არის კერძო მესაკუთრე, თუმცა განკარგავს მთელ იმ ქონებას, რომელიც მის ოჯახს ეკუთვნის. სწორედ მის ავტორიტეტულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ის, თუ ვის რამდენი სარჩო ერგება პირადი მოხმარებისთვის და რა რაოდენობის ჭირნახული უნდა დარჩეს საერთო მარაგისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ ოჯახის ლიდერი ზედმეტი პროდუქტის განმკარგავი ხდება.
ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოჯახი სასოფლო თემის ნაწილს წარმოადგენდა, ამიტომ, პატრიარქის, როგორც განმანაწილებლის და განმკარგავის როლი პირდაპირ იყო დამოკიდებული თემის შიგნით არსებულ ურთიერთობებზე. ნეოლითის საწყისს ეტაპზე რესურსების ნაკლებობის პრობლემა არ არსებობს. ყველა ოჯახს აქვს საკმარისი მიწა დასამუშავებლად და მათი განაწილება სოციალური სამართლიანობის ან წილისყრის მიხედვით ხდება. თუმცა აქ თავს იჩენენ სუბიექტური ფაქტორები - ზოგიერთი ოჯახი უფრო მრავალრიცხოვანი და შრომისუნარიანია, ზოგიერთი ოჯახის ლიდერი უფრო ჭკვიანი და გამჭრიახია. აქედან გამომდინარე, ოჯახების ნაწილი ხდება კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი და მდიდარი, ხოლო ნაწილი უფრო მცირერიცხოვანი და ღარიბი.
ისმის შეკითხვა: რაზეა დამოკიდებული ოჯახების მრავალრიცხოვნება? - ღარიბ ოჯახებში დიდ პრობლემად რჩება ცოლის მოყვანა (ნეოლითში ქალები ეკვივალენტური ურთიერთგაცვლის საშუალებას წარმოადგენდნენ. ეს პრობლემა ზოგიერთ ქვეყნებში დღემდე რჩება), რადგანაც ის პირდაპირ იყო დამოკიდებული საქმროს მატერიალურ მდგომარეობაზე. ამიტომ, ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც მატერიალურად უკეთესს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ცოლის მოყვანისა და გამრავლების უკეთესი შანსი ჰქონდათ, რაც პირდაპირ აისახებოდა ამ ოჯახში მუშახელის რაოდენობასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი თემის შიგნით დემოგრაფიული უთანაბრობისა და აქედან გამომდინარე უთანასწორობის გაჩენისა.
თემში ყოველთვის იყო რამდენიმე მაღალი, პრესტიჟული თანამდებობა (თემის ლიდერი, უხუცესთა საბჭოს წევრი, რელიგიური ლიდერი და სხვა), რომელთა ქონა ამაღლებდა ავტორიტეტს. ეს ავტორიტეტი კი მის მფლობელს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა. იმისათვის, რომ თემის შიგნით რომელიმე მაღალი თანამდებობისთვის მიეღწია, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა პირადი გამორჩეული თვისებები ან უხვად უნდა დაერიგებინა ზედმეტი საკვები თანამეთემეებისთვის. მაგრამ, თუ მონადირულ საზოგადოებებში თანამდებობის მაძიებელი არიგებდა იმას, რასაც თვითონ მოიპოვებდა (ანთროპოლოგიაში ამგვარ ურთიერობებს რეციპროკული გაცვლა ჰქვია. ლათ. Reciproco - უკან დაბრუნება - ჯგუფის თითოეული წევრი კოლექტიური მოხმარებისთვის მოიპოვებდა იმდენ საკვებს, რამდენიც შეეძლო და იღებდა იმდენს, რამდენიც ეკუთვნოდა), ნეოლითში ლოკალური ჯგუფის უფროსს ჰქონდა უფლება გაენაწილებინა ის პროდუქტი, რომელიც მთელი ოჯახის შრომის შედეგს წარმოადგენდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თემში ჯერ კიდევ ბატონობს ეკვივალენტური გაცვლის პრინციპი - პროდუქტის გაცემის სანაცვლოდ პრივილეგიების მინიჭება, თუმცა ამგვარ გაცვლას ვეღარ ვუწოდებთ რეციპროკულს. როგორც მოსწრებულად თქვა კ. პოლანიმ - ამგვარ ურთიერთობას რედისტრიბუცია (ლათ. Distribution - განაწილება; Re-distributio - გადანაწილება) შეიძლება ვუწოდოთ.
რედისტრიბუცია მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრინციპია, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც კოლექტივის ქონების ან ზედმეტი პროდუქტის განკარგვა ჯგუფის ლიდერის პრეროგატივა ხდება. მდიდარი ოჯახის პატრიარქი ამ უხვი და დემონსტრაციული გაცემის საფუძველზე იმაღლებს საკუთარ პრესტიჟს და თემში უფრო მაღალ თანამდებობას იკავებს.
ამგვარი მაგალითები უხვად მოიპოვება ანთროპოლოგების საველე კვლევებში. მაგ., მდიდარი ოჯახის პატრიარქმა ყველა საკუთარი ღორი ერთბაშად დაკლა და რელიგიური დღესასწაულის დროს თანასოფლელებს ხორცი უხვად დაურიგა. ეკვივალენტური გაცვლის კანონი ყველა გამასპინძლებულისგან ითხოვდა საჩუქრის უკან დაბრუნებას. მაგრამ, რადგანაც მატერიალური ფორმით ამის გაკეთება ყველას არ შეეძლო, სამაგიერო ამ ლიდერს პრესტიჟის ამაღლებითა და სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭებით უბრუნდებოდა. საჩუქრის მიმღებები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ და, ამიტომ თემის მეთაურის არჩევისას მათი ხმები უზრუნველყოფდნენ გამჩუქებლის წარმატებას.

დასკვნის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ფრანგი ანთროპოლოგის მ. მოსის მოსწრებული სიტყვები - „ჩუქება ამაღლებს, ხოლო საჩუქრის მიღება ამდაბლებს".
დაისმის შეკითხვა - როგორ ირჩევდნენ თემის ლიდერს? უხუცესის ან უხუცესთა საბჭოს წევრების (უხუცესთა საბჭო ძირითადად რამდენიმე სოფლისგან შემდგარ თემში ფუნქციონირებდა) არჩევა მეტ-ნაკლებად დემოკრატიული პრინციპით ხდებოდა: ამომრჩევლები ითვალისწინებდნენ კანდიდატის პირად თვისებებს, სოციალურ რანგს, პრესტიჟს, რომელიც უხვი საჩუქრების გაცემით მიიღწეოდა. თემის ლიდერის ფუნქციები, მით უმეტეს რამდენიმე კვარტლისგან ან სოფლისგან შემდგარი თემისა, საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი იყო. მათ რიცხვს განეკუთვნებოდა მრავალრიცხოვან ოჯახებს შორის სახნავი მიწების რეგულარული განაწილება, თემის რესურსებით სარგებლობის სამართლიანი უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, მეზობელ თემებთან ურთიერთობა, რომელშიც იგულისხმებოდა თემთაშორისი კავშირების დამყარება, რიტუალური აქციები და სხვა. ასე რომ, ლიდერს უმაღლესი რედისტრიბუტორის როლი ეკისრებოდა, რაც კოლექტიური დოვლათისა და თემის მიერ მოპოვებული ზედმეტი პროდუქტის (ეს დოვლათი თემის საზოგადოებრივ ბეღელში რჩებოდა) განაწილებას გულისხმობდა. როგორ გროვდებოდა ეს პროდუქტი?
თავისი რთული და, რაც მთავარია, თემის ნორმალური არსებობისთვის აუცილებელი მუშაობისთვის, უხუცესი, როგორც წესი, ოჯახების უფროსებისგან იღებდა საჩუქრებს. საჩუქრის მირთმევა დასაწყისში სპორადული იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მან რეგულარული ხასიათი მიიღო. ეს საჩუქრები, ისევე, როგორც თემის თითოეული წევრის მონაწილეობა ლიდერის და მისი ცოლებისთვის სახლის აგებაში, უხუცესის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფასებას ნიშნავდა. პირველ ეტაპზე ეს ძღვენი, საკვებისა და მარცვლეულის სახით, საზოგადოებრივ ბეღელში ინახებოდა და ლიდერის შესამჩნევ გამდიდრებას არ იწვევდა, რადგანაც ის უფრო მეტს გასცემდა, ვიდრე იღებდა. მაგრამ დროთა განმავლობაში პროდუქტი სულ უფრო მეტი და მეტი გროვდებოდა და უხუცესი მეთემეებისთვის საერთო ქონების არა მარტო განმანაწილებელი, არამედ „მიწის მესაკუთრე" ხდებოდა. ის მიწას უკვე თავისი ნება-სურვილით გასცემდა და ამიტომ მოწეული მოსავლიდან არა საჩუქარი, არამედ გადასახადი ეკუთვნოდა. გაზრდილ თემში, რომელშიც მართვა და ურთიერთობების დარეგულირება კიდევ უფრო გართულდა, საჭირო გახდა სხვადასხვა თანამდებობის შემოღება, რამაც მმართველ ელიტასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის გაზარდა დისტანცია.
ამრიგად, თემის უხუცესმა თემის წევრებზე გარკვეული ძალაუფლება მოიპოვა. მაქს ვებერის (გერმანელი სოციოლოგი) კლასიკური ფორმულით, ძალაუფლება - არის შესაძლებლობა სხვებისთვის საკუთარი ნების თავსმოხვევისა, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა ან თანხმობისა.
ისმის კითხვა - რა ხდება შემდეგ?
თემთა გაერთიანება - ზეთემური საზოგადოება. თუ ლოგიკას მივყვებით, შემდეგ უნდა მიმდინარებდეს მეზობელ თემთა გაერთიანება. ყველაზე იღბლიანი, მდიდარი და ძლიერი თემის ხელმძღვანელი იმორჩილებს მეზობელ თემებს (აერთიანებს იმავე პრინციპით, რომელიც თემის დამორჩილებისას არსებობდა, კერძოდ, თემის უხუცესი გასცემდა უფრო მეტ საჩუქრებს, ვიდრე სხვა თემის ლიდერები, რითაც საკუთარ პრესტიჟს და ავტორიტეტს იმაღლებდა სხვა თემთა წევრების თვალში), რასაც ზეთემური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე მივყავართ. თუმცა იმისათვის, რომ ასეთი სოციუმი შეიქმნას, საჭიროა რამდენიმე პირობის არსებობა:
1)ოპტიმალური ეკოლოგიური გარემო - ეს ნიშნავს, რომ ტერიტორია, რომელზეც თემები ცხოვრობენ უნდა გამოირჩეოდეს რბილი და თბილი კლიმატით, ნაყოფიერი მიწითა და წყლის უხვი რესურსებით (ვგულისხმოთ დიდ და შლამიან მდინარეებს), რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს არა მარტო რეგულარულად მორწყას ნათესები, არამედ თავიდან აიცილოს ნიადაგის გამოფიტვა.
2)მეორე ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ამ საზოგადოებაში წარმოების შედარებით მაღალი დონის არსებობა, რაც გულისხმობს რესურსების რაციონალურ მოხმარებას, მეზობლებთან რეგულარულ გაცვლა-გამოცვლას, შრომის კოორდინაციასა და კოოპერაციას. შედეგად ვიღებთ ზედმეტი პროდუქტის ზრდის ტენდენციას.
3) მესამე პირობად შეიძლება ჩავთვალოთ აუცილებელი დემოგრაფიული ოპტიმუმის არსებობა, რაც გულისხმობს მოსახლეობის განსაზღვრულ სიმჭიდროვეს. სწორედ გაზრდილი სიმჭიდროვის პირობებში მიმდინარეობს მეზობელ თემთა ლიდერებს შორის სასტიკი კონკურენცია.

ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ფ. ოპენჰაიმერი, ზეთემური საზოგადოებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ომებს ანიჭებდა. თუმცა ამგვარი თეორიები ვერ ხსნიდნენ, თუ რის ხარჯზე ჩნდებოდნენ ისეთი მძლავრი ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იყო ჯარისა და არმიის არსებობა. ამიტომ თანამედროვე მკვლევრები უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ომები და დაპყრობები არა მიზეზი, არამედ ზეთემური სისტემის წარმოქმნის შედეგი უფრო იყო. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ომები საერთოდ არავითარ როლს არ თამაშობდნენ ახალი სისტემების ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, არა! პატარა რაზმები საზოგადოების კონსოლიდაციაში იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ისინი მხოლოდ დამატებით ძალას წარმოადგენდნენ. გაერთიანების საფუძველს კი წარმოადგენდა ლიდერებს შორის მშვიდობიანი ეკონომიკური კონკურენცია, რაც დოვლათის გაზრდის სტიმულირებას უწყობდა ხელს. თემის ის უხუცესები, რომლებიც ამგვარი კონკურენციის პირობებში მარცხდებოდნენ, იძულებულები იყვნენ უფრო ძლიერ კონკურენტს დამორჩილებოდნენ. ასე იზრდებოდა და ფართოვდებოდა თემთა გაერთიანება, რომელსაც შესაძლებელია პროტოსახელმწიფო ვუწოდოთ.

პროტოსახელმწიფო. პროტოსახელმწიფო წარმოადგენდა თემთა გაერთიანებას, რომლებიც ადმინისტრაციულად ქალაქური ტიპის (გორდონ ჩაილდი) ცენტრალურ დასახლებას ექვემდებარებოდა, სადაც ბელადის რეზიდენცია და მისი გარემოცვა იყო. ბელადის ფუნქციაში შედიოდა ეფექტური ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მიზანსაც ოპტიმალური წარმოებისა და მაქსიმალური ზედმეტი პროდუქტის შექმნა წარმოადგენდა. ამასთანავე მას სამხედრო წინამძღოლობაც დაეკისრა.

საქმე ის გახლავთ, რომ პროტოსახელმწიფოების ერთ რეგიონში (ახლო აღმოსავლეთი) წარმოშობის გამო მათ შორის კონკურენცია იზრდებოდა, რასაც თან სდევდა ომები და კონფლიქტები. ამიტომ ბელადისთვის სამხედრო ლიდერობა უმნიშვნელოვანეს ფუნქციად იქცა. ამ ომების ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა არა ძარცვა, არამედ შედარებით სუსტი მეზობლების შემოერთება.

პროტოსახელმწიფოების გამსხვილებამ შექმნა იერარქიული სისტემა, რომლის სათავეში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისგან თავისუფალი ელიტა იდგა (ადმინისტრატორები, ქურუმები და მეომრები), რომელსაც განსაკუთრებული პერსონალი (მსახურები, მონები) ემსახურებოდა. უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობები ძირითადად არჩევითი იყო. რაც შეეხება მეომრებს - ისინი პროფესიონალი ჯარისკაცები იყვნენ. მათ მოვალეობას საკუთარი პროტოსახელმწიფოს დაცვა წარმოადგენდა. მოსახლეობის ძირითად ნაწილს მიწათმოქმედები შეადგენდნენ, რომლებიც მსახურები და მონები, უცხოელები ან ტყვეები იყვნენ. ამავე საზოგადოებას განეკუთვნებოდნენ ხელოსნებიც (იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელოსნები არ არსებობდნენ ან ცოტანი იყვნენ). პროფესიონალ ხელოსნებზე მოთხოვნილება ქვის დამუშავების გართულებამ და ლითონის წარმოებაზე გადასვლამ განაპირობა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენდნენ ქურუმები. ხშირ შემთხვევაში საერო ლიდერი, ამავე დროს, უმაღლესი ქურუმის თანამდებობას ითავსებდა.

ისმის შეკითხვა - რატომ?

პროტოსახელმწიფოში, ისევე როგორც თემში, ადმინისტრაციული ხელისუფლება არჩევითი იყო. თუმცა, როდესაც ბელადი აღწევდა უზენაესს ძალაუფლებას, მისთვის მძიმე იყო იმ პრივილეგიების (იგულისხმება ტრიადა - პრესტიჟი, ავტორიტეტი და ძალაუფლება) დათმობა, რომლითაც სარგებლობდა. ამიტომ, ის ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციის ხარჯზე ცხოვრების ბოლომდე შეენარჩუნებინა ხელისუფლება. სწორედ აქ ჩნდება ამ ხელისუფლების საკრალიზაციის (ლათ. saker - sakris - წმინდა - რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული; საკრალიზიაცია - ფართო გაგებით არის ის, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ღვთაებრივ, რელიგიურ, ციურ, იმქვეყნიურ, ირაციონალურ და მისტიკურ მოვლენებთან) აუცილებლობა.

სწორედ ამ დროიდან ხდება ბელადი ღვთაებრივი მადლის მატარებელი, როგორც ძლევამოსილი შუამავალი ცოცხალ და ზებუნებრივ ძალებს შორის. ამ უკვე რთული რელიგიურ-მითოლოგიური იდეოლოგიის გასამყარებლად იქმნება მღვდელმსახურთა კასტა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რელიგიური სისტემები მხოლოდ ბელადის ძალაუფლების გასაძლიერებლად შეიქმნა, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ადრეული მითოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა პიროვნების და უმაღლესი თანამდებობის საკრალიზაციამ.

ამგვარმა ცვლილებამ ხელი შეუწყო ბელადის თანამდებობის ამაღლებას პიროვნულიდან -სიმბოლომდე. მმართველის პრესტიჟი, ავტორიტეტი და ძალაუფლება კოლექტივში აღიქმებოდა, როგორც იმანენტური (ლათ. Immanentis - საგნის, მოვლენის შინაგანად დამახასიათებელი, მისთვის ნიშანდობლივი, მისი ბუნებიდან გამომდინარე) ფუნქცია, უფრო მეტიც, როგორც საკრალური თვისება ბელადისა. აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა შეხედულებამდე ღვთაებრივი მადლის შესახებ, რომელიც მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი სოციალურ კიბეზე. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ამგვარი მადლის მატარებელნი მხოლოდ ხელისუფლებასთან ახლო მდგომი ადამიანები და მათი ნათესავები ხდებოდნენ.
შეხედულებების ამგვარმა ცვლილებამ, ე. წ. „მსოფლმხედველობითმა რევოლუციამ" დიდი როლი ითამაშა საზოგადოების მომავალი განვითარების საქმეში. როგორც უკვე ვთქვით, ბელადის ინსტიტუტის საკრალიზაციამ გამოიწვია მისი, როგორც საზოგადოების ლიდერის ძალაუფლების ღვთაებრივი უფლების დაკანონება. ხელისუფლება ხდებოდა სამუდამო, ხოლო ბელადის არჩევნები სულ უფრო მცირდებოდა. თუ ადრეულ ეპოქებში ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ჩართულიყო, ახლა მდგომარეობა შეიცვალა. იმის გამო, რომ პროტოსახელმწიფოს მმართველობა მრავალფუნქციური და რთული გახდა, ლიდერის აღზრდა, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან იწყებოდა. ასე, რომ მმართველობაზე პრეტენდენტთა რაოდენობა შემცირდა - მასზე პრეტენზიას მხოლოდ მმართველი ოჯახის წარმომადგენლები აცხადებდნენ. თუმცა სირთულეები აქაც მრავლად გამოჩნდა. ხელისუფლებისთვის ბრძოლა ახლა უკვე ოჯახს შიგნით წარიმართა. ბრძოლაში ბელადის ძმები და შვილები ჩაერთვნენ. ამის გამო, საჭირო გახდა მემკვიდრეობის წესის დახვეწა, რამაც ხელისუფლების მამიდან უფროსს შვილზე გადაცემის ტრადიცია დაამკვიდრა.
დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ აქ მთავრდება პროტოსახელმწიფოს ფორმირება, რომლის ძირითადი მახასიათებლები ასე შეიძლება გამოიყურებდეს:
·გენეალოგიაზე დამყარებული მმართველობა;
·ლიდერის საკრალიზაცია;
·შრომის დანაწილება.
·სოციალური და ქონებრივი უთანასწორობა;

შეფასების ჩარჩო

შეფასების ჩარჩო ხუთი სვეტისგან შედგება. მეხუთე სვეტი მასწავლებლის კომენტარისთვისაა დატოვებული. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სვეტები კი წარმოაჩენს, რა ნიუანსები უნდა აისახოს შემაჯამებელ კომენტარში:

შეფასების პროცესში ყველაზე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს **მესამე სვეტს - ქვესაკითხებს.** მასწავლებლის ამოცანაა მოსწავლის მიერ დაწერილ ნაშრომში გააანალიზოს, თუ რამდენად სწორად, კონტექსტის შესაბამისად იყენებს მოსწავლე ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.

ამ ანალიზში მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომია, რომელიც მოცემულია მეოთხე სვეტში. აქ (ანუ მეოთხე სვეტში) მოცემულია ტიპური ფორმულარები, რომლებიც მასწავლებელმა მოსწავლის ნაშრომთან მიმართებით უნდა დააზუსტოს და შესაბამისად გადააკეთოს. არ არის საკმარისი იმის დიაგნოსტირება, თუ რამდენად აქვს გააზრებული მოსწავლეს საკითხი, მასწავლებელმა დამადასტურებლად უნდა მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები მოსწავლის ნაშრომიდან.

კომენტარი იწერება მეხუთე სვეტში თითოეული სამიზნე ცნებისთვის, რომელსაც გაერთიანებული სახით გადაიტანს ელექტრონული ჟურნალის შესაბამის გრაფაში.

სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების მიმართულებით პროგრესი მოწმდება შემდეგ ქვეცნებებსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლის ცოდნის შესამოწმებლად გამოყენებულ უნდა იქნას არა მხოლოდ ის შეკითხვები, რომლებიც აქცენტირებულად რომელიმე სამიზნე ცნებას (მაგალითად, დროს, ან წყაროს) შეეხება. დასკვნები უნდა გაკეთდეს ნაშრომის მთლიანობითი ანალიზის საფუძველზე.				
ცნება	**ქვეცნებები**	**ქვესაკითხი** (რამდენად ოპერირებს მოსწავლე ქვემოთ მოცემული ქვესაკითხებით)	**ეროვნული სასწავლო გეგმის ტაქსონომიის მიხედვით**	**მასწავლებლის კომენტარი**
დრო (ისტორიული პერიოდი) 1.ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია; 2.კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა; 3.სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ.	ეპოქა/პერიოდიზაცია	ქვის ხანა; ნეოლითი	**მიმართებითი დონე** ნაშრომიდან ჩანს, რომ მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხების მნიშვნელობა; მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას სხვა სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან; მაგალითად ის ასახელებს ქვის ხანას და აკონკრეტებს ქვის ხანის რა პერიოდს ეწოდება ნეოლითი, ახსნის თუ რის მიხედვით მოხდა ამდაგვარი დაყოფა; მოსწავლეს შეუძლია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგოს სამიწათმოქმედო კულტურერბის გავრცელებული არეალები; აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; მაგალითად ის მსჯელობს ნეოლითის ეპოქაში მომხდარ იმ ცვლილებებზე, რომლებმაც განსაზღვრა ქვის ხანის ამ პერიოდის მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების თვალსაზრისით. **მულტუსტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში კონტექსტის შესაბამისად იყენებს ქვესაკითხებს, მაგრამ სწორად არ აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა; მაგალითად ასახელებს ნეოლითს , თუმცა უჭირს ახსნას და დააკავშიროს შესაბამის ეპოქასთან. ვერ ხედავს/არ წარმოაჩენს ნაშრომში ქვესაკითხების მიმართებას ქვეცნებებთან (ანუ მსგავსი ბუნების სხვა ქვესაკითხებთან), ასევე სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან. უჭირს სამიწათმოქმედო არეალების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გალაგება . ახასიათებს ნეოლითური ხანის მახასიათებლებს , თუმცა უჭირს ახსნას , რატომიყო ეს მოვლენა რევოლუციური. **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში ახსენებს ქვესაკითხებს კონტექსტისგან მოწყვეტილად. მათ არ უკავშირებს შესრულებულ დავალებაში მოხსენიებულ სხვა საკითხებს. მაგალითად შესაძლოა მან დაასახელოს	

			ნეოლითის ხანა , მაგრამ ის ვერ მიაკუთვნოს შესაბამის ეპოქას. ან დაასახელოს მხოლოდ ერთი მახასიათებელი იმ ცვლილებისა , რომელიც ამ პერიოდში მოხდა. **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში არ/ვერ იყენებს ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.	
სივრცე 1.გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე; 2.კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს; 3.კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.	ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია/სივრცე;	ახლო აღმოსავლეთი, შუამდინარეთი, ნოყიერი ნახევარმთვარე, სამხრეთ კავკასია, ეგვიპტე	**მიმართებითი დონე** ნაშრომიდან ჩანს, რომ მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხების მნიშვნელობა; მაგალითად მოავლეს შეუძლია იმსჯელოს გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატის გავლენაზე , რამაც ადამიანის საქმიანობა განაპირობა . იმსჯელოს მდინარეების როლზე ნეოლითირი დასახლების გაჩენასთან მიმართებაში. აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; მოსწავლეს შეუძლია ახსნას თუ რა ეკონომიკური, კულტურული და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიულ არეალებს, კერძოდ მსჯელობს მდინარის როლზე და მისგან გამოწვეულ პროგრესულ ცვლილებებზე. მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას სხვა სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან; მოსწავლე მართებულად იყენებს გეოგრაფიულ ტერმინთა ცოდნას , ასახელებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს , ეგვიპტეს, მსჯელობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულნეოლითურ დასახლებებზე. ახსნის რას და რატომ ეწოდა ნოყიერი ნახევარმთვარე. **მულტუსტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში კონტექსტის შესაბამისად იყენებს ქვესაკითხებს, მაგალითად ასახელებს ნოყიერი ნახევარმთვარე, სამდინარო ცივილიზაცია, ასახელებს ახლო ღმოსავლეთის ქვეყნებს, მაგრამ სწორად არ აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა; ვერ ხედავს/არ წარმოაჩენს ნაშრომში ქვესაკითხების მიმართებას ქვეცნებებთან (ანუ მსგავსი ბუნების სხვა ქვესაკითხებთან), ვერ ასახელებს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მდინარეთან სიახლოვეს ნეოლითური დასახლებების გაჩენას და რა სასიკეთო ცვლილებების მოტანა შეეძლო მდინარეს და ზოგადად კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოს.	

			ასევე სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან. **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში ახსენებს ქვესაკითხებს კონტექსტისგან მოწყვეტილად. მაგალითად მოსწავლეს შეუძლია აჩვენოს ნეოლითური დასახლება გეოგრაფიულ რუკაზე პირობითინიშნის დახმარებით, ასევე დაასახელოს ნოყიერი ნახევარმთვარის არეალში არსებული ერთი რომელიმე ქვეყანა, თუმცა მათ არ უკავშირებს შესრულებულ დავალებაში მოხსენიებულ სხვა საკითხებს. **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში არ/ვერ იყენებს ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.	
ისტორიული წყარო 1.ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; 2.წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან; 3.ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.	არქეოლოგიური მასალა	არქეოლოგიური არტეფაქტები , არქეოლოგიური კულტურა, ძეგლები	**მიმართებითი დონე** ნაშრომიდან ჩანს, რომ მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხების მნიშვნელობა; მოსწავლე ასასხელებს არქეოლოგიურუ ძეგლებსა და არტეფაქტებს და უკავშირებს მას შესაბამის კულტურას. მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას სხვა სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან; აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; მოსწავლე მსჯელობს თიხის ჭირჭელზე და საუბრობს ამ არტეფაქტის სანდოობაზე, უკავშირებს თითოეულ არტეფაქტს ადამიანის მაშინდელ საქმიანობას და გამოთქვამს ვარაუდებს, თუ რატომ შეიძლება იწვევდეს ნეოლითური არტეფაქტებით გადმოცემული ინფორმაცია ისტორიკოსებს შორის დავას. **მულტუსტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში კონტექსტის შესაბამისად იყენებს ქვესაკითხებს, მაგალითად ასახელებს ფოტოებზე წარმოდგენილ ნივთებს, მაგრამ სწორად არ აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა; ვერ ხვდება , როგორ შეიძლება ნივთიერი წყაროებით აღადგინოს ისტორიული რეალობა. ვერ ხედავს/არ წარმოაჩენს ნაშრომში ქვესაკითხების მიმართებას ქვეცნებებთან (ანუ მსგავსი ბუნების სხვა ქვესაკითხებთან), ასევე სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან. მაგალითდ უჭირს იმსჯელოს ნეოლითური წყარების სანდოობაზე,	

			უნისტრუქტურული დონე მოსწავლე ნაშრომში ახსენებს ქვესაკითხებს კონტექსტისგან მოწყვეტილად. მათ არ უკავშირებს შესრულებულ დავალებაში მოხსენიებულ სხვა საკითხებს. მაგალითად შეუძლია ამოიცნოს ფოტოზე გამოსახული არტეფაქტი , თუიმცა ვერ ახსნას მისი მნიშვნელობა და ვერ დაუკავშიროს შესაბამის არქეოლოგიურ კულტურაას. **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში არ/ვერ იყენებს ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.	
საზოგადოება 1.ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; 2.საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად; 3.პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; 4.საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.	ყოველდღიურობა (ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება; საზოგადოებრივი ჯგუფები და მათ სტრუქტურა რელიგია	გვაროვნული თემი	**მიმართებითი დონე** ნაშრომიდან ჩანს, რომ მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხების მნიშვნელობა; აღწერს ნეოლითურ სოფელს , და მსჯელობს თუ როგორ იყო შრომა განაწილებული საზოგადოების წევრებს შორის. მოსწავლემ იცის გვარონული თემის მნიშვნელობა და მსჯელობს იმ საერთო ინტერესებსა და საზრუნავზე, რომელიც გვარის ჩამოყალიბებას განაპირობებდა. აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; ერთმანეთს ადარებს მიწათმოქმედ და მესაქონლე საზოგადოებას, მსჯელობს განსხვავების მიზეზებზე; ერთმანეთს ადარებს იერიქონის, ჩათალ ჰუიუკის და შულავერ შომუთეფეს დასახლებებს და მსჯელობს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე. მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას სხვა სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან; მოსწავლეს შეუძლია ახსნას დემოგრაფიული ზრდის მიზეზები ნეოლითის ხანაში და ისაუბროს იმ გამოწვევებზე , რომელთა წინაშეც დგებოდა იმ ეპოქის საზოგადოება. **მულტუსტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში კონტექსტის შესაბამისად იყენებს ქვესაკითხებს, მაგრამ სწორად არ აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა; მოსწავლეს შეუძლია აღწეროსნეოლითური სოფელი, თუ როგორ იყო განაწილებული საქმიანობა საზოგადოებისწევრებს შორის, დაასახელოს საფრთხეები, რომელტა გამკლავებაც უხდებოდა საზოგადოებას,	

			ჩამოთვალოს საეტრთო ინტერესები, რაც მათ აერთიანებდათ,თუმცა ვერ ხედავს/არ წარმოაჩენს ნაშრომში ქვესაკითხების მიმართებას ქვეცნებებთან (ანუ მსგავსი ბუნების სხვა ქვესაკითხებთან), ასევე სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან. უჭირს იმსჯელოს დემოგრაფიული ზრდის მიზეზებზე, შეადაროს და განასხვავოს ერთმანეთისგან არქეოლოგიური დასახლებების მიხედვით ადამიანთა საქმიანობები. უჭირს ახსნას გვაროვნული თემის ჩამოყალიბების პროცესი. **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში ახსენებს ქვესაკითხებს კონტექსტისგან მოწყვეტილად. მათ არ უკავშირებს შესრულებულ დავალებაში მოხსენიებულ სხვა საკითხებს. მაგალითად შეუძლია დაასახელოს და აღწეროს სურათზე წარმოდგენილი ნეოლითური სოფლის საზოგადოების მხოლოდ საქმიანობა . ვერ მსჯელობს მათ საერთო ინტერესებზე , გვაროვნული თემის არსზე **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში არ/ვერ იყენებს ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.	
ძალაუფლება 1.ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია; 2.ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს; 3.ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;	მმართველობის ფორმა	ნეოლითური დასახლების ლიდერი	**მიმართებითი დონე** ნაშრომიდან ჩანს, რომ მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხების მნიშვნელობა; მოსწავლე მსჯელობს და გამოთქვამს ვარაუდებს, თუ როგორ იმართებოდა ნეოლითური სოფელი, რამდენად საჭიროებდა ლიდერს ნეოლიოთური საზოგადოება. რა ნიშან-თვისებებით უნდა ყოფილიყო გამორჩეული ლიდერი? აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; მსჯელობს ლიდერის მოვალეობებზე და ადარებს და ახსნის მსგავსება-განსხვავებას პალეოლითელ ლიდერთან მიმართებით. მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას სხვა სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან; შესაძლოა შეადაროს ნეოლითის ხანის ლიდერი თანამედროვე ლიდერს და დაასაბუთოს, თუ რატომ არ შეიძლება იერიქონზე, შულავერ-შომუთეფეზე და სხვა დასახელებებზე, როგორც სახელმწიფოზე საუბარი. **მულტუსტრუქტურული დონე**	

4.ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის; დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.			მოსწავლე ნაშრომში კონტექსტის შესაბამისად იყენებს ქვესაკითხებს, მაგრამ სწორად არ აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა;ვერ ხედავს/არ წარმოაჩენს ნაშრომში ქვესაკითხების მიმართებას ქვეცნებებთან (ანუ მსგავსი ბუნების სხვა ქვესაკითხებთან), ასევე სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან. ის აღნიშნავს , რომ საჭირო იყო ნეოლითური დასახლებისათვის მმართველი, შეუძლია ჩამოთვალოს ლიდერის თვისებები, თუმცა ვერ უკავშირებს ნეოლითური ცვლილებით გამოწვეულ იმ ცვლილებებს , რამაც ლიდერის მოვალეობები შეიძლება შეცვალოს . **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში ახსენებს ქვესაკითხებს კონტექსტისგან მოწყვეტილად. მათ არ უკავშირებს შესრულებულ დავალებაში მოხსენიებულ სხვა საკითხებს. მოსწავლეს ასახელებს , რომ ნეოლითურ სოფელს სჭირდება ლიდერი, თუმცა ვერ ხსნის თუ რა საჭიროებამ შეიძლება განაპირობოს მისი არსებობა. **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში არ/ვერ იყენებს ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.	
ისტორიული მოვლენა / პროცესი 1.ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები; 2.ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ; 3.ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს; 4.ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.	რევოლუცია	ნეოლითური რევოლუცია	**მიმართებითი დონე** ნაშრომიდან ჩანს, რომ მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხების მნიშვნელობა; ის ახსნის თუ როგორ ხდებოდა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პროცესი, როგორი იყო ბუნების გავლენა იმ ცვლილებაზე, რაც კაცობრიობამ განიცადა ახალი ქვის ხანაში. აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს; ის ახსნის თუ რა ცვლილებები განიცადა იარაღმა და როგორ აისახა ის ადამიანის საქმიანობის რადიკალურ შეცვლაზე. როგორ გადაიქცა ადამიანი შემგროვებლობიდან მწარმოებელ (მიწათმოქმედ და მესაქონლე) სუბიექტად, მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას სხვა სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან; მართებული არგუმენტებით ახსნის იმ გლობალურ შედეგებს , რაც ამ ცვლილებას მოჰყვა კაცობრიობის განვითარების მანძილზე. **მულტუსტრუქტურული დონე**	

			მოსწავლე ნაშრომში კონტექსტის შესაბამისად იყენებს ქვესაკითხებს, მაგრამ სწორად არ აქვს გააზრებული მათი მნიშვნელობა; ვერ ხედავს/არ წარმოაჩენს ნაშრომში ქვესაკითხების მიმართებას ქვეცნებებთან (ანუ მსგავსი ბუნების სხვა ქვესაკითხებთან), ასევე სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ცოდნასთან. მას შეუძლია დაასახელოს და თუ რას ცვლილება მოხდა ნეოლითურ ხანაში, თუმცა უჭირს დაასაბუთოს, რატომ უწოდეს მეცნიერებმა ამ მოვლენას რევოლუცია. ახსნის იმას, თუ რა ცვლილება განიცადა ნეოლითური ხანის იარაღმა, ადამიანთა საქმიანობამ, მაგრამ უჭირს დაასაბუთოს რა შედეგების მომტანი იქნებოდა კაცობრიობის განვითარებისთვის. **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში ახსენებს ქვესაკითხებს კონტექსტისგან მოწყვეტილად. მათ არ უკავშირებს შესრულებულ დავალებაში მოხსენიებულ სხვა საკითხებს. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოსადამიანის საქმიანობა ნეოლითში, თუმცა ვერ მსჯელობს იმ პროცესზე, რომელმაც კაცობრიობა ამ ცვლილებამდე მიიყვანა. **პრესტრუქტურული დონე** მოსწავლე ნაშრომში არ/ვერ იყენებს ქვესაკითხების სახით განსაზღვრულ ცოდნას.	

წყაროები მოძიებულია ბ-ნ გიორგი ახალკაციშვილის მიერ, მეთოდური აპარატი შექმნილია ქ-ნ ნანა ციხისთავის მიერ.

„აღმშენებლობა და ხელოვნება [აქემენიანთა სპარსეთში - გ.ა]

1. გახლავართ ქსერქსე, ხელმწიფე დიდი მეფე ხშაიარშა მეფეთამეფე. მიწათმპყრობელი, მხარეთმფლობელი, ამ სამფლობელოს მეუფე სრული. დარაიავაჰუს მემკვიდრე ვაჟი, – ჰახამანიანთ საგვარეულოს. ახლა კი ვიტყვი, ხშაიარშა მეფე: "მე აღმიგია სასახლე ესე". ქსერქსე, პერსეპოლისი (XPj)
2. ასე აცხადებს მეფე ხშაიარშა: აჰურამაზდას წადილისამებრ ეს სრა-სასახლე დარაიავაჰუმ – მან, მამაჩემმა ააგო ტურფად. ქსერქსე, სუზა (XSa)
3. კეთილშობილი ქვისგან თლილი სვეტების რიგით დარაიავაჰუს ეს სრა-სასახლე დამშვენებულა, – დიადი მეფის ნაგებ-ნაშენი, და წოდებულა ის აპადანად!. დარიოს მეორე, სუზა (D2Sa)
4. დარაიავაჰუ ვარ, მეფე დიადი, მეფეთა მეფე, ქვეყნების მპყრობი, ამ სამფლობელოს სრული მეუფე ართახშათრას ძე, მეფის მემკვიდრე, ჰახამანიანთ შთამომავალი. ამბობს ხელმწიფე დარაიავაჰუ: "ეს სრა აეგო χერ ართახშათრას, –ვინც არის ჩემი მშობელი მამა, – შემდეგ მე კვლავაც ვაშენე მეტი, აჰურამაზდას მაღალი ნებით". დარიოს მეორე, სუზა (D2Sb) სრა-სასახლე აპადანა აუგია ართახშათრას. თლილი ქვისგან, ჩამოქნილი სვეტთა რიგი ჩაურაზმავს! არდაშირი – დიდი მეფე, მეფე დარიოსის წული. მითრა სწყალობს აქემენიდს, მწყალობელიმც იყოს სრული! ართაქსერქსე მეორე, ჰამადანი (A2Hb), (ძველი ექბათანა).

წყაროებზე მუშაობა:

წაიკითხეთ წყაროები, გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტები, შეადარეთ აღნიშნული წყაროები ერთმანეთს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. სად და როდის შეიქმნა ეს წყარო?
2. ვინ არის მისი ავტორი? რას ფიქრობთ წყაროს ავტორის შესახებ?
3. რა არის მოთხრობილი წყაროში?
4. წყაროზე მუშაობისას რა უნდა ვიცოდე კონკრეტულ პირზე და ეპოქაზე?
5. ვისთვის შეიქმნა ეს წყარო და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა ადრესატს მის უტყუარობაზე?
6. რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა მას წყაროს უტყუარობაზე?
7. რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში?
8. რამდენად მნიშვნელოვანია წყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი?
9. რა კითხვები დაგებადათ ამ წყაროს ანალიზის შემდეგ?
10. კიდევ რის ცოდნა გსურთ ამ თემის შესახებ?

5.აცხადებს მეფე არდაშირ, დიდი ხელმწიფე სვიანი მეფეთამეფე, ქვეყნების მპყრობელი, მიწა-წყლიანი. დარიოსის ძე, მეფისა, დარიოს – არდაშირისა, არდაშირ, – ქსერქსეს ვაჟია, ქსერქსე კი, – დარიოსისა. ესენი ყველა მეფენი. დარიოს, – ძე ვიშტასპასი; ვიშტასპა – აქემენიდი, კეთილშობილი მოდგმისა.
აი აპადანა, სასახლე, აქ ამიგია მიდეთში. აჰურამაზდას წყალობით და მითრას მეოხებითა კვლავ ანაჰიტას წადილით, სურვილით ამ ღმერთებისა და მათი ნებით ღვთიურით, დავაგვირგვინე შვებითა.
აჰურამაზდა მფარავდეს და ანაჰიტა მწყალობდეს, მითრამ მომმადლოს უნარი – დამიცვან აუგისაგან. ყველა სიავე მაშორონ, ამაგრონ ჩემნი ნაგებნი; მარადჟამს იდგნენ ძეგლები, დაუქცეველნი მტრისაგან! ართაქსერქსე მეორე, ჰამადანი (A2Ha), (ძველი ექბათანა)
6. “აი, რა შევქმენი! – ამბობს მეფე დარაიავაჰუ. აჰურამაზდას ღვთიურ ნებით შთაგონებულმა. სუზის მშვენება, – სრა-სასახლე აქ აღმიგია, – ტურფად ხილული,
ნახოს თვალმა ეს საოცრება”.
დარიოს დიდი, სუზა (DSo) (ძვ. სპ, თრუშა, ახ. სპ. შუშა)
7. ბრძანა მეფე დარიოსმა: “თვალმა შენმა რაც იხილა, რაც შეიცნო სულმა შენმა, – ამას ნურას დაუშავებ, ნუ წაბილწავ, წარყვნი ნურას!” დარიოს დიდი, სუზა (DSq)
8. მაღალმა ღმერთმა აჰურამაზდამ შექმნა ხმელეთი, დახატა ზეცა კაცი დაბადა სვებედნიერი. მე, ართახშათრა, მაკურთხა მეფედ. მეუფე ერთი მრავალთა ზედა და მბრძანებელი მრავალთა ერთა. ართახშათრა ვარ დიდი ხელმწიფე, მპყრობი ქვეყნების მეფეთა მეფე. ვუფლობ სამეფოს მრავალეროვანს, ამ სამფლობელოს მეუფე სრული. რომ გადაშლილა შორს, უსასრულოდ, გადაწვდენილი, გადაჭიმული. ხშაიარშას მკვიდრი ვაჟი-მემკვიდრე, დარაიავაჰუს ვარ შვილიშვილი. მამა – ხელმწიფე, ბაბუაც – მეფე, წარმოშობით კი, – აქამანიდი. მაქვს საუბარი თქვენს გასაგონად, მე, ართახშათრას, დიდებულ მეფეს:
აჰურამაზდას კეთილი ნებით, ჰადიშ-სასასხლე ხშაიარშა მეფეს ანუ მამაჩემს აქ აუგია. ახლა კი ადრე მისი ნაგები ჩემგან კვლავ მეტად დამშვენებულა. ო, ვვედრებ ლოცვით აჰურამაზდას, მან დაიფაროს სამეფო ჩემი; წყალობა მომცეს და დაიფაროს ღმერთებთან ერთად ნაგებნი ჩვენნი. ართაქსერქსე პირველი, პერსეპოლისი (AIPa)

წყაროებზე მუშაობა:

წაიკითხეთ წყაროები, გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტები, შეადარეთ აღნიშნული წყაროები ერთმანეთს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. სად და როდის შეიქმნა ეს წყარო?
2. ვინ არის მისი ავტორი? რას ფიქრობთ წყაროს ავტორის შესახებ?
3. რა არის მოთხრობილი წყაროში?
4. წყაროზე მუშაობისას რა უნდა ვიცოდე კონკრეტულ პირზე და ეპოქაზე?
5. ვისთვის შეიქმნა ეს წყარო და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა ადრესატს მის უტყუარობაზე?
6. რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა მას წყაროს უტყუარობაზე?
7. რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში?
8. რამდენად მნიშვნელოვანია წყარო? რატომ არის მნიშვნელოვანი?
9. რა კითხვები დაგებადათ ამ წყაროს ანალიზის შემდეგ?
10. კიდევ რის ცოდნა გსურთ ამ თემის შესახებ?

9.გესმათ ჩემი ნაუბარი, ართახშათრა დიდი მეფის, მეფეთმეფის მრავალ ქვეყნის, ამ მიწა-წყლის მბრძანებელის. დარაიავაჰუს მემკვიდრე, – ხელმწიფისა, ვინც შვილია ართახშათრა მეფის თავად; ართახშათრა კი ვაჟია იმ ხშაიარშა ხელმწიფისა, – ვინც წულია და მემკვიდრე

დარაიავაჰუ მეფისა. დარაიავაჰუ კი თავად ვიშტასპას ძე, – მკვიდრი შვილი: ϫამში ყველას ერთად მოდგმით გვქვიან – ჰახამანიდები.
ახლა გეტყვით:
ეს სასახლე, აპადანად წოდებული, ჩემმა დიდმა პაპამ აგო მისი ნამშვენ-ნაღვაწია. მაგრამ შემდეგ ავბედითად, ართახშათრას მეფობისას, ბაბუას დროს, – აპადანა ცეცხლმა შთანთქა უცაბედად!... აჰურამაზდას წყალობით; ანაჰიტას, მითრას ნებით აპადანა აღვაშენე! კვლავ აღვაგე ეს მშვენება!
აჰურამაზდამ მაღალმა, დე, მომმადლოს მფარველობა, მეოხ მეყოს ანაჰიტა, აღარ მოხდეს, რაც კი მოხდა. მითრამ ხელი მომიმართოს, და დამიცვას ერთად ყველამ. ამაცილონ ბედი ავი, სიცრუე და ბოროტება.
რაც ვიღვაწე, დავამშვენე, დაიფარონ დანგრევისგან. არ წაირყვნას, არ გაფუჭდეს, რაც კი ძეგლი ამიგია. ართაქსერქსე მეორე, სუზა (A2Sa)
10. დარიოს მეფის ვაჟი, ვინც იყო ვიშტასპას ძე. აქემენიდი ყველა. ართახშათრა კი მე, ვამბობ ხელმწიფე დიდი:
მეფეთამეფე და ქვეყნების მბრძანებელი
ამ მიწა-წყალზე ვარ. აი სრა-სასახლე ჩემი. – კიბე მიჰყვება მას;
ძვირფასი ქვისგან თლილია. საფეხურები მისი, კეთილშობილი ქვისაა მოაϫირებიც კიბის.
აჰურამაზდას ვვედრებ, ლოცვით მივმართავ მას. მოგვცეს ჩვენ მადლი ცისა – მე და ჩემს სამეფო კარს! ართაქსერქსე მეორე, სუზა (A2Sc)

11.მე ვარ არდაშირ, დიდი ხელმწიფე, მეფეთმეუფე, ქვეყნების მეფე, ამ მიწა-წყალზე მეუფე სრული, დარიოს მეფის ვაჟი მემკვიდრე. აქამანიანთ საგვარეულოს შთამომავალი ვარ უეჭველი. ამბობს არდაშირ მეფე დიადი, გეტყვით დასტურად, უეჭვოდ გწამდეთ:
ჩემს სიცოცხლეში, ხელმწიფობაში, აქ ამიგია ეს სრა-სასახლე; სალხინოდ ვცანი ეს ნაგებობა და დრონი ჩემნი ამოდ ვატარე.
აჰურამაზდამ დე, დამიფაროს, ვთხოვ ანაჰიტას, შევთხოვ მითრასაც. დამიცვან ყველა აუგისაგან, და ყველა ჩემმა ღვაწლმა იხაროს!.. ართაქსერქსე მეორე, სუზა (A2Sd)

წყაროებზე მუშაობა:

წაიკითხეთ წყაროები, გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტები, შეადარეთ აღნიშნული წყაროები ერთმანეთს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. სად და როდის შეიქმნა ეს წყარო?
2. ვინ არის მისი ავტორი? რას ფიქრობთ წყაროს ავტორის შესახებ?
3. რა არის მოთხრობილი წყაროში?
4. წყაროზე მუშაობისას რა უნდა ვიცოდე კონკრეტულ პირზე და ეპოქაზე?
5. ვისთვის შეიქმნა ეს წყარო და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა ადრესატს მის უტყუარობაზე?
6. რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა მას წყაროს უტყუარობაზე?
7. რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში?

12.მაღალსა ღმერთსა აჰურამაზდას, – მას შეუქმნია ეს მიწა-წყალი, დაუდგამს ზეცა – გუმბათი ცისა, მისგან შექმნილა ადამიანი. ადამიანს კი მან მიანიჭა ბედნიერება და ნეტარება.
ხშაიარშა მეფე გამახელმწიფა,
ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად. მეუფედ ერთა ზედა მრავალთა.
მე ვარ ხშაიარშა ხელმწიფე დიდი, მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების; მრავალეროვან სამფლობელოში ვრცელი მიწა-წყლის ვარ განმგებელი.
შორს გადაშლილა, გადაჭიმულა, ჩემი სამეფო, საუფლო ესე; დარაიავაჰუ მეფის მემკვიდრე, ვარ მისი ვაჟი, აქემენიდი.

აცხადებს ამას მეფე ხშაიარშა “აი ყველა ქვეყნის სვეტი აღვაგე; სვეტები ჩავდგი ხეივნის რიგად; სხვაც უთვალავი სიტურფე კვლავაც აქ აღმიგია, – სპარსთა ქალაქში!
რაც კი შევძელი მშვენების შექმნა, ან მამაჩემის რაც არს ნაგები, რაც თვალებს უტკბობს ამის მნახველებს, ფერთა სიტურფე და სილამაზე, – ყველა ძალგვედვა ღვთიურ წყალობით, აჰურამაზდას ნების სანაცვლოდ!
ხშაიარშა მეფე ლოცულობს ასე: ო, შემეწიოს აჰურამაზდა და დაიფაროს სამეფო ჩემი; დე, მფარველ ექმნას ჩემს ნამოღვაწარს და მამაჩემის მემკვიდრეობას!..
რაც აღვაშენეთ, მეც და მამამაც, – ორნივ დაიცვას ღმერთთა მეუფემ!”. ქსერქსე, პერსეპოლისი (XPa)
13. მაღალსა ღმერთსა აჰურამაზდას, – მას შეუქმნია ეს მიწა-წყალი, დაუდგამს ზეცა – ტატნობი ცისა, მისგან შექმნილა ადამიანი. ადამიანს კი მან მიანიჭა ბედნიერება და ნეტარება.
ხშაიარშა მეფე გამახელმწიფა, ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად. მეუფედ ერთა ზედა მრავალთა.
მე ვარ ხშაიარშა ხელმწიფე დიდი, მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების; მრავალეროვან სამფლობელოში ვრცელი მიწა-წყლის ვარ განმგებელი. შორს გადაშლილა, გადაჭიმულა, ჩემი სამეფო, საუფლო ესე; დარაიავაჰუ მეფის მემკვიდრე, ვარ მისი ვაჟი, ჰახამანიდი.
მეფე ხშაიარშა აცხადებს შემდეგს: რაც აღმიგია, მიშენებია, – სპარსთა ქალაქში, თუ მის გარეთაც, – აღმშენებლობა ხელმეწიფება აჰურამაზდას ნებით დიადით.
ნეტავ დამიცვას აჰურამაზდამ, ყველა მის თანმხლებ ღმერთებთან ერთად, ღმერთი ჰფარავდეს ამ სამფლობელოს და ჩემი ღვაწლი დაიცვას ზენამ! ქსერქსე, პერსეპოლისი (XPb)
14.
მაღალსა ღმერთსა აჰურამაზდას, – მას შეუქმნია ეს მიწა-წყალი, დაუდგამს ზეცა – ცის კაბადონი, მისგან შექმნილა ადამიანი. ადამიანს კი მან მიანიჭა ბედნიერება და ნეტარება. ხშაიარშა მეფე გამახელმწიფა, ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად. მეუფედ ერთა ზედა მრავალთა. მე ვარ ხშაიარშა ხელმწიფე დიდი, მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების; მრავალეროვან სამფლობელოში ვრცელი მიწა-წყლის ვარ განმგებელი. შორს გადაშლილა, გადაჭიმულა, ჩემი სამეფო, საუფლო ესე; დარაიავაჰუ მეფის მემკვიდრე,
ვარ მისი ვაჟი, აქამანიდი.
ბრძანებს ხშაიარშა, ხელმწიფე დიდი: აჰურამაზდას ღვთიური ნებით ეს სრა-სასახლე, თქმული ჰადიშად, აღვაგე, დავდგი და გავამშვენე.
დაე, ძლევა მცეს აჰურამაზდამ, თვის თანმხლებ ყველა ღმერთებთან ერთად! და მეოხ ეყოს ამ სამფლობელოს, დაიცვას ძეგლნი, ნაგებნი ჩემგან!.. ქსერქსე, პერსეპოლისი (XPd)
15. მაღალსა ღმერთსა აჰურამაზდას, – მას შეუქმნია ეს მიწა-წყალი, დაუდგამს ზეცა – გუმბათი ცისა, მისგან შექმნილა ადამიანი. ადამიანს კი მან მიანიჭა ბედნიერება და ნეტარება. ხშაიარშა მეფე გამახელმწიფა, ერთი მრავალთა ზედა მბრძანებლად. მეუფედ ერთა ზედა მრავალთა. მე ვარ ხშაიარშა ხელმწიფე დიდი, მეფეთმეფე და მეფე ქვეყნების; მრავალეროვან სამფლობელოში ვრცელი მიწა-წყლის ვარ განმგებელი. შორს გადაშლილა, გადაჭიმულა, ჩემი სამეფო, საუფლო ესე; დარაიავაჰუ მეფის მემკვიდრე, ვარ მისი ვაჟი აქემენიდი.
აი ასე ბრძანებს ხელმწიფე დიდი, ხშაიარშა მეფე, ჰახამანიდი: “აჰურას, მაზდას მაღალი ნებით ეს სრა-სასახლე დარაიავაჰუმ, ვინც იყო ჩემი მშობელი მამა, დიდმა ხელმწიფემ ააგო, დადგა.
დამიცვას ღმერთმა აჰურამაზდამ სხვა ღვთაებების შემწეობითვე! აღმშენებლობას ჰფარავდნენ ჩემსას, რაც კი განგებით ზეაღვასრულე!“

წყაროებზე მუშაობა:

წაიკითხეთ წყაროები, გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი ფაქტები, შეადარეთ აღნიშნული წყაროები ერთმანეთს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. სად და როდის შეიქმნა ეს წყარო?
2. ვინ არის მისი ავტორი? რას ფიქრობთ წყაროს ავტორის შესახებ?
3. რა არის მოთხრობილი წყაროში?
4. წყაროზე მუშაობისას რა უნდა ვიცოდე კონკრეტულ პირზე და ეპოქაზე?

5. ვისთვის შეიქმნა ეს წყარო და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა ადრესატს მის უტყუარობაზე?
6. რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი და რა გავლენა შეეძლო მოეხდინა მას წყაროს უტყუარობაზე?
7. რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში?

გამოყენებული ლიტერატურა : „აქემენიანთა ძველსპარსული წარწერები“., ძველსპარსულიდან თარგმნა მაია სახოკიამ. თბილისი, 2015, გვ. 54-61

რეკომენდაციები პედაგოგებისათვის:
მოცემული წყაროები გამოსადეგია გაკვეთილზე დასამუშავებლად ჯგუფური მუშაობის დროს და საშინაო დავალების შესასრულებლად.
ჯგუფურ მუშაობაზე, დავურიგებთ თითოეულ ჯგუფს 2-3 წყაროს, რათა მიუსადაგონ ეს წყაროები სახელმძღვანელოში არსებულ ინფორმაციას და უპასუხონ წითლად აღნიშნულ შეკითხვებს. ჩამოყალიბდნენ, რა ინფორმაცია არის, ან არ არის სახელმძღვანელ Ъოში და წყაროებზე დაყრდნობით, როგორ შეიძლება გარკვეულ თემაზე სრულყოფილი სურათის აღდგენა?

საშინაო დავალება: აღნიშნული წყაროების მიხედვით დაწერონ ესსე-„აღმშენებლობა და ხელოვნება [აქემენიანთა სპარსეთში)

წერილობითი წყაროს ანალიზი
წერილობითი წყაროს ანალიზი ისტორიის სწავლა/სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. მისი გამოყენებისას მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების, პრობლემის დასმისა და გადაჭრის, ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევები.
ნაბიჯი პირველი: მასწავლებელმა უნდა სცადოს იმგვარი წყაროს შერჩევა, რომელიც მოსწავლეებს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას მისცემს. წყარო/მისი მონაკვეთი არ უნდა იყოს მეტისმეტად დიდი (არ აღემატებოდეს ორ-სამ გვერდს). მის გაცნობამდე მოსწავლეებს შეიძლება მივაწოდოთ მცირე ინფორმაცია იმ ეპოქის შესახებ, რომელშიც შეიქმნა ან რომლის შესახებაც მოგვითხრობს ეს წყარო. ამგვარი აქტივობა შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურადაც. ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებისას თითოეულ მოსწავლეს ურიგდება შაბლონი, ხოლო ჯგუფური მუშაობის დროს – თითოეულ ჯგუფს.
შესაძლოა, წყარო არ იძლეოდეს შაბლონში მოცემულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას. ამ შემთხვევაში მოსწავლეები უბრალოდ გამოტოვებენ შესავსებ გრაფას ან არ უპასუხებენ ამ შეკითხვას.
გთავაზობთ წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონს, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება მაღალ კლასებში სწავლებისას გამოიყენოს.
ნაბიჯი მეორე. შაბლონის შევსება წყაროს ანალიზის მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მოსწავლეები ისწავლიან გაცილებით მეტს, თუ საკუთარ იდეებსა და მოსაზრებებს სხვასაც გაუზიარებენ, ამიტომ შაბლონის შევსების შემდეგ, მათ საშუალება უნდა მივცეთ, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც შესაძლოა საინტერესო დისკუსიის საფუძვლად იქცეს. შესაძლოა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ზოგიერთმა მოსწავლემ შეიცვალოს კიდეც აზრი.

სამუშაო მოსწავლეთათვის
ავტორი: ირმა გიკაშვილი

ძირითადი მიმართულება: „უცნობი ალექსანდრე“ პლუტარქეს მიხედვით

ჩემს ნაშრომში მოტანილია ამონარიდები პლუტარქეს "ალექსანდრეს ცხოვრებიდან" – მარტივად გასაგებ, შედარებით მოკლე ფორმით

1. **თითოეულ ამონარიდთან ერთად მოცემულია** ორი ტიპის კითხვები
   - **ფაქტობრივი** (ტექსტზე დაფუძნებული)
   - **ინტერპრეტაციული/კრიტიკული** (აზრის გამოთქმა, შეხედულება, მსჯელობა)
   - **საინტერესო აქტივობები საკითხის გარშემო, რომლის განხორციელების შედეგად მოსწავლეები სიღრმისეულად შეისწავლიან საკითხს**

პირველი ფაქტი პლუტარქეს მიხედვით

1. ალექსანდრეს სიყვარული ჰომეროსის გმირების მიმართ

ფაქტი: პლუტარქე წერს, რომ ალექსანდრესთვის ჰომეროსის „ილიადა“ იყო როგორც „სამხედრო სახელმძღვანელო“. **ილიადა’ მას განსაკუთრებით უყვარდა და ყოველ ჯერზე თან ატარებდა. ეძინა მახვილთან და ამ პოემასთან ერთად.“** (Plutarch, Life of Alexander, §8)

🗨 უცხო სიტყვების განმარტება:

- **ილიადა** – ჰომეროსის ეპოსი ტროას ომზე
- **გრაგნილი** – წიგნის ფორმა ძველად, დახვეული pergament-ის სახით
- **მახვილი** – სამხედრო იარაღი, გრძელი დანა

? კითხვები მოსწავლეებისთვის:

1. რატომ მიჰქონდა ალექსანდრეს ,,ილიადა’’ ყველგან ?
2. როგორ ფიქრობ, რატომ ანიჭებდა მახვილს და წიგნს ერთ მნიშვნელობას ?
3. ვინ იყო ჰომეროსი და რატომ იყო ალექსანდრესთვის ჰომეროსი ასე მნიშვნელოვანი?
4. რას გვეუბნება ეს ტექსტი ალექსანდრეს ღირებულებებზე?
5. შენთვის რომ მოეცათ არჩევანი, რომელი წიგნი იქნებოდა შენი მუდმივი მეგზური?

- **როგორი აქტივობები უნდა შევთავაზოთ მოსწავლეებს ამ საკითხების გაცნობის შემდეგ:**

1. აქტივობა – "ჩემი პირადი “ილიადა”

ინსტრუქცია:
მოსწავლეებმა წარმოიდგინონ, რომ მიდიან შორს მოგზაურობაში ან მნიშნელოვან მისიაში (ისე, როგორც ალექსანდრე). უნდა აირჩიონ **ერთი წიგნი ან ნაწარმოები**, რომელიც თან უნდა ატარონ მუდამ. შემდეგ დააფიქსირონ:

1. რატომ აირჩიეს ეს კონკრეტული წიგნი?
2. როგორ აძლევს მას ძალას ან შთაგონებას ეს წიგნი?
3. რომელ ღირებულებებს უკავშირებენ მას?

დავალება წარმოადგინოს პატარა ესსეს ან პრეზენტაციის სახით

🎯 სადისკუსიო თემა – "უნდა იყოს თუ არა წიგნი მეომრის იარაღივით მნიშვნელოვანი?"

საკითხის ფორმულირება:
„ალექსანდრესთვის 'ილიადა' იყო როგორც სამხედრო სახელმძღვანელო. წიგნს იგივე მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც მახვილს.“
→ უნდა იმსჯელონ: შეიძლება თუ არა წიგნი იყოს იარაღის ტოლფასი? რას ნიშნავს ეს განსხვავებულ კონტექსტებში — განათლებაში, ლიდერობაში, ომში?

🗣 სადებატო თემა – "გონება უფრო ძლიერია ვიდრე ფიზიკური ძალა"

დებატის სტრუქტურა:

მხარე A: გონებრივი სიძლიერე და ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია ლიდერისთვის.

მხარე B: ფიზიკური ძალა და სამხედრო უპირატესობა ლიდერის მთავარი თვისებაა.

დაბალანსებული დებატისთვის სასურველია პედაგოგმა მოიტანოს სხვადასხვა ისტორიული მაგალითები — არა მხოლოდ ალექსანდრე, არამედ სხვა ლიდერებიც (მაგ. კიროს დიდი, ნაპოლეონი, ან ნელსონ მანდელა).

მეორე ფაქტი პლუტარქეს მიხედვით

2 . დარიოისის ოჯახისადმი დამოკიდებულება

- *ფაქტი: ,,ძვ.წ 333 წლის შემოდგომაზე* ისოსთან ალექსანდრემ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. დარიოსი გაიქცა. ალექსანდრემ დარიოსის მდიდრული კარავი ჩაიგდო ხელში, რომელიც მშვენიერი მსახურებით, სურსათ-სანოვაგითა და უამრავი ძვირფასი ნივთით იყო სავსე. იგი სიმაღლითა და სიდიდით, საუცხოო ხალიჩებითა და ჩინებულად გაწყობილი მაგიდებით მართლაც განცვიფრების ღირსი იყო. ალექსანდრემ მეგობრებს გადახედა და თქვა: ,,აი, თურმე რა ყოფილა მეფობაო''. მთავარსარდალი ის-ის იყო სადილობას აპირებდა, მოახსენეს: ტყვეები მოიყვანეს, მათ შორის დარიოსის დედა, ცოლი და ორი ქალიშვილი., რომლებმაც დამარცხებული მეფის ეტლისა და მშვილდის დანახვაზე თავ-პირში ხელები წაიშინეს და ტირილი მორთეს, ვინაიდან დარიოსი მოკლული ჰგონიათო. ალექსანდრე ერთხანს ჩაფიქრდა, ტყვექმნილი ქალების ბედმა საკუთარ გამარჯვებაზე უფრო მეტად ააღელვა. მან ტყვეებთან გაგზავნა ლეონატე,(მაკედონელთა მხედრობის სარდალი), რომელსაც უბრძანა: გადაეცი ქალებს, რომ დარიოსი მკვდარი არ არის და ჩემი შიში ნუ ექნებათ, უთხარი, მე დარიოსს მხოლოდ ძალაუფლებისათვის ვებრძვი-თქო. გარდა ამისა ლეონატემ ქალებს აცნობა:ისარგებლეთ ყველა იმ პატივით, რაც დარიოსის მეფობაში გქონდათო''(პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, წიგნი მეორე, თავი 20-21, გვ.32-33_)

? კითხვები:

1. რას გეუბნებათ ეს ეპიზოდი ალექსანდრეს პიროვნების შესახებ?
2. როგორ ექცევა ალექსანდრე დამარცხებულ მტერს?
3. განიხილე ლიდერობის ეს მოდელი: პატივისცემა მტრის მიმართ – ძლიერი თუ სუსტი პოზიციაა?
4. როგორ შეიძლება ძლიერი ლიდერი იყოს დაუნდობელი მოსისხლე მტრის მიმართ და ამავდროულად შემწყნარებელი მისი ოჯახის წევრებისადმი. რატომ მოიქცა ალექსანდრე ამგვარად ?

ისტორიული კონტექსტი:

- ამ ეპიზოდში ჩანს ალექსანდრეს სიდიადე არა მხოლოდ ბრძოლის ველზე, არამედ ადამიანურ ურთიერთობებში.
- ეს ქმედება ადასტურებს მისი ლიდერობის კულტურულ ხასიათს – დამარცხებულთაც პატივს სცემდა.

პედაგოგმა , შესაძლოა ამ ნაწყვეტიდან მოსწავლეებს შესთავაზოს შემდეგი სახის აქტივობები:

ანალიზისა და მსჯელობის აქტივობები

1. "ლიდერის ნამდვილი სახე" – ღირებულებითი ანალიზი

მოსწავლეებს სთხოვე დააფიქსირონ:

1. რისი მაჩვენებელია ალექსანდრეს დამოკიდებულება ტყვეების მიმართ?
2. როგორ ცვლის ეს ფაქტი მათ წარმოდგენას "დამპყრობელზე"?
3. იყო თუ არა ალექსანდრე მხოლოდ ომზე ორიენტირებული სამხედრო ლიდერი?

✅ **ამ დავალებას შეიძლება წერითი დავალების ან დისკუსიის ფორმა ჰქონდეს.**

🎭 2. როლური თამაში – "ალექსანდრეს კარავი"

მოსწავლეები დაყავი ჯგუფებად:

1.ერთნი თამაშობენ ალექსანდრეს და მის მეგობრებს,

2.სხვები — დარიოსის ოჯახის წევრებს,

3.მესამე ჯგუფი — მაკედონელი მრჩევლები.

•

თემა: როგორ უნდა მოიქცეს ალექსანდრე – სიმდიდრის, ძალაუფლებისა და მტრის ოჯახის წინაშე?

დავალება:ჯგუფებმა უნდა მოიფიქრონ არგუმენტები, ეთიკური მოსაზრებები და წარმოადგინონ დიალოგი ან მოკლე სცენა.

⚖️ 3. სადისკუსიო თემა – "იმსახურებს თუ არა მტრის ოჯახი პატივისცემას ?

საკითხი:
„დამარცხებულის ოჯახისადმი ღირსეული მოპყრობა უფრო ძლიერ ლიდერად გვაქცევს , ვიდრე სამხედრო გამარჯვება.“

მოსწავლეები დაიყოფიან ორ მხარედ და იმსჯელებენ

მხარე A: ლიდერის ძალა მის რბილ და პატივისცემაზე დამყარებულ დამოკიდებულებაში ჩანს.

მხარე B: მტრის ოჯახი ტყვეა და განსაკუთრებული პატივი არ ეკუთვნის, რადგან ომია.

📜 4. წერითი დავალება – "ალექსანდრეს წერილი დარიოსის ცოლს"

სთხოვე მოსწავლეებს, რომ **ალექსანდრეს სახელით** მისწერონ წერილი დარიოსის ცოლს, სადაც:

1.ამშვიდებს და უხსნის მის გადაწყვეტილებებს,

2.გამოხატავს საკუთარ ღირებულებებს და მიზნებს,

3 ან აირჩევენ, რომ წერილი უფრო მკაცრი იყოს — მოსწავლის ხედვიდან გამომდინარე.

---

5. "ფაქტი და ინტერპრეტაცია" – ისტორიკოსის თვალით

დავალება:

მოსწავლეებმა გამიჯნონ **ფაქტი** და **პლუტარქეს ინტერპრეტაცია**.

განიხილონ: რისი ჩვენება უნდოდა პლუტარქეს ალექსანდრეს ასეთი სახის წარმოჩენით?

დასვან კითხვა: იყო ეს რეალობა თუ ავტორს მეფის გმირად წარმოჩენა სურდა ?

მესამე ფაქტი პლუტარქეს მიხედვით

3 . გადაწყვეტილება ბრძოლის წინ — ღამის შეტევა თუ ღია ბრძოლა?

- *ფაქტი:* გავგამელას ბრძოლის წინ ალექსანდრეს პარმენიონმა ურჩია, რომ დარიოსის წინააღმდეგ შეტევა ღამით დაეწყო, რადგან მოწინააღმდეგე გაცილებით მეტ სამხედრო ძალას ფლობდა, ვიდრე მაკედონელი. ალექსანდრემ არ მიიღო მხედართმთავრის რჩევა. გადაწყვიტა ბრძოლა დღე დაეწყო, რადგან ღია ბრძოლაში გამარჯვება მისთვის უფრო დიდებული იქნებოდა.
- ***დისკუსია:*** როდის ღირს ეთიკური არჩევანის დაყენება სტრატეგიულ რისკზე მაღლა?

პედაგოგმა , შესაძლოა ამ ნაწყვეტიდან მოსწავლეებს შესთავაზოს შემდეგი სახის აქტივობები:

1. არგუმენტირებული ესსე – "სტრატეგია თუ ღირსება?"

თემა:
"მთავარსარდალმა ყოველთვის უნდა აირჩიოს სტრატეგიულად უსაფრთხო ვარიანტი, თუნდაც ის ნაკლებად დიდებული ჩანდეს."

მოსწავლემ უნდა:

ჩამოაყალიბოს პირადი პოზიცია (ვეთანხმები / არ ვეთანხმები),

1.მოიყვანოს არგუმენტები ალექსანდრეს მაგალითიდან და სხვა ისტორიული ან პირადი გამოცდილებიდან.

✅ 3. კითხვა-პასუხი მცირე ჯგუფებში ან წყვილებში

მოსწავლეები დაყავი წყვილებად და დაამუშავებინე შემდეგი კითხვები:

1.რას გვეუბნება ალექსანდრეს გადაწყვეტილება მის ხასიათზე?

2.შეიძლება თუ არა, რომ დიდების სურვილმა გადაფაროს გონივრული გათვლა?

3.როგორ ფიქრობთ, დღევანდელ სამყაროში ლიდერები მსგავს სიტუაციაში როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს?

✅ 4. "კონტრარგუმენტი" – მხედართმთავრის წერილი ალექსანდრეს

დავალება:
მოსწავლემ უნდა წარმოიდგინოს თავი პარმენიონად და დაწეროს წერილი ალექსანდრესათვის . წერილში ის

1.არგუმენტირებულად ცდილობს მის გადარწმუნებას,

2.ხაზს უსვამს რისკებს, ჯარის პასუხისმგებლობას და სამხედრო წესებს.

✅ 5. შემოქმედებითი დავალება – დიალოგი ალექსანდრესა და პარმენიონს შორის

მოსწავლეებმა წყვილებში მუშაობისას შექმნან მოკლე სცენარი:

1.ალექსანდრე თავის პოზიციას იცავს.

2.პარმენიონი არგუმენტებით სავსე პასუხს აძლევს.

3.შემდეგ წყვილებმა ნამუშევარი წარმოადგინონ კლასი წინაშე

⚖️ დებატის თემა:

„ლიდერმა ყოველთვის უნდა აირჩიოს სტრატეგიული სარგებელი, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს ღირსებასა და დიდების სურვილს.“

მხარე A – პრაგმატული პოზიცია:

„ლიდერის ვალდებულება პირველ რიგში არის ხალხისა და ჯარის სიცოცხლე. ღამის შეტევა უფრო უსაფრთხო და ჭკვიანური არჩევანი იქნებოდა. ომის დროს მიზანი გადარჩენა და გამარჯვებაა, არა გმირული ჟესტები.“

არგუმენტების მაგალითები:

1.ღამის შეტევა მტრის მოულოდნელობის ფაქტორს იყენებს.

2.ალექსანდრეს ჯარი რაოდენობრივად ჩამორჩებოდა.

3.რისკიანი გადაწყვეტილება შეიძლებოდა დამარცხებით დამთავრებულიყო.

💥 მხარე B – ღირსების/ღირებულების პოზიცია:

„ბრძოლაში გადამწყვეტია არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ როგორ იმარჯვებ. ღია ბრძოლა სიმამაცეს, ლიდერობის თავდაჯერებასა და მორალურ უპირატესობას უსვამს ხაზს.“

არგუმენტების მაგალითები:

1.დღისით ბრძოლა ცხადად აჩვენებს ლიდერის თავდაჯერებას და შთაგონებს ჯარს.

2.მორალურია ბრძოლა თვალსაჩინოდ, ღიად, არა ჩრდილში.

3.ალექსანდრეს მიზანი მხოლოდ გამარჯვება კი არა, ისტორიაში სახელის დატოვება იყო.

🔄 დებატის სტრუქტურა (კლასისთვის):

1.გუნდების შექმნა: მოსწავლეები ორ ჯგუფად იყოფიან.

2.მომზადება: თითოეულ ჯგუფს აქვს 10–15 წუთი არგუმენტების მოსამზადებლად.

3.წარდგენა: თითოეულ მხარეს ეძლევა 3–4 წუთი მთავარი არგუმენტების გამოსატანად.

4.პასუხის რაუნდი: ერთი გუნდი პასუხობს მეორე მხარის არგუმენტებს.

5.დასკვნა: თითოეულ მხარეს 1 წუთი – პოზიციის შეჯამება.

6. **კლასის ხმამაღალი განხილვა ან ხმის მიცემა:** რომელი მხარე დაგვარწმუნა?

✅ დამხმარე შეკითხვები მოსამზადებლად:

1.რას ნიშნავს „მეფური“ გადაწყვეტილება – გამარჯვება, თუ ღირსება?

2.ლიდერის მაგალითი სხვებზე რა გავლენას ახდენს?

3.სამხედრო მიზანი რამდენად უნდა ეწინააღმდეგებოდეს პირად ღირებულებებს?

4.უნდა მოერგოს ლიდერი რეალობას, თუ შეცვალოს ის?

III. დასკვნა: როგორ შეიძლება ალექსანდრეს მაგალითი დღევანდელ სამყაროში გამოვიყენოთ?

- ლიდერობა
- ეთიკა
- განათლება
- წიგნის სიყვარული
- კულტურული ტოლერანტობა

რჩევები პედაგოგებს:

ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ შესწავლისათვის, ამ თემით დაინტერესებულ მოსწავლეებს სასურველია ურჩიოთ, გაეცნონ შემდეგ ნაშრომებს:

📚 პლუტარქე (დ. ახ. წ. 46 – გ. 120)

- 📖 **წიგნი:** *ალექსანდრეს ცხოვრება* (*Βίος Ἀλεξάνδρου*)
- 🌟 **მახასიათებლები:**
  - წერდა **ბიოგრაფიულ სტილში**, ანუ პერსონაჟის ხასიათსა და ქცევებზე ამახვილებდა ყურადღებას.

- ○ წერდა **მორალურ მაგალითებზე**: როგორ ავლენდა ალექსანდრე სიბრძნეს, მოთმინებას, სიმკაცრეს ან ქველმოქმედებას.
- ○ მიზანი: დაენახვებინა, როგორია „დიდი ადამიანი“ — მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

✅ სასარგებლოა, როცა გინდა მოსწავლეებმა გაიაზრონ **ლიდერობის თვისებები**, და არა მხოლოდ ფაქტები.

📚 არიანე (Arrian of Nicomedia) (II საუკუნე)

- 📖 **წიგნი:** *ალექსანდრეს ანაბაზი* (*Anabasis Alexandri*) *(ანაბაზი = სამხედრო ლაშქრობა)*
- 🌟 **მახასიათებლები:**
  - ○ მიჩნეულია **ყველაზე სანდო წყაროდ** ალექსანდრეს სამხედრო კამპანიების შესახებ.
  - ○ ეფუძნებოდა ალექსანდრეს ორ თანმხლებ მემატიანეს: **არისტობულეს** და **პტოლემე I-ს**.
  - ○ დეტალურად აღწერს ომებს, გეოგრაფიას, დარიუსთან ბრძოლებს და ინდოეთამდე ლაშქრობას.

✅ საუკეთესო წყაროა სამხედრო ისტორიისთვის, რუკებისა და სტრატეგიის სწავლებისთვის.

📚 კურციუს რუფუსი (Quintus Curtius Rufus) (I საუკუნე)

- 📖 **წიგნი:** *Historiae Alexandri Magni* (ლათინურად)
- 🌟 **მახასიათებლები:**
  - ○ ძალიან **დრამატულად და ამბებით სავსე** ნაწარმოებია.
  - ○ დეტალურად აღწერს ალექსანდრეს პიროვნულ ტრაგიზმს, კონფლიქტებს და მორალურ ბრძოლას.
  - ○ ნაწარმოები დაუმთავრებელია და ზოგიერთი ნაწილი დაკარგულია.

✅ კარგი ტექსტია დისკუსიებისთვის ალექსანდრეს ხასიათზე, შეცდომებზე და მისი ძალაუფლების ნეგატიურ მხარეებზე.

📚 დიოდორე სიცილიელი (Diodorus Siculus) (I საუკუნე ძვ. წ.)

- 📖 **წიგნი:** *მსოფლიო ისტორია* (*Bibliotheca Historica*)
- 🌟 **მახასიათებლები:**
  - ○ ზოგადი ისტორიაა, სადაც ალექსანდრეს მხოლოდ რამდენიმე თავი ეთმობა.
  - ○ საინტერესოა **ზოგადი კონტექსტისთვის**: როგორ აღიქმებოდა ალექსანდრე ზოგადად მსოფლიოში.

✅ სასარგებლოა შედარებისთვის — როგორ განსხვავდება აღწერები სხვა ისტორიკოსებისგან.

📚 პტოლემე I (მაკედონელი მხედართმთავარი და მოგვიანებით ეგვიპტის მეფე)

- 📖 დაკარგული *მემუარები*
- 🌟 არიანე მასზე დაყრდნობით წერს.
- მიჩნეულია ყველაზე ავტორიტეტულ **თანადროულ წყაროდ** (მაგრამ პირდაპირ აღარ გვაქვს).

✅ მისი ტექსტები გადარჩენილია მხოლოდ მეორე წყაროებით — განსაკუთრებით არიანესთან.

🔍 როგორ გამოიყენო ეს სკოლაში ან მასწავლებელთან?

- **პლუტარქე** – ადამიანური ღირებულებების, ლიდერობისა და ბიოგრაფიული ანალიზისთვის.
- **არიანე** – სამხედრო ისტორიის, რუკებისა და ომების სტრატეგიული ანალიზისთვის.
- **კურციუს რუფუსი** – ემოციური, მორალური დილემების შესასწავლად.
- **დიოდორე** – შედარებისთვის: რას ფიქრობდნენ სხვები ალექსანდრეზე.